პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

[illegible]

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებ-სათვის—1 მან., დანარჩენებსათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებები, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % სახალხო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

— საზეიმო სხდომა ახალგაზრდობის კომინტერნის 10 წ. თავის გამო ბერლინში.
— მუშა - რევოლიუციონერების მასიური პროცესი ბულგარეთში.
— ამხ. ბოგომოლოვის პროტესტი ლვოვის საბჭოთა საკონსულოზე თავდასხმის გამო.
— გრძელდება უნგრეთის მემაღაროეთა გაფიცვა.
— ფინ-იუი-სიანის ჯარებმა აიღეს სანიანი.
— კანაფის კულტურის განვითარების გეგმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირა, 24 ნოემბერი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 271 (2617)

უდიდესი ყურადღება კოლხელშეკრულებათა კამპანიას

კოლექტიურ ხელშეკრულებათა ხელახლა დადების კამპანია ჯერ კიდევ სათანადო ტემპით არ გაშლილა. ეს უმთავრესად იმას უნდა მიეწეროს, რომ ადგილობრივი პარტიული, პროფესიონალური და საბჭოთა ორგანოები შესაფერი ყურადღებით არ ეკიდებიან ამ საქმეს. ამავე დროს კოლექტიურ ხელშეკრულებათა კამპანიის ჩატარებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი სამეურნეო აღმშენებლობის მორიგ ამოცანათა გადაწყვეტის და მუშათა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხები.

ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებაში მთლიანად უნდა ჰპოვოს თავისი გამოხატულება იმ საჭირბოროტო საკითხებმა, რომელთაც დღეს აყენებს სოციალისტური მშენებლობის განვითარება. სოციალისტური შეჯიბრების წარმატებით გაფართოება, შრომის ნაყოფიერების გადიდება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, თვითღირებულების შემცირება, მრეწველობის მექანიზაცია და ყველა ამ ღონისძიებათა საფუძველზე მუშათა მატერიალურ - კულტურულ მოთხოვნილებათა უზრუნველყოფის შემდგომი განმტკიცება, — აი რა უნდა გადაიქცეს ახალ კოლექტიურ ხელშეკრულების მთავარ ღერძად. რამდენადაც საკითხი ასე სდგას, კოლექტიურ ხელშეკრულებათა ხელახალი დადების კამპანია გაცილებით მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს ადგილობრივ პარტიულ, პროფესიონალურ და სამეურნეო ორგანოებს, ვიდრე ამას დღემდე ჰქონდა ადგილი.

კამპანიის წარმატებით ჩატარების ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს მასების აქტიურად დარაზმვა მის გარშემო. ახალი კოლექტიური ხელშეკრულების განხილვაში უახლოესი მონაწილეობა უნდა მიიღოს თვითეულ მუშამ. პროფესიონალურ კავშირებმა, კოლხელშეკრულებათა დადების დროს, თავი უნდა შეიკავონ ყოველგვარ სხვა მასიური კამპანიისაგან და მთავარი ყურადღება უნდა მიაპყრონ ამ საკითხის წარმატებით მოგვარებას. თავის მხრივ სამეურნეო ორგანოებმა უცხოველესი მონაწილეობა უნდა მიიღონ კოლხელშეკრულებათა კამპანიაში. სასტიკად უნდა აღკვეთილ იქნას საკითხის კაბინეტური წესით გადაწყვეტის ყოველგვარი ცდა, რასაც წარსულში არა ერთგან ჰქონდა ადგილი.

როგორც უკვე ვთქვით, ახალი კოლექტიური ხელშეკრულება უნდა გადაიქცეს მუშათა მასების და სამეურნეო ორგანოთა ყურადღების მობილიზაციის მძლავრ იარაღად მორიგ საწარმოო საკითხების გადაწყვეტისა და ამასთან დაკავშირებით მუშათა მასების ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების ირგვლივ. ამისათვის კოლექტიური ხელშეკრულება უნდა იყვეს უაღრესად კონკრეტული. კოლექტიურ ხელშეკრულების შედგენის დროს მთლიანად უნდა იქნას გამოყენებული წარსული წლების გამოცდილება. ყოველი ზომები უნდა მივიღოთ იმისათვის, რომ კოლექტიური ხელშეკრულება რაც შეიძლება ამომწურავად ითვალისწინებდეს უფლება-მოვალეობებს ორივე მხრივ და ნიადაგს აცლიდეს მოსალოდნელ კონფლიქტების შესაძლებლობას.

დღემდე არსებული მდგომარეობა, როცა კოლექტიური ხელშეკრულება ხშირად მოკლებული იყო თავის პრაქტიკულ მნიშვნელობას, ყოვლად დაუშვებლად უნდა იქნას აღიარებული. ახალი ხელშეკრულება უნდა ქმნიდეს მტკიცე გარანტიას, როგორც წარმოების შემდგომი განვითარების, ისე მუშათა მასების ყოფაცხოვრებითი პირობების გაუმჯობესების დარგში. კოლექტიური ხელშეკრულება საფუძვლად უნდა დაედოს ყოველდღიურ საწარმოო მუშაობას. ამ მიზნით ის ერთნაირად სავალდებულო უნდა იყვეს როგორც სამეურნეო ორგანოებისათვის, ისე პროფესიონალურ კავშირებისათვისაც. საჭიროა ენერგიული ბრძოლა გამოეცხადოს, ერთი მხრივ, პროფკავშირების ცალკე ნაწილებში შემჩნეულ ტრედიუნიონისტურ განწყობილებებს, რომელნიც გამოხატავენ მუშათა ჩამორჩენილ ფენების ანტიპროლეტარულ სულისკვეთებას და, მეორე მხრივ, სამეურნეო ორგანოების ბიუროკრატიულ მიდგომას შრომის მოწესრიგების საკითხებისადმი.

ამასთან პროფესიონალურ კავშირებმა კოოპერატიულ ორგანოებთან შეთანხმებით, ყოველი ზომები უნდა მიიღონ მუშათა მოსამარაგებლად მასიურ პირველმოთხოვნილების პროდუქტებით. ცალკე საწარმოთა და კოოპერატიულ ორგანოთა შორის სპეციალურ ხელშეკრულებათა დადების სახით, თუ სხვა ფორმების გამოძებნით, უნდა შეიქმნას ისეთი მდგომარეობა, რომ მუშათა მასები თავის დროზე და ხელსაყრელ პირობებში უზრუნველყოფილ იქნან სურსათ-სანოვაგით და სხვა აუცილებელ პროდუქტებით.

ახალი კოლექტიური ხელშეკრულება არას შემთხვევაში არ უნდა იქნას გამოყენებული პროფკავშირების ქვედა საფეხურის ორგანოთა და მათ კულტურულ - განმანათლებელ მუშაობის მატერიალურად გაძლიერების საშუალებათ. საამისო ანარიცხები მიმდინარე სამეურნეო წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს უკვე არსებულ ნორმებს. თავის მუშაობის გასაცხოველებლად და კულტურულ-განმანათლებელ საქმიანობის გასაფართოებლად პროფესიონალურ კავშირებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ მუშათა მასების თვითმოქმედება.

იმისათვის, რომ ახალი კოლექტიური ხელშეკრულება ნამდვილად რეალური და პრაქტიკულად მიზანშეწონილი იყვეს, აუცილებელია მისი შედგენის დროს ადგილობრივი ორგანოები ნათლად ითვალისწინებდნენ თავიანთ საწარმოს სამეურნეო მდგომარეობას და მის პერსპექტივებს. ამ მიზნით წარსულ მუშაობის მიღწევათა შესწავლა და საწარმოო - ფინანსიურ გეგმების განხილვა ერთ-ერთ აუცილებელ წინასწარ პირობას წარმოადგენს კოლექტიურ ხელშეკრულებათა კამპანიის ჩატარების საქმეში. ჯერჯერობით ამ მიმართულებით ბევრგან არაფერი გაკეთებულა. პროფესიონალური კავშირების ყველა ადგილობრივი ორგანოები, ფაბქარხკომები, ადგილკომები, საწარმოო თათბირები, დამკვრელი ბრიგადები და სხვ. უნდა ამოძრავდნენ კოლექტიურ ხელშეკრულებათა კამპანიის ჩატარების ირგვლივ. ენერგიული ბრძოლა უნდა გამოეცხადოს იმ გულგრილ განწყობილებას, რომელსაც კიდევ ადგილი აქვს კოლხელშეკრულებათა კამპანიის მიმართ.

ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა კამპანიის ჩატარება უნდა დამთავრდეს უკვე დაწესებულ ვადაში. თუ მუშაობა დღევანდელი ტემპით გაგრძელდა, აშკარაა ჩვენ ვერ შევსძლებთ ამ უაღრესი სამეურნეო - პოლიტიკური მნიშვნელობის საქმის წარმატებით შესრულებას. ადგილობრივი პარტიულ, პროფესიონალურ და სამეურნეო ორგანოებმა პასუხისმგებლობის მთელი შეგნებით დაუყოვნებლივ უნდა გადასდგან ენერგიული ნაბიჯები კამპანიის გასაჩაღებლად. დრო აღარ ითმენს!

მეცხვარეობის განვითარებისა და რეკონსტრუქციისათვის

(ხვალინდელი თათბირის გამო)

საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი დარგი— სამრეწველო მეცხვარეობა უკანასკნელ წლებში სერიოზულ კრიზისს განიცდის. ამ კრიზისს შეიძლება გართულება მოჰყვეს საფეიქრო მრეწველობისა, სახელდობრ მაუდისა და ქეჩის ფაბრიკების გაშლა-განვითარებისათვის ნედლეულის —(მატყლის) ნაკლებობის გამო და აგრეთვე, უაღრესად გაძნელდეს ცხვრის ტყავის დამზადებისა და სასურსათო რესურსების შექმნის საქმე.

როგორც საქართველოს მუშგლეხინის გამოკვლევამ დაგვანახვა, ცხვრის რიცხვის შემცირება (უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ცხვრის რიცხვი შემცირდა საშუალოდ 27 პროცენტით), მეცხვარეობის დარგში არსებულ სიძნელეთა გამო. ამ სიძნელეთა მიზეზია შემდეგი: მოწესრიგებული არ არის საკვები ბაზა, არ არსებობს აგრო-ზოოტექნიკური დახმარება, არ არის მუშაობა მეცხვარეობის მეურნეობათა კოლექტივიზაციისათვის, სუსტია საერთოდ სასოფლო- სამეურნეო კოოპერაციის მუშაობა, არის შეცდომები და დეფექტები საგადასახადო დაბეგვრის საქმეში და ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანოები საჭირო ყურადღებას არ იჩენენ მეცხვარეობისა და მატყლის დამზადების საქმისადმი.

მეცხვარეობის განვითარების ჩამოთვლილ დაბრკოლებათა შორის ყველაზე მეტად თავს იჩენს კვების საკითხი. ამ მხრივ აღსანიშნავია ორი მომენტი: ა) ცხვრის უზრუნველყოფა სათადარიგო საკვები ფონდით საზამთრო საძოვრებზე, თუ სუსხიანი ზამთარი იქნება, და ბ) საძოვრები (საზაფხულო და საზამთრო), როგორც ძირითადი საკვები ბაზა. ცხვრის, უმთავრესად, ბატკნის დაღუპვა საზამთრო საძოვრებზე (უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში „მწყემსისა" და „ბირლიკის" რაიონებში დაიღუპა დაახლოებით 50 პროცენტი ბატკანი) იმიტომ ხდება, რომ სუსხიან ზამთარში თოვლი ბალახს იმდენად ჰფარავს, რომ ცხვარი საკვების ძებნაში ძალ-ღონეს ჰკარგავს და იღუპება. ამას ართულებს ის გარემოება, რომ საძოვარ ადგილებზე არ არსებობს სათანადო საკვების მარაგი. ასეთ მოვლენასთან ბრძოლა მხოლოდ იმით შეიძლება, თუ საზამთრო საძოვრებზე, ბალახის გათიბვის შემდეგ, მომზადდება სათადარიგო საკვები ფონდი, ე. ი. მთელ საძოვარ ადგილზე დაიდგმება თივის ზვინები, რასაც დღემდე მიმართავდა სამწუხაროდ მხოლოდ მეცხვარეთა კოოპერატიული ამხანაგობა „თერგის ხევი" (1925 წლიდან არსებობს), იმასაც საქართველოს გარეთ (დაღესტანის რესპუბლიკასა და ყალმუხთა ოლქში, სადაც საზამთროდ ცხვარი გადაჰყავთ დუშეთის რაიონიდან); საქართველოს მეცხვარეთა ორი სხვა ამხანაგობა „ბირლიკი" (დაარსდა 1922 წ.) და უმთავრესად „მწყემსი" (დაარსდა 1920 წ.) ამ მნიშვნელოვან საქმეს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდა; მომავალი ზამთრისათვისაც კი შირაქის ველის საძოვრებზე თივა არ გაუთიბიათ.

დაბრკოლება მეცხვარეობისათვის საძოვრების საქმეში უმთავრესად გამოიხატება შემდეგში:

საქართველოს ცხვრის რიცხვიდან (1.485 ათასამდე 1929 წ.), საქართველოს გარეთ საძოვრად მაინც გადის ზაფხულობით 485 ათასი ცხვარი, ხოლო ზამთრობით— 585 ათასი სამრეწველო მეცხვარეობის რაიონებიდან.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში საძოვრებს მეცხვარეებს ხანგრძლივი იჯარით არ აძლევენ; აძლევენ მხოლოდ ერთი სეზონის განმავლობაში; ამის წყალობით მეცხვარეებს სტიმული არ გააჩნიათ, რომ ფრთხილად მოექცნენ საძოვარ ადგილებს და მოაწყონ მათზე სათანადო საკვები პუნქტები, ბინები და სხვ.

საძოვრების საკითხის სიმწვავე თვალსაჩინოთ შენელდებოდა, მეცხვარეების კოოპერატიული ამხანაგობანი რომ დახმარებოდნენ თავიანთ წევრებს და მათთვის საზაფხულო და საზამთრო საძოვრების საჭირო ადგილების იჯარა მოეხერხებინათ; ეს მუშაობა მხოლოდ ნაწილობრივ სწარმოებდა. მაგალითად, საზოგადოება „თერგის ხევი" თავის წევრებს საძოვრებით უზრუნველჰყოფდა საზამთრო საძოვრებით, ხოლო ზაფხულის მეცხვარეები თვითონ შოულობდნენ ამ საძოვრებს; ამხანაგობანი „ბირლიკი" და „მწყემსი" თავიანთ წევრებს მხოლოდ საზაფხულო საძოვრებით უზრუნველყოფდნენ: „ბირლიკი"— 60 პროცენტით და „მწყემსი"— 40 პროცენტით. დამახასიათებელია, რომ საძოვრების იჯარით ალება ხდებოდა საქართველოს გარეთ, რაც შეეხება საძოვრების იჯარით ალებას საქართველოს შიგნით, მეცხვარეთა ამხანაგობანი სათანადო ზომებს არ იღებდნენ, ხოლო მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი და ადგილობრივი აღმასკომები ამ საკითხში კოოპერაციას არ ეხმარებოდნენ.

თუმცა არსებობს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის სავალდებულო ამიერ- კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული ნიხრი საიჯარო საძოვრებზე, აგრეთვე სპეციალური ინსტრუქცია სასოფლო- საზოგადოებათა მიწების გამოყენების შესახებ საიჯაროდ, მაგრამ ხშირად მეცხვარეებს ახდევინებენ საიჯარო გადასახადს, რომელიც რამდენჯერმე აღემატება ნორმალურ გადასახადს. ამას გვიდასტურებს 1929 წლის შემდეგი მაგალითები: ახალ-ქალაქის მაზრაში ამხანაგობის „ბირლიკის" მეცხვარეებს, სამაზრო აღმასკომის თანხმობით, „ჩირბულახის" ნაკვეთში (600 ჰექტარი) გადაახდევინეს 4.000 მანეთი, ე. ი. ჰექტარში 6 მან. 67 კაპ., დაწესებული 1 მან. 55 კაპ. ნაცვლად, იმავე ახალქალაქის მაზრაში ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებისათვის უმთავრესად საძოვრების დაბლობი ადგილებია მიჩენილი, ხოლო მაღლობებს აძლევენ მოსულ მეცხვარეებს. ამის გამო მოსული მეცხვარეები, როცა საქონელს იჯარით აღებულ ნაკვეთებზე მირეკებიან, იძულებულნი არიან, რომ გაზაფხულზე (იჯარით აღებულ საძოვრებზე თოვლის გადნობის მოლოდინში), აგრეთვე შემოდგომაზე (ნადრევი სიცივეების დაწყებასთან ერთად) დამატებით და ორჯერ აიღონ იჯარით ადგილობრივი გლეხებისაგან დაბლობი ადგილები და ამასთან ყოველთვის დიდ ფასად; სომხეთში ამხანაგობის „ბირლიკის" მეცხვარეებს სასოფლო- სამეურნეო ტრესტმა გადაახდევინა 1.110 ჰექტარ საძოვარში 4.545 მანეთი, ე. ი. 1 ჰექტარზე 4 მან. 18 კაპ., ლენინაკანის მაზრაში 60 ჰექტარში— 420 მანეთი, ე. ი. 1 ჰექტარზე 7 მანეთი, კანონიერი მაქსიმალური ნიხრის 1 მან. 55 კაპ. ნაცვლად; აზერბეიჯანში, შირვანის ველზე, საქართველოს მეცხვარეებმა საძოვრები იჯარით აიღეს სასოფლო- საზოგადოებათა და ცალკე პირთაგან და ნიხრით განსაზღვრული 6.000 მანეთის ნაცვლად გადაიხადეს 22.000 მანეთი. ზემოთმოყვანილი და აგრეთვე სხვა ფაქტები ადასტურებენ, რომ ამიერ- კავკასიის რესპუბლიკებში არსებობს სუბარენდა და სხვა ავადმყოფური მოვლენები საძოვრების იჯარით გაცემის დროს.

რადგან დღემდე მოწესრიგებული არ არის საქონლის გასავლელი გზებისა და შესასვენებელი ადგილების საკითხი ცხვრის საზამთრო საძოვრებიდან საზაფხულო საძოვრებზე და საზაფხულოდან საზამთრო ადგილებზე გადარეკვის დროს, ამიტომ ხდება გზისა და აგრეთვე შესასვენებელი ადგილის შემცირება სახნავი ადგილების სასარგებლოდ. ამას მოსდევს ის, რომ მეცხვარეებს არ შეუძლიათ ცხვრის ისე გადარეკა, რომ მან ნათესი არ გააფუჭოს. ამის შედეგია, ნათესის გაფუჭების გამო, შედგენა აქტებისა, რომლებიც მეტ ნაწილად უსაფუძვლო და მიკერძოებულია.

რადგან საძოვრების იჯარით აღებას მეზობელ რესპუბლიკებში უსიამოვნება მოსდევს, მეცხვარეები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ცხვარი მოათავსონ საქართველოს ფარგლებში და რაც შეიძლება ნაკლები ცხვარი გადარეკონ სხვა რესპუბლიკებში. ამგვარად, საქართველოს შიგნით საძოვრების დატვირთვა ძლიერდება (თვითეულ ჰექტარზე ალაგ-ალაგ ზაფხულობით აძოვებენ 20-მდე ცხვარს, რვის ნაცვლად, ხოლო ზამთრობით 5-მდე სამის ნაცვლად), ეს კი, ერთის მხრით, აუარესებს საძოვრების ღირსებას, ხოლო მეორეს მხრით, ამცირებს მეცხვარეობის ნაყოფიერებას.

თვალსაჩინო სიძნელეს ისიც წარმოადგენს, რომ მოწესრიგებული არ არის ცხვრისა და კაცის დაკმაყოფილება წყლით საზამთრო საძოვრებზე, რადგან არ არსებობს წყლის მოსამარაგებელი აუზები და სხვ. ნაგებობანი.

თუ ნათქვამს დაუმატებთ იმას, რომ საძოვრები შესწავლილი არ არის გეობოტანიკურად და გამორკვეული არ არის მათი გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებანი (ეს მუშაობა დაიწყო მხოლოდ 1928 წლის ზაფხულიდან და ყველაფერი ფრიად მცირე რაოდენობით კეთდება იმ საკითხების ჯამთან შედარებით, რომლებიც გადაჭრას მოითხოვენ), ცხადი გახდება, რომ კვების საკითხი მეცხვარეობის ერთ-ერთი უაღრესად მტკივნეული საკითხია, და მისი სრული გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ამიერ- კავკასიის მასშტაბით.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საქართველოში კოოპერაციაში გაერთიანებულია წვრილ მეურნეობათა დიდი პროცენტი (54 პრ.) და გავითვალისწინებთ, ერთის მხრით, წვრილ მეურნეობათა რაციონალიზაციის სიძნელეებს, ხოლო მეორეს მხრით, ანგარიშს გაუწევთ იმ გარემოებას, რომ მეცხვარეობა თავისი ბუნებით შესაფერ ობიექტს წარმოადგენს კოლექტივიზაციისათვის, ჩვენ არსებითად მუშაობა უნდა გვეწარმოებინა მეცხვარეობათა წვრილ მეურნეობათა კოლექტივების შესაქმნელად; უმთავრესად ეს გზა განსაზღვრავს მეცხვარეობის შემდგომი განვითარების შესაძლებლობას. სამწუხაროდ, უკანასკნელ დრომდე ამ მიმართულებით მუშაობა გაშლილ - გაფართოებული არ ყოფილა. საპერსპექტივო გეგმის თანახმად, 1929-30 წლიდან განზრახულია მოეწყოს მეცხვარეობის 15 კოლექტიური მეურნეობა, რომელიც გააერთიანებს 290 მეურნეობას და 24 — 25.000 ცხვარს; კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის ეს ტემპი, რაკი სამრეწველო მეცხვარეობის რაიონში დაახლოებით 1.485 ათასი ცხვარი არსებობს, საკმაოდ ვერ ჩაითვლება და საჭიროა მისი გაძლიერება.

მეცხვარეობის განვითარების საქმეში შესამჩნევი როლი უნდა ითამაშოს სასოფლო- სამეურნეო კოოპერაციამ ახალი ორგანიზაციის — საქართველოს „მესაქონლეთა კავშირის" და სპეციალური ქვედა საფეხურების სახით. სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის წარსული მუშაობის შესახებ უნდა ითქვას, რომ მეცხვარეობის მიმდევარ მეურნეობათა არა საკმაო გაერთიანება კოოპერაციაში და პროდუქციის სასაქონლო ნაწილის ნაკლები დამზადება ხშირად აიხსნება ქვედა საფეხურების — „მწყემსი"-ს და „ბირლიკ"-ის აპარატების დაშორებით იმ მასებისაგან, რომლებსაც ისინი ემსახურებიან. ღარიბი გლეხობის კოოპერაციაში გაერთიანების ფონდების საკითხი ვერა სდგას შესაფერ დონეზე — ან ფონდები სრულებით არ არის გამოყენებული („თერგის-ხევი"), ან გამოყოფილი და ადგილებზე გაგზავნილი ფონდი არ არის დახარჯული დანიშნულებისამებრ („მწყემსი").

მეცხვარეთა შორის უკანასკნელ ხანებამდე არ უწარმოებიათ კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობა. კოოპერაციაში გაერთიანებულ მეცხვარეთათვის სამრეწველო საქონლის საკვების და სურსათის თავის დროზე და საკმაო რაოდენობით მიწოდების საქმე, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მეცხვარეობის განვითარებისა და ამ მეურნეობის პროდუქციის დამზადებისათვის, საკმაოდ არ არის გაშლილი და ამ დარგში არ სწარმოებს გარკვეული მუშაობა.

უკანასკნელ ხანებამდე არ სწარმოებდა მეცხვარეობის პროდუქციების (გარდა მატყლისა) გეგმიანი დამზადება. რაც შეეხება მატყლის დამზადებას, მისი სასაქონლო ნაწილის 20 პროცენტი დამამზადებელი აპარატის გარეშე რჩებოდა, რაც შემდეგი მიზეზებით აიხსნება:

ა) მეცხვარეობის სამრეწველო რაიონის მთელი ცხვრის 26 პროცენტი დარჩენილია კოოპერაციაში გაუერთიანებელი მოსახლეობის ხელში. ეს მოსახლეობა, აგრეთვე კოოპერაციაში გაერთიანებული მოსახლეობის ნაწილი მატყლს ბაზრის ფასებში ჰყიდის.

ბ) მეცხვარეთათვის სამრეწველო საქონლის და სურსათის მიწოდების საქმეში არსებობს დეფექტები, სახელდობრ: ფართლეულის ასორტიმენტის შეუფერებლობა სხვადასხვა რაიონების მეცხვარეთა მოთხოვნილებებთან, მეცხვარეთათვის დანიშნული ფართლეულის მომხმარებელი კოოპერაციის ქვედა საფეხურებში შენახვის მოკლე ვადა (20 დღე) რის შედეგად მანუფაქტურის ნაწილი არ ხმარდებოდა პირდაპირ დანიშნულებას. თუ მეცხვარეები 20 დღის განმავლობაში არ წაიღებენ მათ კუთვნილ ფართალს, მომხმარებელი კოოპერაციის ქვედა საფეხურს უფლება აქვს ეს ფართალი გასცეს არა მეცხვარეებზედაც.

გ) ადგილებზე პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხრით არ ექცევა საჭირო ყურადღება მეცხვარეობისა და მატყლის დამზადების საკითხებს. არ სრულდება საქართველოს სახკომსაბჭოს დირექტივა — მატყლის დამზადების ხელისშემწყობი სამეულების მოწყობის შესახებ. საქართველოს მუშგლეხინმა თელავის თემაღმასკომს და [illegible] ხოვა ინფორმაცია „მწყემსი"-ს თელავის განყოფილების მოქმედების შესახებ, რაზედაც მიიღო პასუხი რომ თელავის თემაღმასკომი და თემკომი ამ დაწესებულების მუშაობას არ იცნობენ. ამრიგად, თუ გვსურს მატყლის დამზადების საქმის რაც შეიძლება ფართოდ დაყენება, საჭიროა უახლოეს დროში აღმოიფხვრას მატყლის დამზადების დასახელებული დეფექტები, აგრეთვე მიღებულ იქნას ზომები მეცხვარეობის საქმის განვითარებისათვის საერთოდ. მატყლის სალიმიტო ფასების ყოველწლიური გადიდების გზას ვერ დავადგებით, რადგან ეს არ იქნება საკითხის გადაწყვეტა. მატყლის სასაქონლო ნაწილის გადიდების ერთად-ერთი სწორი გზა არის მეცხვარეობის საერთო პროდუქციის გადიდება ამ მეურნეობის რაციონალიზაციის გზით, რაც უნდა მოხდეს ცხვრის კვებისა და ჯიშის გაუმჯობესებით. უკანასკნელი ღონისძიებით შეიძლება მატყლის პროდუქციის ორჯერ და მეტჯერ გადიდება ადგილობრივი თუშური ჯიშის ერთი და იგივე რაოდენობის ცხვრისაგან, რასაც, როგორც ზევით იყო ნათქვამი, საქართველოს ზოოტექნიკური სადგურის ცდები ადასტურებენ.

გადასახადის გაწერის დეფექტები მდგომარეობენ იმაში, რომ მეცხვარეებს ხვდება მეტი გადასახადი, ვიდრე უნდა გადახდეს, შემოსავლიანობის მიხედვით, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით.

სახელმწიფოს და ცენტრალურ და ადგილობრივ დაინტერესებულ ორგანოების შეერთებული მეცადინეობით უნდა მოისპოს ის დაბრკოლებები, რომლებსაც განიცდიან მეცხვარეობის მეურნეობანი. უნდა მივაღწიოთ გარდატეხას მეცხვარეობის განვითარების საქმეში და გავაძლიეროთ მეურნეობის ეს დარგი განსაზოგადოებული სექტორის ბაზისზე. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ხვალინდელი კონფერენცია ხელს შეუწყობს მეცხვარეობის განვითარების საქმეს.

ა. მ.

ჩვენმა ჯარებმა სასტიკად დაამარცხეს ჩინეთის ჯარი და რუსი თეთრგვარდიელები

იაპონური ცნობებით, მუკდენი დამოუკიდებელი მოლაპარაკების გამართვას აპირობს საბჭ. კავშირთან

შეერთებულ შტატებში დაიწყო მძაფრი ეკონომიური კრიზისი

ღირსეული პასუხი მიიღეს

ჩინეთის ბანდებმა და რუს თეთრგვარდიელებმა

ჩინელ თეთრგვარდიელთა თავდასხმა მოგერიებულ იქნა

ხაბაროვსკი, 23 ნოემბერი. ნოემბრის პირველ რიცხვებიდან ჩინეთის ჯარმა, რომელიც დაბანაკებულია მანჯურიის რაიონში, მდ. არგუნზე, ნერჩინსკის ქარხნის აღმოსავლეთით, ზარბაზნებისა, ტყვიამფრქვევებისა და თოფების სროლა აუტეხა ჩვენს სანაპირო ნაწილებს და საზღვართან, მდ. არგუნზე მცხოვრებ მშვიდობიან მოსახლეობას. სროლის გამო ოლოჩინსკაიას და აბაგატუევსკაიას სტანიცების მცხოვრებნი იძულებულნი გახდნენ შეეწყვიტათ პურის ლეწვა და სხვაგან გადასახლებულიყვნენ. **სტანიცების მცხოვრებთა შორის არიან მოკლულნი და დაჭრილნი.**

ჩინეთის ჯარი ამით არ დაკმაყოფილდა. 13 ნოემბრიდან დაწყებული **ჩინეთის სარდლობას გადმოყავს ჩვენს ტერიტორიაზე თეთრგვარდიელთა რაზმები**, რომელთაც ტრიოხრეჩიეს რაიონში ადგენენ. ტყვედ ჩავარდნილი თეთრგვარდიელების ჩვენებით, მათ დაევალათ გამანადგურებელი მუშაობის წარმოება ჩვენს ზურგს უკან.

15 ნოემბერს ჩინეთის ჯარის ნაწილმა, ერთ ბატალიონამდე, მე-86 ბაქანის რაიონში სცადა შემოტევა, მაგრამ **ჩვენმა სანაპირო რაზმმა მოიგერია.** 16 ნოემბერს ჩინეთის ჯარის საგრძნობმა ძალებმა არტილერიის დახმარებით კვლავ შეუტიეს აბაგადუევსკაიას სტანიცას და მე-86 ბაქანს.

ჩინეთის ჯარის პროვოკაციულ მოქმედებას ადგილი ჰქონდა არა მარტო ზაბაიკალიეში, არამედ პრიმორიეშიც, პოლტავსკაიას, პოგრანიჩნაიას და ტურიი როგის რაიონებში. რადგან ჩინელი ჯარი ყოველდღე ესროდა ჩვენს სანაპირო რაზმს და მშვიდობიან მცხოვრებლებს მოსაზღვრე ზოლის მოსახლეობამ თავი მიანება მინდვრის სამუშაოს და სხვაგან გადასახლდა.

ამავე დროს პრიმორიეში გახშირდა თეთრგვარდიელების თავდასხმა ჩვენს ტერიტორიაზე მიშანფუს რაიონიდან, სადაც ჩვენ ზურგს უკან მოქმედებისათვის თეთრგვარდიელთა რაზმებს აწყობდნენ.

15 ნოემბრიდან დაწყებული ჩინეთის სარდლობა გაფაციცებით გზავნიდა ჯარს პოგრანიჩნაიასა და მიშანფუს სადგურებზე თავდასასხმელად. ამავე დღიდან ჩინეთის ჯარი, ერთ ბატალიონამდე, სცდილობდა შესეოდა სადგურ პოგრანიჩნაიას რაიონს. 17 ნოემბერს, დილიდან ჩინელმა ცხენოსნებმა ტურიი როგისა და სოფ. პერვომაისკის რაიონში გადმოლახეს ჩვენი საზღვარი და შეუტიეს ჩვენს სანაპირო რაზმს.

შორეულ აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის გამო, შორეული აღმოსავლეთის განსაკუთრებული არმიის სარდლობა იძულებული გახდა მიეღო თავის მხრივ საწინააღმდეგო ზომები ჩვენი საზღვრების დასაცავად და სანაპირო მოსახლეობისა და ჩვენი ზურგის უზრუნველსაყოფად.

ამიტომ შორეული აღმოსავლეთის განსაკუთრებული არმიის ნაწილებმა, როგორც ზაბაიკალიეში, ისე პრიმორიეში, 17 ნოემბერს მოიგერიეს ჩინეთის ჯარის შეტევა, დაედევნენ მას ჩინეთის ტერიტორიაზე და ჩვენი საზღვრიდან შორს განდევნეს.

განიარაღებულ იქნა 8.000-ზე მეტი ჩინელი ჯარისკაცი და სამასი აფიცერი. მათ ჩამოერთვათ 10.000 თოფი და საველე ზარბაზნების სასროლი ნივთიერების და სხვა საომარი მასალის საგრძნობი რაოდენობა. (ადს)

იაპონიის წრეების ცნობით

მუკდენი უშუალო მოლაპარაკებას აპირებს საბჭოთა კავშირთან

შანხაი, 22 ნოემბერი. იაპონური წყაროებიდან გადმოცემული ცნობებით, **მუკდენმა საბოლოოდ გადასწყვიტა, დაიწყოს საბჭოთა კავშირთან უშუალო მოლაპარაკება აღმოსავ. - ჩინეთის რკინის გზის შესახებ.** მუკდენის წარმომადგენლად **ინიშნება ველინგტონ კუ. ამ გადაწყვეტილების მიღების მიზეზებად სთვლიან ნანკინის მთავრობის დამარცხებას სამხრეთში, არეულობას მანჯურიაში, ნანკინის დახმარების უქონლობას** და იმ ფაქტს, რომ ჩინელ თეთრგვარდიელთა ჯარის საბჭოთა ტერიტორიაზე არა ერთი თავდასხმა გადაჭრით იქნა მოგერიებული წითელი არმიის მიერ (ადს).

მუშათა მასიური პროცესი ბულგარეთში

ვენა, 22 ნოემბერი. **როგორც სოფიიდან იუწყებიან, იქ დაიწყო მასიური პროცესი რევოლიუციონერ მუშებისა სტოიანოვის მეთაურობით.** ამ უკანასკნელს ჰბრალდება ბულგარეთის არალეგალური კომპარტიის მდივნად ყოფნა. სასამართლო შეუდგა სტოიანოვის დაკითხვას. სტოიანოვმა ამხილა პროცესის პოლიტიკური მიზანი და ტუსაღთა წამების სისტემა, რომელსაც მიმართავენ ბულგარეთის პოლიცია და სასამართლო ორგანოები.

პროცესის პირველსავე დღეს სასამართლოს შენობის წინ სოფიის მუშებმა გამართეს რევოლიუციონური საპროტესტო დემონსტრაცია კლასობრივი იუსტიციისა და ტერორის რეჟიმის წინააღმდეგ, საყოველთაო ამნისტიისა და კომუნისტური პარტიის ლეგალიზაციის სასარგებლოდ. პოლიცია თავს დაესხა დემონსტრანტებს, გაჰფანტა ისინი და რამდენიმე მუშა დააპატიმრა. (ადს).

„აყვავების ხანა" ამერიკაში დასრულდა

დაიწყო მძაფრი ეკონომიური კრიზისი

რეფორმისტები სცდილობენ გაამაგრონ კაპიტალიზმი

ვაშინგტონი, 22 ნოემბერი. ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარე გრინი, თავმჯდომარის მოადგილე უოლი და სხვა რეაქციონური პროფბიუროკრატები **შეუთანხმდნენ ჰუვერსა და გამოჩენილ მრეწველებს თანამშრომლობის შესახებ. შეთანხმების მიზანია იმ გაფიცვების აცილება თავიდან, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას დაწყებულ ეკონომიურ კრიზისთან დაკავშირებით.** ჰუვერის განცხადებით, პროფმოძრაობის ხელმძღვანელებმა სიტყვა მისცეს მას, რომ **„ამჟამად სახელმწიფოში არ უნდა წარმოიშვას არავითარი მოძრაობა ხელფასის გადიდების სასარგებლოდ გარდა იმისა, რომლებიც უკვე დაწყებულია".** ერთდროულად ჰუვერმა განაცხადა, რომ მრეწველობის მიერ მისთვის მიცემულ განცხადებით, მათ არა აქვთ ხელფასის შემცირების განზრახვა.

ჰუვერმა განაცხადა, რომ „ამ დეკლარაციის მიზანია — დაარწმუნოს ქვეყანა, რომ სამრეწველო კონფლიქტები არსებულ პირობებში დაუშვებელია" (ადს).

მრეწველების თათბირი

ვაშინგტონი, 22 ნოემბერი. ჰუვერთან შესდგა თათბირი მსხვილი მრეწველობის გამოჩენილი წარმომადგენლების, მათ შორის ფორდის, ოუენ იუნგის და სხვ. მონაწილეობით. ჰუვერი, როგორც სჩანს, სცდილობს დაითანხმოს საქმიანი წრეების წარმომადგენლები ეკონომიური კრიზისის შემდგომი გაღრმავების თავიდან აცილების მიზნით, არ შეამცირონ წარმოება და მშენებლობა.

პრეზიდენტის წარმომადგენლის ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია: „თათბირი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თანამშრომლობისა და პასუხისმგებლობის სულის განვითარება ამერიკის საქმიან წრეებში უკვე იმგვარია, რომ საქმიან წრეებს შეუძლია და უნდა მიიღონ თავის თავზე პასუხისმგებლობა სამრეწველო და სავაჭრო აპარატის მობილიზაციისათვის და თანამშრომლოს მთავრობის ორგანოებთან. კომიტეტმა, რომელიც შეიქმნება საქმიანი წრეების წარმომადგენლებისაგან, ხელი უნდა შეუწყოს მშენებლობას და უმუშევრობის ზრდის თავიდან აცილებას".

თათბირის შემდეგ **ფორდმა**, წინააღმდეგ ჰუვერის არა ერთი ოპტიმისტური განცხადებისა, სთქვა, რომ **მრეწველობა დეპრესიას განიცდის მოსახლეობის სუსტი სყიდვითი უნარიანობის გამო.** საბირჟო კრახი ამ გარემოების შედეგია და არა პირიქით. ფორდის აზრით, კრიზისის დაძლევა შეიძლება ფასების დაკლების და ხელფასის გადიდების გზით. (ადს).

ეკონომიური კრიზისის აშკარა ნიშნები

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი. ეკონომიური ორგანო „ჯორნალ ოფ კომერს" სწერს:

„ამერიკის სხვადასხვა რაიონებში **აშკარად სჩანს კრიზისის ნიშნები მრეწველობაში. მრავალ საქმიან პირებს არა აქვთ მომავლის იმედი და ისინი ერიდებიან საქონლის შეძენას".**

გაზეთების სიტყვით, საფეიქრო ფაბრიკები სამხრეთში კვირაში მხოლოდ 4 დღეს იმუშავებენ. (ადს)

ნიუ-იორკის ბირჟაზე

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი. 22 ნოემბერს აქციების კურსი განაგრძობდა აწევას. 21 ნოემბერს სამი საათის განმავლობაში (ბირჟა ახლა მხოლოდ სამი საათით იღება) გაიყიდა 3 მილიონი აქცია. (ადს)

ამხ. ბოგომოლოვის პროტესტი

ლვოვის საბჭ. საკონსულოზე თავდასხმის გამო

ვარშავა, 22 ნოემბერი. პოლონეთის პრესა არ მალავს, რომ იგი თანაუგრძნობს იმ ფაშისტ - თავდამსხმელებს, რომელნიც სცდილობდნენ საბჭოთა საკონსულოს აკლებას ლვოვში. მათ თანაუგრძნობს „ექსპრეს პორანნიც". რომელმაც მშვენივრად იცის, თუ ვინ მოაწყო თავდასხმა.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა **ბოგომოლოვმა ინახულა ზალესკი და პროტესტი განუცხადა ლვოვის ხელისუფლების იმ წარმომადგენლეთა ყოფა - ქცევის გამო, რომელთაც არ მიიღეს ზომები თავდასხმისაგან საბჭოთა საკონსულოს (ლვოვში) დასაცავად.** ბოგომოლოვი ლვოვში მომხდარ ამბავს უკავშირებს ბოლო დროს სრულუფლებიანი წარმომადგენლობის წინააღმდეგ წარმოებულ ანტისაბჭოთა კამპანიას. (ადს)

უნგრეთის მემაღაროენი განაგრძობენ გაფიცვას

ვენა, 22 ნოემბერი. **შალგოტარიანში (უნგრეთი) მემაღაროენი გაფიცვას განაგრძობენ. მრეწველების ცდა ლოკაუტით და ბინებიდან გაძევებით მოეღოთ ბოლო გაფიცულთა წინააღმდეგობისათვის უშედეგოდ დამთავრდა.**

პროფკავშირის რევოლიუციონური ფრთის წინადადებით, გაფიცულთა კრებამ ერთხმად დაადგინა—განაგრძოს გაფიცვა და მხედველობაში არ მიიღოს ის მოლაპარაკება, რომელსაც რეფორმისტების დელეგაცია ფარულად აწარმოებს საბადოების ადმინისტრაციასთან

ახ. კომინტერნის 10 წლის თავი

საზეიმო სხდომა ბერლინში

ბერლინი, 22 ნოემბერი. ახალგაზრდობის კომინტერნის 10 წლის არსებობის გამო, 20 ნოემბერს შესდგა კრება. **ბერლინის კომუნისტური ახალგაზრდობა და მუშები შემჭიდროებული რიგებით მოვიდნენ კრებაზე.** კრება გაიხსნა მაშინ, როდესაც ტრიბუნაზე დროშებით გამოჩნდნენ კომუნისტური ახალგაზრდობის დელეგაციები, ანტიფაშისტური გვარდია, რომლის პირველ რიგებშიაც მოდიოდნენ გერმანიის კომკავშირის ც. კ-ის წევრები, გერმანიის კომპარტიის ც. კ-ის წევრები, ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის ძველი გვარდია და უცხოეთიდან ჩამოსული ძმური დელეგაციები. მათ მქუხარე ტაშით ხვდებოდნენ. საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ **სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, ბლიუხერი, ხითაროვი.** მათ არჩევასაც ტაშით შეხვდნენ. შემდეგ დამსწრეებმა „ინტერნაციონალი" იმღერეს. ახალგაზრდობის კომინტერნის დამაარსებელთა სახელით გამოვიდა **მიუცენბერგი.** უცხოეთის იმ დელეგაციების სახელით, რომლებიც კრებას დაესწრნენ, მისალმებით გამოვიდნენ პოლონეთისა და ბულგარეთის წარმომადგენელნი. **ტელმანმა** გააკეთა მოხსენება ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირისა და კომპარტიის ურთიერთობის და გერმანიის რევოლიუციონური ახალგაზრდობის პოლიტიკური ამოცანების შესახებ.

ტელმანის სიტყვის შემდეგ ტრიბუნაზე გამოჩნდნენ ფორმაში გამოწყობილი წითელ ფრონტელთა აკრძალული კავშირის რაზმები, რომელთაც კრება დაუსრულებელი ტაშით შეხვდა. (ადს).

უკრაინის პასუხი

თეთრგვარდიელ „განმათავისუფლებს"

ხარკოვი, 22 ნოემბერი. გაზეთებში გამოქვეყნებულმა ცნობამ, რომელიც შეეხება სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს მიერ აღმოჩენილი კონტრრევოლიუციონური ორგანიზაციის — „უკრაინის განთავისუფლების კავშირი"-ს—საზიზღარ მუშაობას, გამოიწვია უკრაინის ყველა- მშრომელთა ღრმა აღშფოთება.

დამკვრელთა კონფერენციამ კრემენჩუგში, მხურვალე მისალმება გაუგზავნა სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს—„პროლეტარული დიქტატურის ერთგულ დარაჯს". მუშები მოითხოვენ კონტრ-რევოლიუციონერთა უსასტიკესად დასჯას. (ადს).

ხარკოვი, 23 ნოემბერი. უკრაინის ცაკის სესიის სხდომაზე აკადემიკოსმა კორჩაკ--ჩეპურკოვსკიმ უკრაინის სამეცნიერო აკადემიის სახელით მკაცრი პროტესტი განაცხადა, და აღშფოთება გამოსთქვა იმის გამო, რომ კონტრ-რევოლიუციონერებს სურთ მტრული ძალების ინტერესები და ბოროტი მუშაობა, რომელსაც ისინი უკრაინაში აწარმოებდნენ, დაფარონ მეცნიერების, კულტურისა და ნაციონალური განთავისუფლების ინტერესებით. „იმ ამოცანებს,—განაცხადა ამხ. კორჩაკმა,— რომლებსაც „უკრაინის განთავისუფლების კავშირი" ისახავდა, საერთო არაფერი ჰქონდა უკრაინის კულტურის ინტერესებთან; მათ უნდოდათ დამხობილი კაპიტალიზმის აღდგენა და მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლების დაბრუნება პროლეტარებსა და მშრომელებზე გასაბატონებლად. საქმე შეეხებოდა არა უკრაინის განთავისუფლებას, არამედ იმ უკმაყოფილებას, რომელსაც მათში იწვევს ჩვენი მშენებლობის სოციალისტური ხასიათი და უკრაინაში სოციალისტური კულტურის გამარჯვება. თავისუფალი საბჭოთა უკრაინის დამხობა,—აი რას ელტვოდნენ სოციალიზმის მშენებლობის ეს მტრები. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია თამამად და მტკიცედ დაგარწმუნოთ თქვენ, რომ სრულიად უკრაინის სამეცნიერო აკადემიის როგორც უფროსი, ისე უმცროსი თაობის მეცნიერულ ძალებს შორის, აკადემიკოსთა განახლებულ და გადიდებულ შემადგენლობაში მკაცრ პროტესტსა და აღშფოთებას გამოიწვევს კონტრ-რევოლიუციონერთა ცდა—ამოეფარონ უკრაინული კულტურის ინტერესებს". (ადს).

კომუნალური არჩევნები გერმანიაში

სრული და საბოლოო ცნობები კომუნალური არჩევნების შესახებ ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება, მაგრამ არჩევნების მთავარი შედეგები უკვე ცხადი ხდება.

სოციალ-ფაშიზმის დამარცხება და კომპარტიის გამარჯვება ბერლინში და მთელ რიგ სამრეწველო ქალაქებში (მაინის ფრანკფურტში, აახენში, კენისბერგში და სხვაგან), ნაციონალ-სოციალისტური ფრთის და ფაშიზმის (ჰიტლერის მომხრენი) დიდი გამარჯვება და დამარცხება იმ პარტიებისა, რომელთაც მისდევენ წვრილი ბურჟუაზიისა და მოსამსახურეების საგრძნობი ფენები (ნაციონალისტები, დემოკრატები)—ასეთია არჩევნების ძირითადი ბალანსი.

რას მოწმობს ეს ბალანსი? იმას, რომ გერმანიაში სწრაფი პროცესით მიდის კაპიტალისტური სტაბილიზაციის შერყევა, სწრაფი ტემპით მწვავდება კლასობრივი წინააღმდეგობა და რომ გერმანია შეუჩერებლად უახლოვდება ახალ „1923 წელს". ეს იმას მოწმობს, რომ კაპიტალისტური სტაბილიზაციის კრიზისი იმდენად შორს წავიდა, რომ მუშათა კლასის და წვრილი ბურჟუაზიის ფართო მასები სტოვებენ იმათ რიგებს, რომლებიც ხმას აძლევენ კაპიტალისტური სტაბილიზაციის პარტიის კანდიდატებს და აშკარად აცხადებენ, რომ მათ წინანდებურად აღარა სურთ ცხოვრება. კომუნალური არჩევნების ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი უსათუოდ არის სოციალ-ფაშისტების დამარცხება. ისევე, როგორც კაპიტალისტური სტაბილიზაციის პირველ წლებში გერმანიის სოციალ-დემოკრატიის გავლენის ზრდა გამოხატავდა კაპიტალისტური სტაბილიზაციის წარმატებას და მასების ილიუზიას უკანასკნელის მიმართ, ეხლაც სოციალ-ფაშიზმის დამარცხება გამოხატავს კაპიტალიზმის სტაბილიზაციის ღრმა კრიზისს და მასების წინანდელი ილიუზიებისაგან განთავისუფლების პროცესს. კოალიციონური პრაქტიკის წლინახევრის სეანსი მოწმობს, რომ სოციალ-ფაშიზმის გავლენა საგრძნობლად შეირყა. მთელი რიგი წლების გამარჯვების შემდეგ სოციალ-დემოკრატია კვლავ დადგა თავისი მტკიცე დასაყრდენის ფეხიდან გამოცლის საფრთხის წინაშე,

სოციალ-დემოკრატია ჰკრეფდა მუშებისა და წვრილი ბურჟუაზიის ხმებს იმდენად, რამდენადაც იგი გამოდიოდა, როგორც ოპოზიციონური პარტია (1924-დან 1928 წლამდე), რამდენადაც იგი სასტიკად აკრიტიკებდა ბურჟუაზიული ბლოკის პოლიტიკას და იძლეოდა ბევრ დაპირებას („სამუშაო ხელფასის პრობლემა, პოლიტიკური პრობლემა",—ეუბნებოდნენ ისინი მუშათა მასებს და ამით აგებინებდნენ, რომ მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება დაკავშირებულია კოალიციაში სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობასთან). მაგრამ ბურჟუაზიამ სოციალ-ფაშისტები მთავრობის სუფრის გარშემო დასხა არა მარტო სოციალ-დემაგოგიაში ვარჯიშობისათვის, არამედ იმისათვისაც, რომ მას ეხელმძღვანელა მუშათა კლასზე შეტევისათვის, მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის განადგურებისათვის და გერმანიის საომარი მზადებისათვის.

სოციალ-ფაშისტური ეტაპი სოციალ-დემოკრატიის ევოლიუციაში უსათუოდ უკავშირდება მის კოალიციურ პრაქტიკას. ხმის მიცემა ჯავშნოსნების აგებისათვის, საპირველმაისო დემონსტრაციის მონაწილეთა დახვრეტა, წითელ ფრონტელთა კავშირის დაშლა, იძულებითი არბიტრაჟი, რომელსაც ატარებდა შრომის მინისტრი ვისელი, კანონი უმუშევრობის დაზღვევისათვის ხარჯების შემცირების შესახებ, არაპირდაპირი გადასახადთა გადიდება,—აი რით ისახელეს თავი „კოალიციონურმა" სოციალ-ფაშისტებმა. პარალელურად სდგას სოციალ-ფაშისტური პროფბიუროკრატია, რომელიც ებრძვის გაფიცვების გაძლიერებას, აშკარად გამოდის შტრეიკბრეხერების როლში და რეპრესიებით ემუქრება იმ დამქირავებლებს, რომლებიც შეუთანხმდებიან გაფიცულებს. სოციალ-ფაშისტური კოალიციონური პრაქტიკა სოციალ-დემოკრატიის მთელი ევოლიუციის ბუნებრივი შედეგია: ეს პრაქტიკა არის ის მთავარი „დამსახურება", რომლითაც სოციალ-ფაშისტებმა 1928 წელს დაამარცხეს ნაციონალისტები.

ეს სოციალ-დემოკრატიული კოალიციონური პრაქტიკა იმავე დროს მუშათა ფართო მასებისათვის ნათელს ხდის სოციალ-დემოკრატიის ნამდვილ როლს კოალიციაში და ნიადაგს აცლის სოციალ-დემოკრატიის გავლენას მასებში.

სოციალ-დემოკრატები იძლეოდნენ დაპირებას, რომ როცა ისინი ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგებოდნენ, გაადიდებდნენ სამუშაო ხელფასს; ამის ნაცვლად ვხედავთ უმუშევრობის საოცარ ზრდას, რევოლიუციის ტალღების ამოძრავებას, მუშების მასიურად შემცირებას. ისინი იძლეოდნენ დაპირებას, რომ გაადიდებდნენ რეალურ სამუშაო ხელფასს, მაგრამ ამის ნაცვლად იზრდება ბაჟი მთავარ საკვებ პროდუქტებზე. ისინი იძლეოდნენ დაპირებას სახელმწიფოს დემოკრატიზაციის შესახებ ,მაგრამ ამის მაგიერ ჰკვეცენ ადგილობრივ თვითმმართველობათა უფლებებს და დღის წესრიგში სვამენ ბურჟუაზიული პარტიების მოთხოვნათა განხორციელებას კონსტიტუციის რეფორმის შესახებ. ისინი პირმოთნეობით და დემაგოგიურად ბრალს სდებდნენ ბურჟუაზიულ ბლოკს მილიტარისტულ მისწრაფებებში, ხოლო როცა კოალიციაში შევიდნენ, შეუდგნენ ჯავშნოსნების შენებას.

რამდენად საგრძნობია სოციალ-ფაშისტების დამარცხება, ამას ყველაზე უფრო ნათელჰყოფენ არჩევნები ბერლინში, სადაც სოციალ-დემოკრატებმა დაჰკარგეს 164.000 ხმა (ამომრჩეველთა ერთ მეხუთედზე მეტი), ხოლო კომუნისტებმა 8 მთავარ რაიონში შეჰკრიბეს მეტი ხმა, ვიდრე სოციალ-დემოკრატებმა. კომუნისტების ამ გამარჯვების შემდეგ ბერლინის მუშურ ნაწილში პოლიტიკური ჰეგემონია სოციალ-ფაშიზმიდან გადადის კომპარტიის ხელში. ეჭვს გარეშეა, ჩვენი პარტია ამჟამად ბერლინში პოლიტიკურად უფრო ძლიერია, ვიდრე სოციალ-ფაშიზმი. მაგრამ თუ დღეს სოციალ-ფაშისტურ პრაქტიკას ასეთი ჯამი გაუკეთა მხოლოდ პროლეტარულმა ბერლინმა, ხვალ მას ასეთსავე ჯამს გაუკეთებს მთელი მუშური გერმანია.

დღეს სოციალ-ფაშიზმის დამარცხება განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ბერლინში. სწორედ აქ აღიმართა მაისში ბარიკადები, აქ გამოიჩინა კომპარტიამ უდიდესი ინიციატივა ეკონომიური ბრძოლის გასაჩაღებლად და წარმოებებში თავის გავლენის განსამტკიცებლად, აქ განავითარა პარტიამ რევოლიუციონური პროფოპოზიციის სისტემატიური მუშაობა.

მეორეს მხრით, სწორედ აქ მოქმედებენ ცერგიბელები, სწორედ აქ უთხრიდა ძირს პროფბიუროკრატია მილის გამყვანთა გაფიცვას და იწვევდა შტრეიკბრეხერებს გერმანიის ყოველ კუთხიდან.

მაგრამ ცერგიბელები, ურიხები (მელითონეთა კავშირის პროფბიუროკრატიის ლიდერი) და შნეიდერები მარტო ბერლინში არ არიან. ცერგიბელების, ურიხების და შნეიდერების დაფნის გვირგვინისათვის ოცნებობენ ჰამბურგის, კელნის, ჰალეს და მუშათა ყველა სხვა ცენტრების უამრავი პოლიცეი-პრეზიდენტი და პროფბიუროკრატიის ბელადი. სოციალ-ფაშიზმის დამარცხება აიძულებს მას, სოციალ-ფაშიზმს, ახალ-ახალი იერიშები დაიწყოს რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ.

კომუნალური არჩევნების შედეგი დააჩქარებს სოციალ - ფაშიზმის შემდგომ ევოლიუციას. ბურჟუაზიას სოციალ-ფაშიზმი სჭირდება როგორც მმართველი პარტია იმდენად, რამდენადაც სოციალ-ფაშისტებს ძალუძთ გაატარონ კაპიტალისტური რაციონალიზაცია, შეამცირონ სოციალური ხასიათის ხარჯები, შეაიარაღონ გერმანია, ერთის სიტყვით, განამტკიცონ გერმანიის იმპერიალიზმი და ამავე დროს დაეყრდნონ პროლეტარიატის ფართო მასებს. ამ მასების დაკარგვით სოციალ-ფაშიზმი ჰკარგავს თავის მთავარ იარაღს ბურჟუაზიის თვალში. სოციალ-ფაშიზმი, რომელიც მასებს ჰკარგავს, თვითვე სპობს თავის ღირებულებას ბურჟუაზიისათვის. რითი შეუძლია სოციალ-ფაშიზმს აუნაზღაუროს ბურჟუაზიას თავისი გავლენის დაკარგვა მასებში? იმით, რომ იგი უფრო მტკიცედ და თანამიმდევრობით ახორციელებს შეტევას პროლეტარიატის წინააღმდეგ, გაჰყავს მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის განადგურების პოლიტიკა, და, მაშასადამე, იმით, რომ უფრო აშკარად იყენებს ფაშისტურ მეთოდებს იმ ბრძოლაში, რომელსაც იგი აწარმოებს კაპიტალისტური სტაბილიზაციის განმტკიცებისათვის.

ტყუილად კი არ განაცხადეს არჩევნების წინ სოციალ-ფაშიზმის ლიდერებმა, რომ ისინი მზად არიან შეუთანხმდნენ ბურჟუაზიას მუშათა კლასის წინააღმდეგ მიმართული იერიშის გაძლიერებაში. ტყუილად კი არ მოამზადა ჰილფერდინგმა საფინანსო რეფორმა, რომელიც სატრესტო კაპიტალს 700 მილიონ მარკას ჰმატებს, ხოლო მუშათა კლასს არაპირდაპირი გადასახადების გზით ახალ 800 მილიონ მანეთს სტაცებს.

ნაციონალ-სოციალისტების გამარჯვება იმდენადვე ნათელია, რამდენადაც სოციალ-ფაშისტების დამარცხება. ბერლინში, მაგალითად, ნაციონალ-სოციალისტებმა, წინანდელთან შედარებით, სამჯერ მეტი ხმა მიიღეს (39.000 ხმის ნაცვლად, 132.000 ხმა). რას გვიმტკიცებს ეს ფაქტი? იმას, რომ ქალაქის წვრილი ბურჟუაზია და მოსამსახურენი დიდად უკმაყოფილონი არიან. კატასტროფიული დამარცხება, რომელიც დემოკრატებმა ბერლინში განიცადეს მაშინ, როდესაც მათ დიდი გავლენა ჰქონდათ მოსამსახურეთა შორის, და ნაციონალისტების დამარცხება გვიჩვენებს, რომ ჰიტლერის მომხრეთა აგიტაციას, რომელიც თავაშვებული ნაციონალისტური და სოციალური დემაგოგიით არის გაჟღენთილი, დიდის თანაგრძნობით ჰხვდებიან ის მოსამსახურენი, რომელთაც დაჰკარგეს რწმენა კაპიტალისტური სტაბილიზაციის „სასწაულმოქმედებისადმი".

მაგრამ ნაციონალ-სოციალისტების გამარჯვება ბურჟუაზიას ძვირად დაუჯდა. ნაციონალ-სოციალისტებმა რამდენიმე ახალი ასი ათასი ამომრჩეველი მიიმხრეს იმით, რომ გამოვიდნენ მსხვილი კაპიტალის წინააღმდეგ მებრძოლთა დროშით, იუნგის გეგმის წინააღმდეგ მებრძოლთა დროშით. ნაციონალ-სოციალიზმი, ერთის მხრით, ობიექტიურად აშორებს მასებს კაპიტალისტურ რაციონალიზაციასთან და იუნგის გეგმასთან რევოლიუციონური ბრძოლის გზას, მაგრამ, მეორეს მხრით, მის სოციალურ დემაგოგიას მოტყუებული მასები სუბიექტიურად ისე ითვისებენ, როგორც ანტი-კაპიტალისტურს, რაც მასების მწვავე უკმაყოფილებას გამოხატავს. ამრიგად, ნაციონალ-სოციალიზმი ცეცხლს ეთამაშება.

კომუნალურმა არჩევნებმა კომპარტიას გამარჯვება მოუპოვეს.

კომუნალური არჩევნების შედეგებს, უეჭველია, გულდასმით შეისწავლის ჩვენი ძმური პარტია. იმ ორგანიზაციების მუშაობისა და ბრძოლის გამოცდილებას, რომლებმაც კომუნალურ არჩევნებში სერიოზული გამარჯვება მოიპოვეს, გაითვალისწინებს მთელი პარტია. ბოლშევიკური თვითკრიტიკის დახმარებით, პარტია ნათელჰყოფს იმის მიზეზებს, თუ რატომ ვერ შესძლო პარტიამ ზოგიერთ ადგილას მთელი თავისი ამომრჩევლების დარაზმვა, რატომ ვერ შესძლო მან ამ ადგილებში დაერაზმა ყველა ის მუშები, რომლებმაც გასწყვიტეს კავშირი სოციალ-ფაშიზმთან. არ შეიძლება არავითარი ეჭვის შეტანა იმაში, რომ ამის ძირითადი მიზეზი იყო ის ოპორტუნიზმი, რომლითაც პრაქტიკულ მუშაობაში ჯერ კიდევ დაავადებულია პარტიის ზოგიერთი წრე და პარტიული კადრების ერთი ნაწილი. საქსონიის არჩევნების გაკვეთილების სპეციალური ანალიზი უეჭველად დაამტკიცებს, რომ მარცხის ერთი მიზეზთაგანი იყო არა საკმაო გარკვეულობა იმ ბრძოლაში, რომელსაც პარტია მემარჯვენე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ აწარმოებდა. პარტიამ საკუთარი სისუსტისა და დეფექტების დაუფარავად თავისი მთავარი მახვილი უეჭველად უნდა მიმართოს პრაქტიკული ოპორტუნიზმის (საქარხნო მუშაობაში, პროფესიონალურ, მუნიციპალურ და სხვა საქმიანობაში) წინააღმდეგ, ვინაიდან ახალი გამარჯვებისაკენ სვლა მხოლოდ ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლით არის შესაძლებელი.

კომუნალურმა არჩევნებმა ბალანსი გაუკეთეს მემარცხენე და მემარჯვენე რენეგატების მოქმედებას, ტროცკის მომხრეებმა სათანადო პასუხი მიიღეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლებისთვის, „ბურჟუაზიული რევოლიუციონერის"—ჩან-კაი-შის დაცვისათვის. მათ დაჰკარგეს თავიანთ ამომრჩეველთა სამი მეოთხედი. უკანასკნელთა უმრავლესობა დაუბრუნდა კომპარტიის მებრძოლ რიგებს. „გაცოფებული წვრილი ბურჟუების" პატარა ჯგუფები კი (ამის შესახებ მშვენიერად ლაპარაკობს ზული, რომელიც ერთ დროს ტროცკის მომხრეთა ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა) დაქანდნენ... ნაციონალ-სოციალიზმის ბანაკამდე.

გაკოტრებული აღმოჩნდა რენეგატების მეორე ჯგუფი „კომოპოზიცია"—ბრანდლერის მიმდევრები. ვერ იხსნა ისინი ბევრ ადგილას დადებულმა ბლოკმა სოციალ-ფაშისტებთან. ბრანდლერის მომხრეთა მთავარ სიმაგრეში ლეიპციგში (საქსონია) მათ მიიღეს 5.000 ხმა კომუნისტების მიერ მიღებული 54.000 ხმის წინააღმდეგ. სამაგიეროდ ბრესლავლში (სილეზია), საიდანაც მოცემული იყო ახალი პარტიის შექმნის ნიშანი, ბრანდლერის მომხრეებმა სასტიკი მარცხი განიცადეს: პარტიის 15.342 ამომრჩეველს დაუპირდაპირდა... 824 რენეგატი!

წითელ ბერლინში ბრანდლერის მომხრეებმა თავიანთი საარჩევნო სიის წამოყენებაც კი ვერ გაბედეს.

ასეთია რენეგატების მოქმედების შედეგი. მათგან ერთნი (ტროცკის მომხრენი) უკვე გაირიყნენ აბობოქრებული რევოლიუციონური ტალღის მიერ, ხოლო მეორეთა (ბრანდლერის მომხრეთა) ცდა—აეცდინათ მუშათა მასები რევოლიუციონური გზიდან, გაკოტრებით დამთავრდა.

ბურჟუაზიული და სოციალ-ფაშისტური გაზეთები არჩევნების შედეგების გამო თავიანთ უკმაყოფილებას გამოსთქვამენ. ისინი გრძნობენ ახალი ქარიშხალის მოახლოებას. წითელ ბერლინში მოპოვებული გამარჯვებით გამხნევებული ჩვენი პარტია კი გაითვალისწინებს სხვა რაიონებში დაშვებულ დეფექტებს და ახალი ძალით შეუდგება მომენტის ყველაზე უფრო აქტუალური ამოცანის—მუშათა კლასის უმრავლესობის დაპყრობის გადაჭრას, და წაიყვანს ამ მუშათა კლასს ახალი რევოლიუციონური ბრძოლების გზით.

„პრავდა", 23 ნოემბერი.

ორშაბათს, 25 ნოემბერს, საღამოს სრულ 6 საათზე
გ ა გ რ ძ ე ლ დ ე ბ ა
საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის
მე-8 გაფართოებული პლენუმის სხდომა
(საქმიან კლუბში—რუსთაველის პრ. 21, შესავალი რუსთაველის თეატრის ეზოდან)
საქ. კომპ. (ბ) თბ. საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმი.

წიგნი მასებს

ყველა სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს

ძვირფასო ამხანაგებო!

სოციალისტური მშენებლობის ჩქარი ტემპი და გეგმით გათვალისწინებული უდიდესი სამუშაოების განხორციელება კატეგორიულად გვიყენებს კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის ყოველმხრივ გაშლის ამოცანას და მშრომელთა მასების კულტურულ რევოლუციაში ჩაბმის საქმეს.

კულტურული რევოლუციის მიზნების წარმატებით განხორციელება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ამ საქმეს ყოველი ღონისძიებით, ენერგიულად ხელს შეუწყობენ პარტიული, საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციები და საბჭოთა საზოგადოებრიობა.

კულტურული მშენებლობის ერთ-ერთი უაღრესი მნიშვნელობის დარგი არის საბიბლიოთეკო საქმე. საბიბლიოთეკო მუშაობის გაუმჯობესება და გაძლიერება, წიგნის მასებამდე მიყვანა, მასიური მკითხველის შექმნა—აი, დაუყოვნებლივ გადასაწყვეტი მორიგი ამოცანა. ამ ამოცანისა და საკითხის გადაწყვეტისა და პრაქტიკული განხორციელებისათვის ამჟამად საქართველოს სსრ მასშტაბით გატარებულ უნდა იქნას „საბიბლიოთეკო ლაშქრობა“. კონკრეტულად „საბიბლიოთეკო ლაშქრობა“ მიზნად ისახავს ყოველის ღონისძიებით ხელისშეწყობას, რათა წიგნი დაუახლოვდეს მასიურ მკითხველს, რის განხორციელებაც შეიძლება წიგნის საწარმოთათვის, ორგანიზაციათათვის და დაწესებულებათათვის მიწოდებით, მუშების ფართო დაკრედიტებით, წიგნის ფასის დაკლებით ლაშქრობის დროს, მასიური (პოპულიარული) ლიტერატურის გამოშვებით, კრებებისა და მოხსენებების მოწყობით, კიოსკების გახსნით და წიგნთმტარებლობის შექმნით.

ყველა ამ ღონისძიების განხორციელება საჭიროებს მტკიცე მატერიალურ ბაზას. უამისობა მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზია საბიბლიოთეკო მუშაობის ფართოდ გაშლისა და მორიგი ლოზუნგის განხორციელებისა „წიგნი მასებს“. და აი, სწორედ ამაში უნდა დაეხმარონ წიგნისა და ბიბლიოთეკის საქმეს ჩვენი სამეურნეო, კოოპერატიული და სხვა ორგანიზაციები.

თვითეული ასეული და ათასეული მანეთი შესაძლებლობას მოგვცემს უფრო უკეთესად და ფართოდ დავაკმაყოფილოთ მასების კულტურული მოთხოვნილებანი. „საბიბლიოთეკო ლაშქრობის“ სალაროში უნდა შევიდეს ყველა სამეურნეო ორგანიზაციის მიერ საამისოდ გადადებული სახსარი. ცნობები ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ გადადებული თანხებისა და სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების გამოწვევის შესახებ უნდა იბეჭდებოდეს პრესაში, რაც გააძლიერებს სახსართა გამოღების საქმეს და ხელს შეუწყობს კამპანიის წარმატებით ჩატარებას—ახალი ბიბლიოთეკების გახსნისა და არსებული ბიბლიოთეკების გაფართოების და შევსების მიზნით.

საქ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—ფ. მახარაძე.

„სოფლის მეურნეობის განვითარება საბჭოთა კავშირში მთელ მსოფლიოს გააოცებს“

(საუბარი ამერიკელ პროფესორ ვეჯვუდთან)

თბილისში გზად შეიარა საბჭოთა მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის საკითხების, კერძოდ, მსხვილი საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის საკითხების გამო კონსულტაციისათვის მოწვეული ამერიკელი პროფესორი, სოფლის მეურნეობის ცნობილი სპეციალისტი პროფ. ვეჯვუდი.

პროფ. ვეჯვუდი საბჭოთა კავშირში ივლისის უკანასკნელ რიცხვებში ჩამოვიდა. მან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონში გაიცნო სოფლის მეურნეობის მდგომარეობა.

ჩვენს თანამშრომელს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა პროფ. ვეჯვუდთან.

„ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში ჩამოსვლამდე,— განაცხადა ვეჯვუდმა,— მე დეტალურად ვეცნობოდი, რასაკვირველია, თეორეტიულად, სოფლის მეურნეობის მდგომარეობას საბჭოთა კავშირში და მისი განვითარების პერსპექტივებს. ამ გაცნობამ დამარწმუნა, რომ სოფლის მეურნეობის წინაშე საბჭოთა კავშირში გადაშლილია დიდი შესაძლებლობანი. ჩამოსვლის შემდეგ, უპირველეს ყოვლისა, დავრწმუნდი, რომ ჩვენი ცნობები საბჭოთა კავშირის შესახებ არ არის სრული და საგრძნობლად დამახინჯებულია, მეორე— დავრწმუნდი, რომ აქ არა მარტო დაისახეს, არამედ ცხოვრებაში ატარებენ იმ ღონისძიებებს,—უფრო სწორად რომ ვთქვა, სოფლის მეურნეობის ძველი საფუძვლების გარდატეხას, — რომლებსაც ამ მეურნეობის გაუგონარი აყვავება მოჰყვება. მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებას საბჭოთა კავშირში მოჰყვება ისეთი შედეგები, რომლებიც მთელ მსოფლიოს გააოცებენ.

მართალია, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხვედრითი წონა მსოფლიო ბაზარზე რევოლუციის დროს დაეცა, მაგრამ აქედან არ შეიძლება ისეთი დასკვნის გამოტანა, როგორიც გამოაქვს უცხოეთის პრესის ერთ ნაწილს, — თითქოს სოფლის მეურნეობა საბჭოთა კავშირში განუწყვეტელ დეგრადაციას განიცდიდეს. ეს სისულელეა.

თქვენ ახლა გადადიხართ განსაზოგადოებულ სოფლის მეურნეობაზე. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რამდენად უფრო რაციონალური და ეფექტიურია განსაზოგადოებული, ვიდრე ინდივიდუალური სოფლის მეურნეობა, მაგრამ არ კმარა მარტო განსაზოგადოება სოფლის მეურ.-სა. საჭიროა კიდევ როგორც ტეხნიკის, ისე ქიმიის უკანასკნელი სიტყვის გამოყენება. საბჭოთა კავშირში არა თუ ესმით ეს ამოცანები, არამედ მათ კიდევაც ახორციელებენ.

სამანქანო - სატრაქტორო სადგურებმა პირველი მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს სოფლის მეურნეობის გარდაქმნის საქმეს. თქვენმა ცდებმა პურეულის სხვადასხვა სახის გადაჯვარების საქმეში გასაოცარი ნაყოფი გამოიღეს და ფესვები გაიდგეს სოფლის მეურნეობაში. სამეცნიერო - საგამოკვლევო მუშაობა სათანადო დონეზე სდგას. თუ ამას მივუმატებთ გლეხობის უდიდეს მისწრაფებას სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებისაკენ, მივიღებთ განვითარებისათვის საჭირო ყველა ფაქტორებს.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის მსოფლიო მიმწოდებელთა რიცხვიდან ყოფილი რუსეთის გამოსვლა მეტად მოკლე ხნის მოვლენას წარმოადგენს. საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე ახლო მომავალში სრულ გამარჯვებას მოიპოვებს. აქ გაუგონარი სისწრაფით მიმდინარეობს მსოფლიოში უდიდესი მარცვლეულის გიგანტების მშენებლობა. ამ მშენებლობაში გათვალისწინებულია ყველა ფაქტორები, რომლითაც მაქსიმალური ეფექტის მოცემა შეუძლიათ“.

„აზნეფტი“-ს მიღწევები

ბაქო, 23 ნოემბერი. 21 ნოემბერს გაიხსნა ბაქოს დამკვრელი ბრიგადების საქალაქო კონფერენცია.

„აზნეფტ“-ის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ბარინოვმა განაცხადა, რომ უკანასკნელი წლის განმავლობაში ჩვენ 87 პროცენტით გადავაჭარბებთ ომის წინა პერიოდის დონეს; „აზნეფტ“-ს ნავთის ამოღების მხრით მეორე ადგილი უკავია დედამიწაზე, ხოლო განვითარების ტემპის მიხედვით, იგი ახლო მომავალში პირველ ადგილს დაიჭერს. 1923 წელს ერთი ტონას თვითღირებულება 10 მანეთს უდრიდა. რაციონალიზაციის გამო, წელს თვითღირებულება 4 მ. 80 კაპ. შემცირდა.

ახლო მომავალში „აზნეფტ“-ი დაიწყებს ბაქო-ბათუმის ახალი ნავთსადენის აგებას. წელს ბათუმში აიგო 15 ახალი ქარხანა, აქედან ექვსი—ბენზინის და 4 ნავთის სახდელად (ოდს).

მივაღწიოთ ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა მთელი ასი პროც. გაერთიანებას კოოპერაციაში

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია საკმაო ყურადღებას არ აქცევს სოფლის შეუძლო ფენების გაერთიანებას კოოპერაციაში, დამაკმაყოფილებლად ვერ იყენებს ღარიბი გლეხობის კოოპერაციაში გაერთიანების ფონდებს, რის გამოც ჩვენ ვამჩნევთ, რომ კოოპერაციაში გაერთიანებულ ღარიბ გლეხობის მეურნეობათა პროცენტი მცირეა, ხოლო კოოპერაციაში გაერთიანებული შეძლებული გლეხობის მეურნეობანი დიდ პროცენტს შეადგენენ“... „დაწყებულ იქნას გადამწყვეტი ბრძოლა კლასობრივი ხაზის ყოველგვარ დამახინჯებასთან სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო კოოპერაციაში, გაძლიერდეს ღარიბი გლეხობის გაერთიანება კოოპერაციაში და ამ მიზნით თავის დროზე იქნას გამოყენებული ღარიბთა ფონდები“.

ღარიბი გლეხობისა და მოჯამაგირეების კოოპერატიული შეკავშირების დეფექტები

პარტიის სოფლად მუშაობის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს სამედო დასაყრდენის შექმნა ღარიბ გლეხობისა და მოჯამაგირეთა სახით. პარტიის ღონისძიებანი მიმართულია იქითკენ, რათა ხელი შეუწყოს ღარიბი გლეხობისა და მოჯამაგირეების პოლიტიკურ აქტივობის ზრდას და მათი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამიტომ მე-15 ყრილობის თქმით, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა სამომხმარებლო, საკრედიტო და სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის მხრივ ღარიბი გლეხობისა და მოჯამაგირეებისადმი, მათი 100 პროცენტით კოოპერაციაში გაერთიანებისათვის. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დანიშნულებაა, რათა მან პირველ რიგში შესძლოს ღარიბ გლეხთა მეურნეობის კოოპერატიული შეკავშირება. ამ მიზნით კოოპერატიული ორგანიზაციების მოგებიდან განსაზღვრული ანარიცხების გადადებით იქმნება ფონდი, რომლის დანიშნულებაა—დახმარის ღარიბ გლეხობას და მოჯამაგირეობას კოოპერატიულ გაერთიანებაში.

როგორც გამოკვლევებმა გამოაშკარავა, საქართველოს სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ადგილობრივ ორგანიზაციებს (როგორც მაგალითად სამხრეთ ოსეთში, ხონკში, ახალქალაქის მაზრაში და სხვაგან) დღემდე არ აქვთ შეგნებული ღარიბთა და მოჯამაგირეთა კოოპერატიული გაერთიანების პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა. ამით აიხსნება, რომ ბევრგან კოოპერატივები არ ასრულებენ პარტიის დირექტივებს ღარიბთა ფონდების შექმნის და ამ ფონდების მხოლოდ და მხოლოდ ღარიბთა კოოპერატიული შეკავშირებისათვის გამოყენების შესახებ. ბევრგან (როგორც მაგ. ხონკის მაზრაში) თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევენ მოჯამაგირეთა მიზიდვას კოოპერაციაში და განსაკუთრებით გაურბიან მოჯამაგირეთა შეყვანას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში იმ მოტივით, რომ მოჯამაგირეები არ არიან სამეურნეო ერთეულის მფლობელნი და ისინი ვითომდა ამის გამო ვერაფერს ვერ შემატებენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის დადგენილებაში აღნიშნავს მთელ რიგ დეფექტებს ღარიბთა და მოჯამაგირეთა კოოპერატიული გაერთიანების მუშაობაში. სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრს (ცეკავშირს) და „სოფლის კავშირს“ მიეცა დირექტივა, რათა 1930 წლის დასასრულისათვის მოხდეს მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხობის კოოპერატიული შეკავშირება სრული 100 პროცენტით. სოფლის შეუძლო ფენების კოოპერაციის სისტემაში ჩასმისათვის სერიოზულ ერთ-ერთ დამაბრკოლებელ გარემოებას უნდა იქნას მიჩნეული ის, რომ მცირეა ღარიბთა კოოპერატიული გაერთიანების ფონდი, კოოპერაციის ბევრი ხელმძღვანელი ვერ შეუგნია მე-15 ყრილობის დადგენილების უდიდეს მნიშვნელობა, არ სწარმოებს ღარიბთა და მოჯამაგირეთა შორის სათანადო წინასწარი ახსნა-განმარტებითი კამპანია და ბევრგან დიდია დღემდე საპაიო გადასახადი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში (20—25 მანეთი), რაც საშუალებას უსპობს განსაკუთრებით მოჯამაგირეებს კოოპერაციაში შესვლისათვის.

ამიტომ სცნო საჭიროდ საქართველოს კომპარტიის ცეკამ სასოფლო -სამეურნეო კოოპერაციის და სასოფლო- სამეურნეო კრედიტის სისტემის მთელი ხაზის, ნაცვლად 15 პროცენტისა 1928—29 წლის მოგებიდან, 20 პროცენტის გადარიცხვა ღარიბთა კოოპერატიული შეკავშირების ფონდში. გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიექცეს ღარიბთა კოოპერატიული ფონდის გადანაწილებას, რათა ჩამორჩენილ რაიონებმა ღარიბთა კოოპერატიული შეკავშირების მხრივ, წინ წაიწიონ. დღემდე კი ფონდების ასეთ გადანაწილებას ნაკლები ყურადღება ექცეოდა და ამით აიხსნება, რომ საქართველოს სხვადასხვა რაიონები დიდათ განსხვავდებიან ღარიბ გლეხობის და მოჯამაგირეების კოოპერატიული გაერთიანების მხრით.

ღარიბთა კოოპერატიული ფონდების განაწილებაში მეტი გეგმიანობის შესატანად, საქართველოს კომპარტიის ცეკა დადგენილებაში საჭიროდ სცნობს ყველა ფონდების კონცენტრაციას სოფლის კავშირში, რომელთა „განაწილება და მოწესრიგება ხდება სასოფლო- სამეურნეო ბანკის ხაზით სპეციალური კომისიის მიერ, რომელშიაც შედიან წარმომადგენლები, სოფლის კავშირის, მიწათმოქმედების კომისარიატის, კოლმეურნეობათა ცენტრის და გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის“ იმისათვის, რათა შესაძლებელი გახდეს დასახული გეგმის განხორციელება და ღარიბი გლეხობის და მოჯამაგირეების კოოპერაციაში ჩაბმა, ცეკა იძლევა დირექტივებს ღარიბ გლეხობის და მოჯამაგირეების კოოპერატიული შეკავშირების წარმოებისა მთელი წლის განმავლობაში და რაც მთავარია მომავალ ანარიცხების ანგარიშშიც კი.

ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა თვალყური უნდა ადევნონ ღარიბთა კოოპერატიული გაერთიანებისათვის დანიშნულ ფონდების თავის დროზე და სათანადო მიმართვას, „ცეკა კატეგორიულ წინადადებას აძლევს საოლქო და სამაზრო კომიტეტებს გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი ამ ფონდების ეფექტიურად გამოყენებისათვის“.

კოოპერატიული ორგანიზაციები დღემდე ვერ აქცევენ სათანადო ყურადღებას ღარიბთა მასიურ გაერთიანებას კოოპერაციაში და ვერ დაუღწევიათ თავი ღარიბთა მექანიკური ჩარიცხვისათვის კოოპერაციაში. ჩვენმა კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა უნდა შესძლონ —ნათქვამია ცეკას რეზოლუციაში —ღარიბთა მეტი პროცენტის ჩაბმა კოოპერატიულ ორგანიზაციებში და გარდა ამისა აღკვეთონ ღარიბთა კოოპერაციაში მექანიკური ჩაწერის ყოველგვარი ცდა.

კოოპერატიული ორგანიზაციების ამოცანას წარმოადგენს, რათა მათ შესძლონ დანიშნულ დროისათვის (1930 წლის დასასრულისათვის) ღარიბი გლეხობის და მოჯამაგირეთა ასი პროცენტით გაერთიანება კოოპერაციაში. კოოპერაციის ლოზუნგია: მომავალ წლის განმავლობაში: არც ერთი ღარიბი გლეხი და მოჯამაგირე კოოპერაციის გარეშე.

რა გააკეთა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ ღარიბებისა და მოჯამაგირეების კოოპერატიულად გაერთიანებისათვის

(სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მასალებიდან)

მე-15 პარტ-ყრილობამ და მე-16 პარტკონფერენციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს სოფლის მოსახლეობის ძირითად მასის—მოჯამაგირეების, ღარიბ და საშუალო გლეხობის ფართოდ ჩაბმას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში. ამასთან დაკავშირებით პარტიულ უმაღლეს ორგანოებიდან მიცემული იყო დირექტივა, რათა მომხდარიყო უახლოეს ვადებში ღარიბთა და მოჯამაგირეთა მთელი მასის კოოპერატიულად გაერთიანება კოლმეურნეობებში. ამ მიზნით ყველა ტიპის სასოფლო სამეურნეო და საკრედიტო კოოპერატიულ ორგანოებს წინადადება მიეცათ შექმნან ღარიბთა ფონდები, როგორც საკუთარი საშუალებებით ისე სესხით და სხვა.

პარტიის უმაღლეს ორგანოების აღნიშნულ დირექტივის ცხოვრებაში გატარება პირველ რიგში მოითხოვდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წევრთა კლასიური ფიზიონომიის გამორკვევას, რაც არც ისე ადვილი იყო. ამ უკანასკნელ დრომდე არ იყო გამორკვეული სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის წევრთა სოციალური მდგომარეობა; მხოლოდ 1928 წლის უკანასკნელ თვეებში შესაძლებელი გახდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წევრთა სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის გამოკვლევა. ეს მუშაობა მთლიანად ჩატარებულ იქნა საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ.

გამოკვლევის მიხედვით საქართველოში ღარიბ გლეხთა მეურნეობის რიცხვი გლეხობის საერთო მასასთან შედარებით შეადგენს 32,1 პრ.; საშუალოების—62,9 პრ.; და კულაკების —5 პრ. საქართველოს ტერიტორიაზე ღარიბთა მეურნეობა დაახლოვებით 140 ათასს უდრის.

გლეხურ მეურნეობის ზემოდ მოყვანილ რაოდენობიდან 1928 წელში, სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების ხაზით გაერთიანდა 32.598 ღარიბთა მეურნება, ამნაირად 1928 წელში კოოპერატიული გაერთიანების გარეშე დარჩა ღარიბი მოსახლეობის 107.310 მეურნეობა. ამ უკანასკნელ წლებში შემჩნეულია, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში თანდათან იზრდება ღარიბთა მეურნეობის ხვედრითი წონა. მაგალითად 1927—28 სამეურნეო წელი ხასიათდება კოოპერაციის წევრთა სწრაფი ზრდით. ამ წელს კოოპერაციის წევრთა რიცხვის საშუალო ზრდა გამოიხატება 32,7 პროცენტში. წევრთა ყველაზე მეტი ზრდა შემჩნეულია დასავლეთ საქართველოში (33,6 პრ.), აღმოსავლეთ საქართველოში კი შედარებით ნაკლებია—(31,5 პრ.).

1927—28 წელში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წევრთა შემადგენლობა უმთავრესად გაიზარდა ღარიბთა ხარჯზე. მაგ. ღარიბების რიცხვი კოოპერაციაში 1928 წლის მოწურულში გაიზარდა 44,5 პროცენტით, საშუალო გლეხების—29,4 პრ., და შეძლებულების 18,9 პრ. ეს ციფრები იმას ამტკიცებს, რომ სასოფლო სამეურნეო კოოპერაცია თავის გარშემო რაზმავს ღარიბ გლეხებს.

გასულ სამეურნეო წელს (1928—29) კოოპერაციაში გაერთიანებულ იქნა 22.021 ღარიბთა მეურნეობა, გაუერთიანებელი დარჩა კი 85 ათასი ღარიბი გლეხის მეურნეობა.

„სოფლის კავშირმა“ ჩაატარა 94 ამხანაგობათა გამოკვლევა იმ მიზნით, რომ გამოერკვია თუ რამდენი ღარიბი გლეხის მეურნეობაა გაერთიანებული 1928—29 წლის განმავლობაში ღარიბთა ფონდის ანგარიშში. გამოკვლევამ ასეთი სურათი მოგვცა. 1927 წლის 1 ოქტომბრისათვის კოოპერაციაში გაერთიანებული მეურნეობები იყო 160 მეურნეობა, 1928 წ. 1 ოქტომბრისათვის 3.543 და 1929 წლის 1 ოქტომბრისათვის 13.301 მეურნეობა. ამნაირად ღარიბთა მეურნეობის კოოპერატიულად გაერთიანება 1928—29 წელში 1927—28 წელთან შედარებით გაიზარდა 375 პროცენტით. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ 94 ამხანაგობას ღარიბთა მეურნეობის კოოპერაციაში გასაერთიანებლად ფონდში ირიცხებოდა 120.255 მანეთი. აქედან დახარჯული იქნა 74.466 მან.

როგორც ვხედავთ, გასულ სამეურნეო წელში მთავარი ყურადღება ექცეოდა ღარიბთა მეურნეობის გაერთიანებას კოოპერაციაში.

რაც შეეხება მოჯამაგირეების გაერთიანებას კოოპერაციაში უნდა აღინიშნოს შემდეგი: მოჯამაგირეთა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში გაერთიანების მხრივ არაფერი არ გაკეთებულა. მუშაობის ამ ფრონტს ყურადღება სრულებით არ ექცეოდა. კიდევ მეტი: ზოგიერთი მუშაკები ვერ აფასებენ მოჯამაგირეთა კოოპერაციაში გაერთიანების მნიშვნელობას, მათ ზედმეტად მიაჩნიათ მოჯამაგირეების გაერთიანება კოოპერაციაში. ამ აზრს ისინი იმით ასაბუთებენ, რომ მოჯამაგირეები ისეთი ელემენტებია, რომლებიც არა აქვთ საკუთარი მეურნეობა და აქედან მათი გაერთიანება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში შეუძლებელია. ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ კოოპერატიულ ორგანოებში მომუშავე ზოგიერთი ამხანაგები არ იცნობენ პარტორგანიზაციების ამოცანებს მოჯამაგირეთა კოოპერაციის მუშაობაში ჩაბმის აუცილებლობის შესახებ. ასეთ შეხედულებას დაუყოვნებლივ უნდა მოეღოს ბოლო, ვინც ასე უყურებს მოჯამაგირეთა კოოპერაციაში გაერთიანების საკითხს, ის რა თქმა უნდა ვერ გაატარებს პარტიისა და ხელისუფლების პოლიტიკას სოფლად. ჩვენი დამკვრელი ამოცანა არის: არც ერთი მოჯამაგირე კოლმეურნეობათა და კოოპერატიულ გაერთიანებათა გარეშე.

პროფკავშირების ცნობებით მიწა-ტყის მუშათა კავშირში გაერთიანებულია 11.019 მოჯამაგირე, მაგრამ პროფკავშირების სუსტი მუშაობის გამო კავშირს გარეთ დარჩენილია 6—7 ათასი მოჯამაგირე. სულ საქართველოში (აფხაზეთის გამოკლებით) გვყავს 15 ათასამდე მოჯამაგირე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ღარიბებიდან კოოპერაციაში გაერთიანებულია 35 ათასი მეურნეობა, მოჯამაგირეებიდან კი 15 ათასი, ე. ი. სულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში გაერთიანებულ უნდა იქნეს 100 ათასი მეურნეობა.

ღარიბ გლეხთა მეურნეობის და მოჯამაგირეთა კოოპერატიულად გაერთიანებას ხელს უშლის ერთი გარემოება. ეს არის საპაიო გადასახადის სიდიდე. საპაიო გადასახადის რაოდენობა იმდენად დიდია, რომ ის მძიმე ტვირთად აწვება ღარიბ გლეხებს. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საპაიო გადასახადი უდრის —20—25 მანეთს. ასეთი მდგომარეობა უსათუოდ უნდა შეიცვალოს და უნდა დაწესდეს ღარიბებისათვის საპაიო გადასახადი არა უმეტეს 10 მანეთისა, ხოლო მოჯამაგირეებისთვის კი 5 მანეთისა. ამჟამად მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რეორგანიზაცია, რომლისაც უნდა დაუკავშირდეს აგრეთვე საპაიო გადასახადის რეორგანიზაცია, რადგან ამის გარეშე შეუძლებელი იქნება ღარიბ გლეხების და მოჯამაგირეების მასიური კოოპერატიული შეკავშირება.

უმაღლეს პარტიულ ორგანოების დირექტივების თანახმად ღარიბ გლეხებისა და მოჯამაგირეების კოოპერატიულად გაერთიანების დროს ღარიბთა ფონდში გადარიცხულ უნდა იქნეს საპაიო გადასახადის 25 პროცენტი, საწევრო გადასახადის კი 100 პრ.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას ღარიბ გლეხების და მოჯამაგირეების კოოპერატიულად გასაერთიანებლად შემუშავებული აქვს გეგმა, რომელიც დამტკიცებულ იქნა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას პრეზიდიუმის მიერ. ამ გეგმის მიხედვით ზემოაღნიშნულ 100 ათასი ღარიბ გლეხის მეურნეობა და მოჯამაგირეების კოოპერაციაში გაერთიანება უნდა დამთავრდეს 1931 წლის პირველ იანვრამდე. ე. ი. ამ ხნის განმავლობაში არც ერთი მოჯამაგირე და ღარიბი გლეხის მეურნეობა არ უნდა დარჩეს კოოპერაციის გარეშე.

ანი.

ღარიბთა და მოჯამაგირეთა შეკავშირება სამომხმარებლო კოოპერაციაში

ღარიბ გლეხების და მოჯამაგირეების სამომხმარებლო კოოპერაციაში შეკავშირება—პარტიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. საქ. კომპარტიის ცეკამ ამ საკითხის შესახებ მიღებულ სპეციალურ დადგენილებაში საჭიროდ სცნო 1930 წლის დამლევამდე ღარიბთა და მოჯამაგირეთა მთელი ასი პროცენტით სამომხმარებლო კოოპერაციაში გაერთიანება.

სამომხმარებლო კოოპერაციაში ღარიბ გლეხების გაერთიანებას ცეკავშირი აწარმოებდა გასულ წლებშიაც — ეგრედ წოდებულ ღარიბთა ფონდების საშუალებით და ამ მიმართულებით ჩატარებულ მუშაობის შემდეგ საგრძნობი მიღწევები გვაქვს.

სტატისტიკური ცნობების მიხედვით მთელ საქართველოში (აფხაზეთის გამოკლებით) 1928 წ. 1-ლ ოქტომბრისათვის*) ღარიბ გლეხურ მეურნეობების რიცხვი კოოპერაციაში უდრიდა 129.522-ს, ანუ მთელი გლეხური მეურნეობის 32,4 პროცენტს.

1928 წლის პირველ ოქტომბრისათვის ღარიბ გლეხთა მეურნეობის საერთო რაოდენობიდან (129.522) სამომხმარებლო კოოპერაციაში გაერთიანებული იყო — 68.632 მეურნეობა (52,9 პროც.). ამ რიცხვიდან 31.610 მეურნეობა (46 პროც.) კოოპერაციაში გაერთიანებულ იქნა ღარიბთა სპეციალურ ფონდიდან.

კიდევ უფრო სწრაფი ტემპით სწარმოებდა ღარიბ გლეხების კოოპერაციაში გაერთიანება 1928-29 წლის განმავლობაში. მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრამდე ღარიბთა ფონდების საშუალებით კოოპერაციაში გაერთიანებულ ღარიბ გლეხების მეურნეობათა რიცხვი უდრის — 31.827-ს, რაც სჭარბობს მთელი გასული წლების განმავლობაში კოოპერაციაში შეკავშირებულ ღარიბ გლეხების მეურნეობათა რაოდენობას.

ამნაირად, 1929 წლის პირველ ოქტომბრისათვის სამომხმარებლო კოოპერაციაში შეკავშირებული იყო 68.632 ღარიბთა მეურნეობა, (მთელი ღარიბი გლეხების მეურნეობის 77,5 პროც.) 1929 წლის პირველ ოქტომბრისათვის კოოპერაციაში შეუკავშირებელი დარჩა 29.640 ღარიბი გლეხის მეურნეობა. დღემდე სუსტად სწარმოებდა კოოპერაციაში ღარიბთა გაერთიანება სამხრეთ-ოსეთში, ხონისა და ახალქალაქის მაზრებში.

სამომხმარებლო კოოპერაციაში ღარიბ გლეხების შემდგომი გაერთიანებისათვის ცეკავშირს გამომუშავებული აქვს გეგმა. ამ გეგმის მიხედვით 1930 წლის 31 დეკემბრამდე ღარიბთა ფონდების საშუალებით სამომხმარებლო კოოპერაციაში გაერთიანდება დღემდის შეუკავშირებელი ყველა ღარიბ გლეხთა მეურნეობა (29.640) და ყველა მოჯამაგირე. ხოლო დარჩენილი თანხები გამოყენებული უნდა იქნას ღარიბ გლეხთა მეურნეობის ოჯახის მეორე წევრთა კოოპერაციაში შესაკავშირებლად.

კოოპერაციაში ღარიბ გლეხთა მეურნეობებს შორის წევრის ფართოდ ჩაბმის მიზნით, ცეკავშირს გეგმით გათვალისწინებული აქვს გასცეს ღარიბთა ფონდიდან სესხათ ღარიბ მეურნეობათა პირველი წევრის შესაკავშირებლად 2 მან. და 50 კაპ. სულზე, ხოლო მოჯამაგირეების და ღარიბ მეურნეობათა მეორე წევრის შესაკავშირებლად—1 მანეთი სულზე. სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ კანონი დიფერენციალური პაის შესახებ, უფლებას აძლევს ღარიბ გლეხთა მეურნეობებს სამომხმარებლო კოოპერაციაში შესაკავშირებლად პირველად შეიტანონ არა ნაკლებ ერთი მანეთისა — საპაიო ანარიცხების ანგარიშში, მოჯამაგირეებმა კი 50 კაპ., ხოლო ღარიბ მეურნეობათა მეორე წევრებმა 25 კაპ.

სესხი ღარიბთა ფონდიდან გაიცემა მხოლოდ საპაიო ანარიცხებისათვის, რაც შეეხება საწევრო თანხებს, ასეთი უნდა გაიღოს თვით კოოპერაციაში შემსვლელმა. ეს არის კოოპერატიული აქტივობის მინიმუმი, რომელიც აუცილებლად უნდა გამოიჩინოს თვითეულმა ღარიბ მეურნე გლეხმა და მოჯამაგირემ. სესხი გაიცემა 3-დან 5 წლის ვადით. ამ ხნის განმავლობაში კოოპერაციაში შეკავშირებულმა უნდა დაფაროს არა მარტო სესხად მიღებული თანხა, არამედ მთელი საპაიო ანარიცხიც.

გეგმის მიხედვით, ღარიბთა ფონდის შესაქმნელ წყაროს როგორც გასულ წლებში, ისე მიმდინარე წელშიაც შეადგენს საპროცენტო ანარიცხები, როგორც ადგილობრივ კოოპერატივების, ისე ცეკავშირის მოგებიდან. ღარიბთა ფონდის შესაქმნელად ადგილობრივი კოოპერატივები მოგებიდან გადასდებენ 10-დან 25 პროცენტამდე. თანხების გადადების დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, თუ რამდენი პროცენტია ღარიბთა მეურნეობების შეკავშირებული 1929 წლის პირველ ოქტომბრამდე. ღარიბთა ფონდში ცეკავშირი გადასდებს მოგებიდან 5 პროცენტს. ადგილობრივი კოოპერატივების და ცეკავშირის მიერ გადადებული თანხების რაოდენობა შეადგენს 131.990 მანეთს, გასული წლის ღარიბთა ფონდიდან გამოუყენებელი თანხები 40 ათას მანეთს; 12.400 მანეთი შემოვა წინად გაცემული სესხებიდან; ყველა ეს თანხები კი იქნება არა ნაკლებ 184.390 მანეთისა. გარდა ამ თანხისა, ცეკავშირთან შეიქმნება ღარიბთა შესაკავშირებელი საკავშირო ფონდი 30 ათასი მანეთის რაოდენობით. საკავშირო ფონდიდან თანხები მიეცემათ იმ მცირე შეძლების კოოპერატიულ ორგანიზაციებს, რომლებიც ჩამორჩენილი არიან ღარიბთა შეკავშირების მხრივ. სულ ღარიბთა ფონდის რაოდენობა შეადგენს 214.390 მანეთს. ამ ფონდიდან ღარიბ გლეხთა მეურნეობის პირველ წევრთა კოოპერაციაში შეკავშირებისათვის დაიხარჯება — 74.100 მანეთი. ამ თანხით კოოპერაციაში გაერთიანდება 29.640 ღარიბი მეურნეობა. დარჩენ 140.290 მანეთით კოოპერაციაში გაერთიანდება 15 ათასი მოჯამაგირე და 125.290 ღარიბ გლეხთა მეურნეობის ოჯახის მეორე წევრები.

ამნაირად 1930 წლის 31 დეკემბრამდე სამომხმარებლო კოოპერაციაში შეკავშირებული იქნება 15 ათასი მოჯამაგირე, 129.522 ღარიბ მეურნეობის ოჯახის პირველი წევრი და 125.290 ღარიბ მეურნეობის ოჯახის მეორე წევრი. სულ 269.812 წევრი.

როგორც ზემოდ მოყვანილი ცნობებიდან სჩანს, ცეკავშირს დასახული აქვს ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანა კოოპერაციაში ღარიბ მეურნეობათა შეკავშირებისათვის ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოვალეობაა ყოველ მხრივ შეუწყონ ხელი ცეკავშირის მიერ დასახულ გეგმის მთლიანად განხორციელების საქმეს.

ნ. ს.

---

*) ყველა ფაქტიური მასალები ამოღებულია ცეკავშირის გეგმიდან ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეების კოოპერატიულ შეკავშირების შესახებ.

პარტიული მშენებლობა

კოოპერაციაში მოჯამაგირეთა გაერთიანებას სენაკის მაზრაში ნაკლები ყურადღება ექცევა; სენაკის მაზრის კოოპერაციაში ჯერ-ჯერობით გაერთიანებულია 7—8 მოჯამაგირე; ღარიბთა ფონდი მთლიანად არ არის გამოყენებული. კოოპერაციის ზოგიერთი მუშაკები სათანადოთ ვერ აფასებენ მოჯამაგირეთა კოოპერაციაში გაერთიანების მნიშვნელობას.

მეტი ყურადღება ღარიბ გლეხების და მოჯამაგირეთა კოოპერაციაში გაერთიანებას

სენაკის მაზრაში 1928 წელს 1-ლ ოქტომბრისათვის არსებობდა 9 რაიონული მთლიანი მომხმარებელი საზოგადოება. 1929 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის კი 11 მომხმარებელი საზოგადოება. რაიონული საწარმოო წამომყვანი გასულ წელს იყო სულ 63, ამჟამად კი არის—102. კოოპერაციის ქსელი თუმცა ნორმალურად იზრდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა ის მაინც საკმარისად არ არის გაშლილი.

გასულ წელს მაზრაში კოოპერაციაში გაერთიანებული იყო 16.130 წევრი, 1929 წ. 1-ლ ოქტომბრისათვის კი 21.391 წევრი.

მაზრის მასშტაბით კოოპერაციაში გასაერთიანებელი იყო სულ 6.730 ღარიბი გლეხი და მოჯამაგირე, აქედან 1928 წლის პირველ ოქტომბრისათვის კოოპერაციაში ჩაბმული იყო ღარიბი გლეხების 25 პროც., ხოლო 1929 წ. პირველ ოქტომბრისათვის 56 პრ. კოოპერაციაში შეკავშირებულ მოჯამაგირეთა რიცხვი კი სამწუხაროდ 7-8 კაცს არ აღემატება. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სამომხმარებლო საზოგადოებებს ღარიბთა ფონდები (4.000 მანეთი) არ გამოუყენებიათ, რაც დანაშაულად უნდა ჩაითვალოს.

უნდა აღინიშნოს, რომ კოოპერაციის ზოგიერთ მუშაკს წმინდა კომერციული გადახრა ახასიათებს. ისინი ხშირად ივიწყებენ კოოპერაციის ძირითად, კლასიურ ამოცანებს. ზოგიერთ მუშაკები ვერ აფასებენ მოჯამაგირეთა და ღარიბთა შორის მუშაობას, მოჯამაგირეების და ღარიბების კოოპერაციაში შეკავშირების უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობას.

მიუხედავად პარტიის უმაღლეს ორგანოების დირექტივისა, ჯერ კიდევ ყველა სამომხმარებლო საზოგადოებებთან არ ჩამოყალიბებულა ღარიბთა ჯგუფები (ნოქალაქევი, სენაკი, თამაკონი, ზანა), ზოგიერთ ადგილებზე კი ღარიბთა ჯგუფები მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. როგორც შემოწმებამ გამოამჟღავნა კოოპერაციის ზოგიერთი ხელმძღვანელები და კულტ - მომუშავეები არც კი იცნობენ პარტიის დირექტივებს ღარიბთა შორის მუშაობის შესახებ. შემჩნეულია აგრეთვე სამომხმარებლო საზოგადოებების მიერ ღარიბების მექანიკურად ჩაწერა კოოპერაციაში და წიგნაკების გაცემა ფორმალურად, ყოველგვარი წინასწარი ახსნა - განმარტებების გარეშე. ხაზი უნდა გაესვას აგრეთვე, ზოგიერთ თემსაბჭოების დაუდევრობას კოოპერაციაში შესაკავშირებელ ღარიბების შერჩევის საქმეში. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ შეძლებული გლეხები კოოპერაციაში ღარიბთა ფონდის ანგარიშში არიან მიღებული.

სენაკის მაზრის კოოპერატივების ქსელ საერთო ბრუნვა გაზრდილა 2.503.000 მანეთიდან 3.040.000 მანეთამდე. საპაიო თანხები გაზრდილია 103.720 მანეთიდან 153.606 მანეთამდე.

სოცშეჯიბრი მხოლოდ ქაღალდებზე გაგებითაა ამოწურული. პრაქტიკულად მხრივ თითქმის არაფერი არ გაკეთებულა. არ ჩატარებულა საკმაო მუშაობა ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის გასავრცელებლად კოოპერაციის წევრ გლეხებს შორის.

წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში კოოპერაციის მხრივ, დღემდე თითქმის არაფერი არ გაკეთებულა. მიმდინარე წელს კი მაზრის სამომხმარებლო საზოგადოებებმა იკისრეს თავიანთ ხარჯზე 50 ლიკპუნქტის გახსნა 1.600 მსმენელით.

მომავლისათვის მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ მოსახლეობის კოოპერატიულ განათლებას, მოჯამაგირეთა და ღარიბთა შორის მუშაობის გაღრმავებას და რაც მთავარია, მოჯამაგირეების და ღარიბ გლეხების ასი პროცენტით კოოპერაციაში გაერთიანებას.

გ. ბარამია.

ბრძოლა კადრებისათვის

„კადრების პრობლემა ამჟამად, მრეწველობის ტეხნიკური რეკონსტრუქციის პირობებში, წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის გადაუწყვეტ პრობლემას“.

სტალინი.

სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ებლანდელმა პერიოდმა უდიდესი სიმწვავით წამოაყენა პარტიის წინაშე კადრების პრობლემა. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის მასიური კოლექტივიზაცია მოითხოვენ უამრავ სპეციალისტს, რომელნიც უნდა იდგნენ მსოფლიო მეცნიერებისა და ტეხნიკის დონეზე და უძღვნენ წარმოების სოციალისტური რაციონალიზაციის ორგანიზატორები. მოთხოვნილება ახალ სპეციალისტებზე ყოველ თვე და წლითი-წლობით გაიზრდება იმის გამო, რომ სამეურნეო განვითარებაში ჩვენ თვალსაჩინო გადაჭარბებით ვასრულებთ ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ტემპებს. ამასთან ერთად, როგორც ვიცით, კადრების პრობლემას უმწვავესი ხასიათი ეძლევა ჩვენს ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლის გამწვავების ნიადაგზე შახტის საქმეს მოჰყვა მრავალი ახალი ფაქტი მავნებლობის და საბოტაჟისა ძველი ბურჟუაზიული სპეციალისტების მხრივ—საბჭოთა სახელმწიფოს და სოციალისტური წარმოების წინააღმდეგ. მავნებლობის ეს ფაქტები მოწმობენ ჩვენდამი მტრულად განწყობილი ელემენტების აქტივიზაციას ბურჟუაზიულ სპეციალისტთა წრეში, რაც აუცილებლად ზღუდავს ძველი სპეციალისტების გამოყენების შესაძლებლობას. მაგრამ ეს არ სცვლის იმ მდგომარეობას, რომ სპეციალისტების დიდი უმრავლესობა კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას, იღებს აქტიურ მონაწილეობას ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობაში პროლეტარულ სახელმწიფოს ორგანოების ხელმძღვანელობით.

ბუნებრივია, რომ ამ პირობებში პარტიამ ყურადღების ცენტრში მოაქცია ახალი, წითელი სპეციალისტების (მუშათა, მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა წრიდან) მომზადების საკითხი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივლისის (1928 წ.) პლენუმმა მიიღო უაღრესად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი უმაღლესი ტეხნიკური განათლების გარდასაქმნელად და ახალი სპეციალისტების მომზადების ტემპის გასაუმჯობესებლად და დასაჩქარებლად. მაგრამ, სერიოზული გაუმჯობესების მიუხედავად, სპეციალისტების მომზადების საქმეში ძირითადი გარდატეხა ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი (ნოემბრის) პლენუმი აღნიშნავს, რომ „ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებას არა დამაკმაყოფილებლად ასრულებენ, როგორც განათლების სახალხო კომისარიატისა და ს.მ.უ. საბჭოს ორგანოები, ისე პროფკავშირული და პარტიული ორგანიზაციები“.

საქართველოს პირობებში ინჟენერ-ტეხნიკოსთა მომზადების საკითხი უფრო მწვავეა, ვიდრე მთელ საბჭოთა კავშირში. საქართველოს სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სამეურნეო განვითარების ბევრად უფრო მაღალ ტემპებს (სამრეწველო პროდუქციის ზრდა 403 პროცენტით), ვიდრე საბჭოთა კავშირში, რაც ჩვენი ტეხნიკური კადრების უკიდურესი სიმცირის გამო (მრეწველობაში ჩაბმულ ინჟენერთა რიცხვი აღწევს 600 კაცს, ხოლო ტეხნიკოსების რიცხვი 900 კაცს), აორკეცებს ახალი სპეციალისტების მომზადების მნიშვნელობას. სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა (წინასწარი ვარაუდით) მოითხოვს 1.153 ინჟენერს. 2.180 ტეხნიკოსს, 1.450 აგრონომს, 2.400 (ახალი გამოანგარიშებით 4.800-ს) აგრო-ტეხნიკოსს. ამავე ვარაუდით დეფიციტი გამოიხატება შემდეგ ციფრებში: 178 ინჟენერი, 580 ტეხნიკოსი, 750 აგრონომი, 1.385 (ახალი გამოანგარიშებით 3.800) აგრო-ტეხნიკოსი. ამავე დროს კი ჩვენში სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ივლისის პლენუმის იმ გადაწყვეტილების შესრულება, რომელიც კადრების მომზადებას ეხება; ჩვენი საბჭოთა, სამეურნეო და პროფესიონალური ორგანოები მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს ადგებიან პარტიის ამ გადაწყვეტილებათა შესრულების გზას.

უმთავრესად ცუდად არის დაყენებული როგორც უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტების, ისე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო სპეციალისტების მომზადების გეგმიანი მოწესრიგების საქმე. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ ვერ შეიმუშავა საჭირო სპეციალისტთა კადრების რამდენადმე სწორი საკონტროლო ციფრები; ამაში, პირველ ყოვლისა, ბრალი მიუძღვით ჩვენს სამეურნეო ორგანოებს, რომელნიც სათანადოდ ვერ აფასებენ ახალი სპეციალისტების მომზადების მნიშვნელობას. კადრების ხუთწლიანი გეგმის ზემოთ მოყვანილი ციფრები, როგორც შემდეგ გამოირკვა, არ შეეფერებიან სახალხო მეურნეობის ცალკე დარგების კონკრეტულ მოთხოვნილებებს. სახელმწიფო საგეგმო კომისია თავის ვარაუდს შემდეგნაირად ახასიათებს: „საკითხი საქართველოს სახალხო მეურნეობისათვის საჭირო ტეხნიკური კადრების, კერძოდ, ინდუსტრიალურ ტეხნიკოსთა კადრების შესახებ ვერ ჩაითვლება სასურველი სისრულით და გარკვეულობით გადაწყვეტილად, რამდენადაც სახელმწიფო საგეგმო კომისიის განკარგულებაში არ მოიპოვება სამეურნეო და სახელმწიფო ორგანოების სწორი და საბოლოო განცხადებები აღნიშნული კადრების საჭირო რაოდენობის შესახებ“.

კადრების ხუთწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრების შემდგომმა განხილვამ ცენტრალური კომიტეტის აგიტპროპგანყოფილების თათბირზე დაამტკიცა, რომ ეს ციფრები სრულებით არ შეეფერებიან სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს. საჭიროა სასწრაფოდ გადასინჯულ იქნას ის ციფრები და შემუშავებული საჭირო ტეხნიკური კადრების ხუთწლიანი გეგმა (სავარაუდო მოთხოვნილება). უწინარეს ყოვლისა საჭიროა მოხდეს გარდატეხა სამეურნეო ორგანოებში, დაძლეულ იქნას მათ მიერ ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხის შეუფასებლობა. ბოლო უნდა მოეღოს ზოგიერთ საკონტროლო ორგანოს მიერ საკონტროლო ციფრების მექანიკურად შედგენას. მაგალითისათვის მოგვყავს ერთი ამხანაგის სიტყვები. მან თათბირზე სიტყვა-სიტყვით შემდეგი განაცხადა: „მე ადგილკომის თავმჯდომარედ ვიყავი „ხამშენ“-ში; ერთხელ მიმიწვიეს გამგეობაში, მითხრეს, რომ, საქართველოს ს.მ.უ. საბჭოს მოთხოვნის თანახმად, გადგენთ საჭირო სპეციალისტების ხუთწლიან გეგმასო, იქვე უცებ გამოიანგარიშეს და ამით გათავდა ყველაფერი.“ ამ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხისადმი ასეთი გულგრილი, ფორმალური, შეუწყნარებელი დამოკიდებულების მაგალითი მრავალია.

საჭიროა აგრეთვე ძირფესვიანად შეიცვალოს განათლების სახალხო კომისარიატის მუშაობა კადრების მომზადების საქმეში. განათლების სახალხო კომისარიატს ჯერ კიდევ არ შემუშავებია კადრების მომზადების ხუთწლიანი გეგმა, არ გამოურკვევია დაინტერესებულ ორგანოებთან ერთად საკითხი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ცალკე სპეციალობათა ტიპისა და ხასიათის შესახებ. ახალი ტეხნიკუმების მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა, რომელიც განათლების სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა, ცხოვრებისთვის სრულიად შეუსაბამო გამოდგა; 1929-30 წლისათვის ნავარაუდევი 4 ახალი ტეხნიკუმის ნაცვლად, საჭირო ხდება საფუძველი ჩაეყაროს 26 ახალ ინდუსტრიალურ და სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმს (ნაწილობრივ არსებულების რეორგანიზაციისა და არსებული ტეხნიკუმების განმტკიცების საშუალებით). განათლების სახალხო კომისარიატმა ს.მ.უ. საბჭოსთან ერთად სასწრაფოდ უნდა შეიმუშავოს, ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებთან შეფარდებით, სპეციალისტების მომზადებისა და ახალი ტეხნიკუმების მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა.

სპეციალისტების მომზადების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უმაღლესი და საშუალო ტეხნიკური განათლების რეფორმას. ტეხნიკური განათლების რეორგანიზაციის საქმეში ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა წამოაყენა შემდეგი ამოცანები: უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების სასწავლო მუშაობის ორგანიული და მუდმივი კავშირის გაძლიერება წარმოებასთან, უმაღლესი და საშუალო ტეხნიკური სკოლის პროლეტარიზაცია, სწავლების საქმის გარდაქმნა და ეფექტიურობის აწევა. ამ ამოცანების შესრულებას ჩვენ მხოლოდ ახლა ვიწყებთ, ჩვენ უაღრესად ჩამორჩენილნი ვართ. საქართველოს პოლიტეხნიკურმა ინსტიტუტმა ამ უკანასკნელ დროს მოახერხა თავისი ფაკულტეტების მიმაგრება სამეურნეო ორგანოებთან, მაგრამ ზოგიერთი სამეურნეო ორგანო ფორმალურად ეპყრობა ამ საქმეს, აქტიურ მონაწილეობას არ ღებულობს სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შედგენაში და მიმაგრებულ ფაკულტეტებს საჭირო მატერიალურ და ორგანიზაციულ დახმარებას არ უწევს.

განუწყვეტელი საწარმოო პრაქტიკის საკითხების გადაჭრა მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს ხდება. საქართველოს პოლიტეხნიკური ინსტიტუტი ღებულობს 800 ადგილს ზამთრის საწარმოო პრაქტიკისათვის საქართველოს მრეწველობაში. უნდა შევნიშნოთ, რომ თბილისის წვრილი მრეწველობის პირობებში შეუძლებელია განუწყვეტელი საწარმოო პრაქტიკის ისე გატარება, რომ სტუდენტობის ძირითად მასას მთელი წლის განმავლობაში რიგ-რიგობით ეცვლებოდეს სწავლა და საწარმოო პრაქტიკა. უფრო ცუდათაა საწარმოო პრაქტიკისა და მიმაგრების საქმე ტეხნიკუმებში, ტეხნიკუმების წინაშე ეს საკითხი სერიოზულად არც კი დასმულა.

საწარმოო პრაქტიკის საქმე სუსტად აქვს დაყენებული აგრონომიულ ფაკულტეტსაც. ამიტომ სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის, აგრონომიული ფაკულტეტისა და ტეხნიკუმების მთავარ ამოცანას წარმოადგენს სტუდენტობისა და მოწაფეების საწარმოო პრაქტიკის საქმის გაუმჯობესება. საჭიროა საწარმოო პრაქტიკის უაღრესად სერიოზულად დაყენება, შესწავლა და გატარება. სახალხო მეურნეობის ორგანოებს, სამეურნეო ორგანოებისა და მთელი პროლეტარული საზოგადოებრიობის გადაუდებელ ამოცანად უნდა გადაიქცეს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმის იმ დირექტივის შესრულება, რომელიც მოითხოვს „საწარმოო პრაქტიკის შემოღებას ყველა სასწავლებლებში, საწარმოო პრაქტიკის ვადების გადიდებას იმ ანგარიშით, რომ საწარმოო სწავლებისათვის საჭირო დრო აყვანილ იქნას 40-50 პროცენტამდე“.

გადამჭრელი კურსი, რომელიც აღებულია საწარმოო პრაქტიკის გაძლიერებისაკენ, მოითხოვს უმაღლესი და საშუალო სკოლის სასწავლო გეგმებისა და პროგრამების ძირფესვიანად გადასინჯვას იმ მხრივ, რომ თეორია დაკავშირებულ იქნას პრაქტიკასთან და შეამციროს მრავალსაგნიანობა.

გაბედულად უნდა განიტვირთოს პროგრამები და სასწავლო გეგმები ყოველივე დამამძიმებულისა და ზედმეტისაგან, იმ საგნებისაგან, რომლებსაც პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვთ განსაზღვრულ სპეციალობასთან. მაგრამ ამავე დროს არ უნდა მოხდეს მეტის-მეტი გამარტივება, ზერელედ მიდგომა და თეორეტიული ცოდნის დონის დაწევა. პასუხისმგებლობა პროგრამების გადამუშავებისათვის მთლიანად უნდა დაეკისროს პროფესურას და მასწავლებელთა შემადგენლობას.

უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ის, რომ უმაღლესმა სკოლამ მოგვცეს რაც შეიძლება მეტი რიცხვი მომზადებული მუშაკებისა. ამ მხრივ საქმე რიგზე ვერ არის. მაგალითისათვის მოგვყავს დამახასიათებელი ცნობები სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა წარმატების შესახებ 1928-29 სასწავლო წელს (სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის ალმასბიუროს ცნობის მიხედვით).

პირველი კურსიდან შემდეგ კურსზე გადავიდა 60 პროცენტი, დარჩა 20 პროცენტი, გამორიცხულ იქნა, სუსტი წარმატების გამო, 20 პროცენტი; მეორე კურსიდან გადავიდა 48 პროცენტი, დარჩა 40 პროცენტი, გამორიცხულ იქნა 12 პროცენტი; მესამე კურსიდან გადავიდა 55 პროცენტი, დარჩა 40 პროცენტი, გამორიცხულ იქნა 5 პროცენტი; მეოთხე კურსიდან გადავიდა 40 პროცენტი, დარჩა 60 პროცენტი, მეხუთე კურსი დაამთავრა 25 პროცენტმა, დარჩა 75 პროცენტი.

უკანასკნელ წელს სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტი დაამთავრა 48 ინჟენერმა (რომლებმაც დაიცვეს სადიპლომო პროექტები), ხოლო აგრონომიული ფაკულტეტი—52 აგრონომმა. გამოშვებულთა რიცხვი, სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის სტუდენტობის მთელ მასასთან შედარებით, სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში შეადგენს 1,26 პროცენტს.

ამიტომ ჩვენი ტეხნიკური სკოლების გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ეფექტიურობის აწევა, კურსებზე დარჩენის სრული ლიკვიდაცია და გამოშვებულთა რიცხვის აყვანა მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 20 პროცენტამდე. ამ დირექტივის შესრულება მოითხოვს, როგორც ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღიარა, განუწყვეტელ სასწავლო წელიწადზე გადასვლას და შრომის და სასწავლო დისციპლინის გადაჭრით განმტკიცებას სკოლის მუშაობაში.

საჭიროა ყველა უმაღლეს და საშუალო ტეხნიკურ და სასოფლო-სამეურნეო სკოლებში განსაზღვრულ იქნას გამოშვების სწორი ციფრები, რომელთა შესასრულებლად და გადასაჭარბებლად დარაზმულ უნდა იქნან პროფესორები და მასწავლებელთა შემადგენლობა. განსაკუთრებით კი მთელი სტუდენტობა და პროლეტარული საზოგადოებრიობა.

ჩვენი უმაღლესი სკოლის უმნიშვნელოვანეს საკითხად უნდა გადაიქცეს სწავლისა და სასწავლებლებში ყოფნის ვადების განსაზღვრა. ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის [illegible] ტეხნიკურ ინსტიტუტში და აგრონომიულ ფაკულტეტზე სწავლის ვადა 4 წლით, ხოლო ამ სასწავლებლებში ყოფნის ვადა 5 წლით. ტეხნიკუმებში (ძირითად ტეხნიკუმებში)—3 წლით, ახლანდელი 4 წლის ნაცვლად.

გადაუდებელ და უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე ამოცანას წარმოადგენს უმაღლესი სკოლის პროლეტარიზაცია და მისი სოციალური შემადგენლობის ძირფესვიანად გაუმჯობესება. სტუდენტობის სოციალური მდგომარეობის მხრივ საქმე აშკარად არადამაკმაყოფილებელია. სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა სოციალური შემადგენლობა ასეთია: 8.440 სტუდენტიდან მუშები და მუშათა შვილები შეადგენენ 12,2 პროცენტს, მოსამსახურენი და მოსამსახურეთა შვილები 37,0 პროცენტს, გლეხები 13,6 პროცენტს, სხვები 37,2 პროცენტს (სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის ალმასბიუროს ცნობებით). უფრო ცუდი სოციალური მდგომარეობაა აგრონომიულ ფაკულტეტზე და მთელ სახელმწიფო უნივერსიტეტში. ჩვენს უმაღლეს სკოლაში სრულიად უმნიშვნელოა მუშათა, მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ფენა. ამავე დროს უმაღლეს სასწავლებლებში ბლომად მოიპოვებიან მტრული ელემენტები. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში ჩვენმა უმაღლესმა სასწავლებლებმა მტკიცედ აიღეს კლასობრივი შერჩევის კურსი. მაგალითად, სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში 1929-30 წელს მიღებულთა საერთო რიცხვიდან—401 კაციდან—კომპარტიისა და ა.ლ.კომკავშირის წევრები შეადგენენ 59,8 პროცენტს, წარმოების მუშები 31,5 პროცენტს, მუშათა შვილები 11 პროცენტს. სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში მიღებამ მიმდინარე წელს საერთოდ დამაკმაყოფილებლად ჩაიარა. უფრო ცუდი მდგომარეობაა აგრონომიულ ფაკულტეტზე, სადაც მიღებულთა შორის მუშები და მოჯამაგირეები შეადგენენ 12,5 პროცენტს, მათი შვილები 7 პროცენტს.

უმაღლესი სკოლის შევსების საქმეში ჩვენ მეტის-მეტად ჩამოვრჩებით პარტიის დირექტივების შესრულებას. ამიტომ ყველა ჩვენი ორგანიზაციის გადაუდებელ ამოცანად უნდა გადაიქცეს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შემდეგი დადგენილების შესრულება: „უახლოეს წლებში მუშათა კადრის პროცენტი მიღებულთა საერთო რიცხვში აყვანილ იქნას 70 პროცენტამდე მაინც. სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებში მუშები, მოჯამაგირენი, ღარიბი გლეხები და კოლმეურნეობათა მუშაკები უნდა შეადგენდნენ 75 პროცენტს მაინც. ამავე დროს საჭიროა გაუმჯობესებულ იქნას უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლების სტუდენტობის შემადგენლობა და გაიწმინდოს ეს სასწავლებლები მტრულ ელემენტებისაგან. რაც უნდა განხორციელდეს არა კამპანიის წესით. არამედ სტუდენტობის შემადგენლობის სისტემატიურად შესწავლითა და გაუმჯობესებით“.

ამრიგად, გადაჭრით უნდა გადიდდეს მუშური ელემენტების მიღება და ამავე დროს უნდა გაძლიერდეს უმაღლესი სკოლის სისტემატიურად, ყოველდღიურად გაწმენდა ანტისაბჭოთა, მტრული ელემენტებისაგან.

ძირითად ღონისძიებას სტუდენტობის სოციალური შემადგენლობის გასაუმჯობესებლად წარმოადგენს მუშების, კომუნისტებისა და კომკავშირელების მომზადება უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად და სტუდენტობის პროლეტარული ელემენტების უზრუნველყოფის გაუმჯობესება. უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად მოსამზადებელ საქმეში საჭიროა ენერგიულად გაიშალოს კურსებზე სწავლა პროფკავშირების, კომკავშირის, განათლების სახალხო კომისარიატისა და წითელი არმიის საშუალებით მუშებისა, მუშათა ახალგაზრდობისა, მოჯამაგირეებისა და ღარიბ გლეხებისათვის. საჭიროა მიმდინარე წელსავე დაარსდეს სპეციალური მოსამზადებელი კურსები სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტთან და აგრონომიულ ფაკულტეტთან, აგრეთვე ზოგიერთ ოლქსა და ავტონომიურ რესპუბლიკაში (ქუთაისი, კახეთი, აფხაზეთი, აჭარისტანი და სხ.).

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სტუდენტობის მატერიალური მდგომარეობის საკითხები. მატერიალურ-ყოფაცხოვრებითი პირობები იმდენად მძიმეა, რომ ამ პირობების გადაჭრელი გაუმჯობესების გარეშე შეუძლებელი ხდება ჩვენი უმაღლესი სკოლის ეფექტიურობის აწევის ამოცანის შესრულება. როგორც სტიპენდიების მიმღებთა რიცხვი, ისე სტიპენდიების ოდენობა სრულიად არადამაკმაყოფილებელია. მაგალითისათვის მოგვყავს შემდეგი ცნობები:

1928-29 წელს სახელმწიფო სტიპენდიანტთა რიცხვი შეადგენდა (ამიერ-კავკასიის ფინსახკომის ციფრებით)—აზერბეიჯანში: უმაღლეს სასწავლებლებში 18,8 პროცენტს, მუშფაკებში 45 პროცენტს, ტეხნიკუმებში 8,6 პროცენტს. სომხეთში: უმაღლეს სასწავლებლებში 15,4 პროცენტს, მუშფაკებში 21,2 პროცენტს, ტეხნიკუმებში 14,6 პროცენტს. საქართველოში: უმაღლეს სასწავლებლებში 7,6 პროცენტს, მუშფაკებში 7,6 პროცენტს, ტეხნიკუმებში 6,0 პროცენტს.

სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში სტიპენდიანტების რიცხვი შეადგენს 12,4 პროცენტს.

სახელმწიფო სტიპენდიების ოდენობა (საშუალო) აზერბეიჯანში უდრის 35-40 მანეთს, სომხეთში 35 მანეთამდე, საქართველოში 25 მანეთს.

ამიტომ უმნიშვნელოვანეს ამოცანად უნდა გადაიქცეს როგორც სტიპენდიანტთა პროცენტის აწევა, ისე სტიპენდიების გადიდება. ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯები უკვე გადადგმულია (ამიერ - კავკასიის პროფსაბჭოს განათლების სახალხო კომისარიატის და სხვ. მიერ) და უნდა მივაღწიოთ ამ ნაბიჯების განხორციელებას.

ამასთან ერთად საჭიროა გაფართოვდეს კონტრაქტაციის სისტემა როგორც უმაღლეს სასწავლებლებში, ისე ტეხნიკუმებში. სტუდენტების კონტრაქტაციის საქმეში ბევრი სამეურნეო ორგანო სრულ გულგრილობას იჩენს. მაშინ, როდესაც მეზობელი რესპუბლიკების სამეურნეო ორგანოები სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის და აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტებს და ზოგიერთი ჩვენი ტეხნიკუმის მოწაფეებს კონტრაქტაციის მეტად კარგ პირობებს უყენებენ (170 მანეთი თვეში), ჩვენი სამეურნეო და სახელმწიფო ორგანოები ძალიან ხშირად ეწინააღმდეგებიან პარტიის მითითებებს კონტრაქტაციის საქმეში.

ჩვენი სამეურნეო ორგანოების, ტრესტების და სხვ. არა თუ ამოცანას, არამედ პირდაპირ მოვალეობასაც წარმოადგენს სტუდენტთა კონტრაქტაციის გატარება საჭირო კადრების რაოდენობის მიხედვით; სამეურნეო ორგანოები ვალდებულნი არიან თითონ მოითხოვონ კანდიდატები კონტრაქტაციისათვის, და არა პირიქით, როგორც ეს ჩვენში ხდება.

მეტად მნიშვნელოვანი საკითხები ისმება აგრეთვე ხელმძღვანელობის ორგანიზაციის და სტუდენტობის შორის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის წარმოების ხაზით. ნოემბრის პლენუმმა საჭიროდ სცნო უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლების ერთპიროვნულ მმართველობაზე გადაყვანა, რაც მოითხოვს სტუდენტთა ორგანიზაციების განტვირთვას ადმინისტრატიულ მუშაობისაგან. საჭიროა ისე გარდაიქმნას უმაღლესი სკოლის შინაგანი სტრუქტურა, ხოლო ამისდა მიხედვით სტუდენტთა პარტიული, პროფკავშირული და სხვა ორგანიზაციების მუშაობაც, რომ „უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლების სამმართველოების ხელში მოექცეს მთელი ადმინისტრატიული და პედაგოგიური ფუნქციები, და ამ საქმისაგან განთავისუფლებულ იქნან სტუდენტთა ორგანიზაციები“ (ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დადგენილებიდან).

უმაღლესი სკოლის მმართველობის რეორგანიზაცია მოითხოვს, რომ სტუდენტობის პარტიულ-საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნას სტუდენტთა მასების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აღზრდაზე.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ჩვენი უმაღლესი სკოლის (სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტი, აგრონომიული ფაკულტეტი, ტეხნიკუმები) კაპიტალური მშენებლობა. უმაღლესი სასწავლებლები განიცდიან სახელოსნოებისათვის, აუდიტორიებისა და ლაბორატორიებისათვის საჭირო ბინების უკიდურეს ნაკლებობას. მაგალითად, სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტს საშუალება არა აქვს მოათავსოს ლაბორატორიებისათვის მიღებული მოწყობილობა, ხოლო არსებული შენობა (ყოფილი სემინარია) საჭირო ფართობის მხოლოდ 20 პროცენტს შეიცავს. უკეთესი მდგომარეობა არც აგრონომიულ ფაკულტეტზეა. ამიტომ გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს ახალი შენობების აგება. კაპიტალური მშენებლობა უმაღლეს სკოლაში ნამდვილად უნდა შეუფარდდეს კაპიტალურ ხარჯებს სახალხო მეურნეობაში, როგორც ამას პარტიის დირექტივები მოითხოვენ.

ამავე დროს კი, სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტისა, ტეხნიკუმებისა და სხვა სასწავლებლებისათვის ფინანსების მიწოდება დაყენებულია არადამაკმაყოფილებლად. მრეწველობის ანარიცხების შეტანა სამრეწველო ფონდში გვიანდება, ხშირად სამეურნეო ორგანოები უარს აცხადებენ ამ ანარიცხების გადახდაზე. 1928-29 წელს ეს ფონდი შეადგენდა 1.067.680 მანეთს, დღემდე მიღებულ და განაწილებულ იქნა 863 ათასი მანეთი. სახელმწიფო პოლიტეხნიკურმა ინსტიტუტმა, რომელსაც ამ ფონდიდან 400 ათასი მანეთი ერგებოდა, მიიღო 180 ათასი მანეთი. ფინანსების მიწოდების ხაზით საჭიროა, ჯერ-ერთი, ფონდიდან სახსრების თავის დროზე გაღება და მეორე — სახსრების გამონახვა უმაღლესი სკოლის კაპიტალურ დაბანდებათათვის.

კადრების მომზადების საქმეში უმნიშვნელოვანესი ადგილი უნდა დაეთმოს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მომუშავე პრაქტიკოსების მომზადებას.

საჭიროა სერიოზულად მოვკიდოთ ხელი იმ მუშების გადამზადებას, რომელთაც ტეხნიკური თანამდებობა უჭირავთ და იმ გლეხების, რომელნიც აგრო-ტეხნიკურ მუშაობას აწარმოებენ. გადამზადების ძირითად ფორმებად უნდა გადაიქცნენ მუშათა სალამოს ტეხნიკუმები, კურსები და სხვ. ამ საქმეს, პირველ რიგში ხელი უნდა მოჰკიდონ თვით სამეურნეო ორგანოებმა.

აღნიშნულ ამოცანებთან ერთად ახალი სპეციალისტების მომზადება დაყენებით მოითხოვს აგრეთვე მრავალი სხვა გადაუდებელ საკითხის რაც შეიძლება დაჩქარებით გადაჭრას. ასეთი საკითხებია მასწავლებელთა კადრების (დაწინაურებულნი, ასპირანტურა და სხვ.) მომზადება, პროფესორთა და მასწავლებელთა შემადგენლობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, სტუდენტებისა და მასწავლებლების სამეცნიერო მივლინებათა გაძლიერება, როგორც საბჭოთა კავშირის ცენტრალურ რაიონებში, ისე უცხოეთში, საზოგადოებრივ - პოლიტიკური მუშაობის გაძლიერება ტეხნიკური ინტელიგენციის შორის და სხვ.

წინასწარ პირობას სპეციალისტების მომზადების საქმეში დასახული ამოცანების შესრულებისათვის წარმოადგენს გადამჭრელი გარდატეხის შექმნა სახალხო განათლების ორგანოების, სამეურნეო ორგანოების, პროფკავშირების, კომკავშირის და სხვ. მუშაობაში კადრების მომზადების საკითხების ირგვლივ, პარტიულ-საბჭოთა საზოგადოებრიობის გადაჭრით დარაზმვა ტეხნიკური განათლების საკითხების ირგვლივ და პროფესურის, სამეცნიერო ძალებისა და სტუდენტობის აქტიური მონაწილეობა ტეხნიკური განათლების ძირითადი რეორგანიზაციის საქმეში.

უმაღლესი სკოლის რეფორმას წინააღმდეგობას უწევს პროფესურის, ტეხნიკური ინტელიგენციის, სტუდენტობის და სხვ. ერთი ნაწილი, რაც მოითხოვს გადამჭრელ ბრძოლას პროფესურის რეაქციონურ ნაწილთან და კონსერვატიულ განწყობილებათა დაძლევას მასწავლებელთა შემადგენლობის შორის.

გადამწყვეტ ფაქტორად პარტიის ძირითადი გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ტეხნიკური კადრების მომზადების საქმეში უნდა გადაიქცეს სისტემატიური პარტიული ხელმძღვანელობისა და კონტროლის დაწესება ამ საქმეში.

მუშაობის ფართოდ გაშლასთან ერთად სპეციალისტების მომზადების საქმეში პროლეტარული საზოგადოებრიობის დარაზმვა, სათანადო, სისტემატიური დაუღალავი ბრძოლა კადრების მომზადების პრობლემის შეუფასებლობასთან, რომელიც წარმოადგენს მემარჯვენე გადახრის პრაქტიკულ გამოხატულებას. როგორც ვიცით, „პარტიის მემარჯვენე ელემენტებსა და შემარიგებლებს არ ესმით ახალი კადრების მომზადების მთელი სიმწვავე მიმდინარე პერიოდში.... მემარჯვენენი არ აფასებენ სპეციალისტების პოლიტიკურ დიფერენციაციას და იმ ბრძოლას, რომელსაც კლასობრივი მტერი აწარმოებს სოციალიზმის წინააღმდეგ მავნებელთა ცალკე ჯგუფების საშუალებით“.

მხოლოდ მკაფიო კლასობრივი ხაზის საფუძველზე, პარტიულ - საბჭოთა საზოგადოებრიობის მობილიზაციით, განათლების ორგანოებისა და სამეურნეო და პროფკავშირული ორგანოების მუშაობის ძირითადი გარდაქმნით და ბოლშევიკური თავგამოდებით შევძლებთ შევასრულოთ პარტიის წინაშე დასახული ამოცანა — კადრების მომზადების ტემპი გავუთანაბროთ ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ტემპს.

ე. ბედია.

სოც. შეჯიბრების ფრონტზე

ახალი ფაბრიკა-ქარხნები შეჯიბრებაში

ახალდაბის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში 80 პროც. გაიზარდა ადმინისტრატიული ხარჯები

ხაშურის მშენებელთა კავშირი ხელმძღვანელობას არ უწევს შეჯიბრებას

პოლიტიკური სამეურნეო ხელშეკრულებების დადება

ახალი პოლიტიკურ-სამეურნეო ხელშეკრულებების დადება უკვე დაიწყო. შეჯიბრებაში ჩაებნენ მთელი რიგი ახალი ფაბრიკა-ქარხნებისა, რომლებმაც პროფკავშირებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ცუდი ხელმძღვანელობის გამო შეჯიბრების პირველ პერიოდში ვერ მიიღეს მონაწილეობა. შეჯიბრების შედეგების შემოწმებიდან აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი პროფკავშირი სოციალისტურ შეჯიბრებას სასხვათაშორისო საქმეთ სთვლიდა, არ ღებულობდა ზომებს სოც. შეჯიბრების ფართოდ გასაშლელად და ამ საქმეში მთელი მუშათა მასის ჩასაბმელად. არ იყო გაძლიერებული ინდივიდუალური შეჯიბრება, არ სწარმოებდა შეჯიბრების შედეგების შემოწმება და სხვა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ზოგიერთმა მუშათა შემმოწმებელმა ბრიგადებმა ვერ შესძლეს შეჯიბრების შედეგების სწორად გამოკვლევა.

შეჯიბრების პირველი პერიოდის შეცდომები მომავალში გამოსწორებული უნდა იქნენ. არც ერთი ქარხანა, არც ერთი ფაბრიკა და საერთოდ ჩვენი მეურნეობის არც ერთი დარგი არ უნდა დარჩეს შეჯიბრების გარეშე. პროფკავშირებმა უნდა გააძლიერონ თავიანთი ხელმძღვანელობა სოც. შეჯიბრებაზე და ჩააბან მასში ფაბრიკა-ქარხნების ყველა საამქროები და მუშები, რომლებიც წარსულში არ ღებულობდნენ მონაწილეობას შეჯიბრებაში.

ერთი მთავარი ნაკლი სოც. შეჯიბრებისა ის იყო, რომ პოლიტიკურ-სამეურნეო ხელშეკრულებები ხშირად საერთო ხასიათისა იყვნენ. კონკრეტული საკითხები ხელმძღვანელობაში ნაკლებად იყო გათვალისწინებული. ხშირად კი ხელშეკრულებაში შეტანილი საკითხები სრულებით არ შეეფერებოდა წარმოების ხასიათს. ამავე დროს საწარმოო ხასიათის საკითხებს ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ბევრ ხელშეკრულებაში არ იყო აღნიშნული აგრეთვე ის თუ რა მდგომარეობაში იყო ესა თუ ის საწარმოო შეჯიბრების გამოცხადებამდე და რას ღებულობს თავის თავზე მომავალში ამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

პოლიტიკურ-სამეურნეო ხელშეკრულებაში შეტანილი უნდა იქნეს არა მარტო ის თუ რა უნდა გააკეთოს მომავალში, არამედ ისიც, თუ რას აკეთებს დღეს ხელშეკრულების დამდები ესა თუ ის მხარე. ამით ერთის მხრივ გაადვილდება შეჯიბრების შედეგების აღრიცხვა და მეორეს მხრივ ყოველდღიურათ ნათელი გახდება ამა თუ იმ წარმოების მიღწევები და ნაკლი სოციალისტურ შეჯიბრებაში. დღემდე ამ საკითხს არ ექცეოდა შესაფერი ყურადღება.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მაშინ, როდესაც ფაბრიკა-ქარხნებში სდებენ ხელშეკრულებას შრომის ნაყოფიერების გასაზრდელად, პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად და მისი თვითღირებულების გასაიაფებლად, სამეურნეო ორგანოები ამ დარგში სრულებით არაფერს აკეთებენ: არ იწვევენ ერთი მეორეს შეჯიბრებაში და თუ იწვევენ არა იმ სამეურნეო ორგანიზაციას, რომლის ფაბრიკა-ქარხანამაც გამოიწვია მეორე ქარხანა, არამედ სულ სხვას. მაგალითად, შეჯიბრების პირველ პერიოდში თამბაქოს ტრესტის სამმართველომ შეჯიბრებაში გამოიწვია სატყეო ტრესტის სამმართველო, ამ დარგის ფაბრიკა-ქარხნებს კი ერთი მეორე არ გამოუწვევიათ. ასეთი შეჯიბრება კი არავითარ ნაყოფს არ გამოიღებს. სამეურნეო ორგანოებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში უნდა გამოიწვიონ ერთი-მეორე იმ ანგარიშით, რომ მათი ფაბრიკა-ქარხნებიც ეჯიბრებოდნენ ერთი-მეორეს. სამეურნეო ორგანოების პოლიტიკურ-სამეურნეო ხელშეკრულებაში შეტანილი უნდა იქნეს ისეთი მუხლები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ფაბრიკა-ქარხნებს შორის დადებულ ხელშეკრულების მთელი ასი პროცენტით შესრულებას. ეს საკითხებია: ფაბრიკა-ქარხნის ნედლი მასალით მომარაგება, ნედლი მასალის ხარისხის გაუმჯობესება, შრომის დაცვის კანონების ცხოვრებაში გატარება, შეჯიბრების შედეგების სწორი აღრიცხვა, ხელფასის თავის დროზე დარიგება, სამუშაო პირობების გაუმჯობესება, მუშათა კვალიფიკაციის აწევა, ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირება, საწარმოო თათბირების დადგენილებათა ცხოვრებაში მთელი ასი პროცენტით გატარება და სხვ. ამ საკითხების მოგვარების გარეშე ფაბრიკა-ქარხნები ვერ შეასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას.

ახალი პოლიტიკურ-სამეურნეო ხელშეკრულების დადების დროს პროფკავშირებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საკითხებს და ფართოდ გაშალონ სოც. შეჯიბრება სამეურნეო ორგანოებს შორის.

ვ.

შეჯიბრებას ხელი შეუშალეს

(ხაშური)

ხაშურის აღმშენებელთა კავშირს, სოც. შეჯიბრების ფართოდ გასაშლელად არაფერი გაუკეთებია. შეჯიბრების პირველმა პერიოდმა უკვე განვლო. ამჟამად მიმდინარეობს ახალი გამოწვევები და ხელშეკრულებების განახლება. ხაშურის აღმშენებელთა კავშირი კი არამც თუ პირობის განახლებაზე ფიქრობს, არამედ ფაქტიურად დღემდის არავინ გამოუწვევია შეჯიბრებაში და თუ გამოიწვევია ვინმე, ეს იცის მხოლოდ თვით აღმშენებელთა კავშირის თავმჯდომარემ. მუშათა ფართო მასებმა გამოწვევის შესახებ არაფერი იციან. თავმჯდომარემ თვითონ შეიმუშავა ხელშეკრულება, მანვე მოაწერა ხელი და ჩააკრა საქმეში. ამით ამოიწურა აღმშენებელთა კავშირის საქმიანობა სოც. შეჯიბრების ფართოდ გასაშლელად. სხვა საამშენებლო სამუშაოებზე მომუშავეთა შორისაც არ არის გაშლილი სოც. შეჯიბრება. ამაში, რასაკვირველია, ადმინისტრაციასაც მიუძღვის დანაშაული.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ კავშირი გამოწვევასაც პასუხის ღირსად არ ხდის. პირველ სექტემბერს ზესტაფონის ელექტროფიკაციის მუშა-მოსამსახურეებმა, ადგილობრივ კავშირის ხელმძღვანელობით გამოიწვია ხაშურის ელექტროფიკაციის მუშა-მოსამსახურეები. ხაშურის აღმშენებელთა კავშირმა თავიდან აიცდინა საქმე და დაავალა ადმინისტრაციას გასცეს პასუხი გამოწვევაზე. ადმინისტრაციამ ისევ კავშირს გადასცა. ამგვარად გადაცემა-გადმოცემაში გამოწვევა უშედეგოთ დარჩა. ზესტაფონის მუშკომმა, რამდენჯერმე გაახსენა ხაშურის მუშკომს და ელექტროფიკაციის 1-ლ რაიონის ადმინისტრაციას, მაგრამ არაფერი გამოვიდა, ხაშურის მუშკომის ამოქმედება შეუძლებელი გახდა.

იმის მაგიერ, რომ კავშირმა ფართოდ გაშალოს სოც. შეჯიბრება საამშენებლო სამუშაოზე, რასაც დიდი ყურადღება ექცევა, თავიანთი კუს ნაბიჯით სიარულით აფერხებენ და ხელს უშლიან ამ საქმის სწორეთ დაგვირგვინებას. ასეთი „გულშემატკივრები" ჰყავს ჩვენს წარმოებას.

ზესტაფონელი.

მეტი ყურადღება საწარმოო ხასიათის საკითხებს

დაიწყო სოც. შეჯიბრების ახალი ხელშეკრულების დადება. წარსულის პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ სოც. შეჯიბრებას აუარებელი დეფექტები უძღოდა წინ. მომავალში ასეთი შეცდომები თავიდან უნდა იქნას აცილებული.

სამწუხაროდ ზოგიერთი წარმოების ხელმძღვანელნი კვლავ იმეორებენ ძველ შეცდომებს. მაგალითად, ლენინაკანის სამსალო საწყობმა სოც. შეჯიბრებაში გამოიწვია ხაშურის სამსალო საწყობი. უკანასკნელმა თავის მხრივ გამოიწვია სამტრედიის სამსალო საწყობი. საკითხები, რომლებშიაც ისინი ერთმანეთს იწვევდნენ შემდეგია: ფინანგარიშების თავის დროზე შედგენა, გაცემულ მასალების ორდერების საქმეებში იმავე დღეს ჩაკერება, კანტორის სუფთად შენახვა, მოსპობა დაგვიანებით სამსახურში გამოცხადებისა და სხვ.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ აღნიშნული საკითხები არ უნდა ისმებოდეს ხელშეკრულებაში—პირიქით, ესენიც საჭიროა, მაგრამ წარსულის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ მუშაობის ერთ-ერთ დამაბრკოლებელ მიზეზად ითვლებოდა მასალების და იარაღების თავის დროზე მოუწოდებლობა. ამიტომ დღეს სამსალო საწყობების პოლიტიკურ-სამეურნეო ხელშეკრულების მთავარი ობიექტი უნდა იყოს მასალის თავის დროზე მიწოდება საწარმოებისადმი. ამ საკითხს მარტო სამსალო საწყობებისათვის კი არა აქვს დიდი მნიშვნელობა, არამედ სოც. შეჯიბრების მთელი საქმისათვის. საერთოდ წარმოებები უნდა ერიდონ კანცელიარიულ ხასიათის საკითხების დასმას ხელშეკრულებაში. მეტი ყურადღება უნდა ექცეოდეს საწარმოო ხასიათის საკითხებს.

ა. ნ—ძე.

უთავბოლო მუშაობის ნაყოფი

(ახალ-დაბის ხე-ტყის სახერხი ქარხანა)

ახალ-დაბის ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კრებამ განიხილა საკითხი სოც. შეჯიბრების შედეგებისა და ქარხნის მდგომარეობის შესახებ. როგორც გამოირკვა მუშათა ბრიგადის წარმომადგენლის მოხსენებიდან და კამათში გამოსულ ამხანაგების სიტყვებიდან, ცუდი ხელმძღვანელობის გამო არამც თუ გამოიღო რაიმე ნაყოფი შეჯიბრებამ, არამედ შეაფერხა კიდეც მუშაობა.

ქარხანაში მუშაობა უშედეგოთ სწარმოებდა. 1927—28 წელთან შედარებით, არ არის შემცირებული თვითღირებულება, არ არის შესრულებული საწარმოო გეგმა. 80 პროცენტით გაზრდილია სამეურნეო და ადმინისტრატიული ხარჯები (1928—29 წელს ახალ-დაბის ქარხანას უნდა დაეხარჯა ადმ. და სამეურნეო ხარჯებში 14,653—99 კაპ. ფაქტიურად დახარჯულია—25.000 მანეთი), ქარხანა არ არის უზრუნველყოფილი ნედლი მასალით, სრულებით არ მუშაობს საწარმოო თათბირი (დღემდე მოწვეული არის სამი სხდომა და გარჩეულია 5 საკითხი), არ ექცევა ადმინისტრაციის მიერ ყურადღება მუშათა წინადადებებს, მაგ. მუშა დიმიტრი ხარაძეს შეუტანია წინადადება დინამო მანქანის სხვა ადგილას გადატანის შესახებ, მაგრამ ეს წინადადება ჯერაც საქმეშია ჩაკრული და დევს უმოძრაოთ. ასეთი წინადადებები მრავალია უყურადღებოთ.

მუშები დღემდე არ იცნობენ ტრესტის 5-წლიან გეგმას. ადგილი აქვს მუშებში თვითკრიტიკის ჩახშობას, ადმინისტრატიულ შიშს და ბიუროკრატიზმს. (კანცელარიის გამგემ კოლია ახობაძემ ამას წინად მუშა გრიგოლია კანტორიდან ლანძღვა-გინებით გამოაგდო), ქარხნის ბუღალტერიაში 1927—28 წლის ოპერაციის განმავლობაში მუშაობდა 3 კაცი, ამჟამად მუშაობს 9 კაცი. მიუხედავად ამისა ბუღალტერიის საქმიანობა მაინც აწეწილ-დაწეწილია. არც ერთ მუშა-მოსამსახურეს არ აქვს პირადი ანგარიშები გახსნილი. ბუღალტერია არ აძლევს სწორ ცნობებს მუშებს, თუ რა ერგებათ მათ, ან რატომ უკავებენ ჯამაგირს.

დღემდე ბუღალტერიას ვერ გამოურკვევია სოციალისტური შეჯიბრების ნაყოფი, მათი სიტყვით სოც. შეჯიბრების შედეგების გამორკვევას უნდა არა ნაკლები 2 თვე. ქარხნის გამგის რეზოლიუციის გარეშე ბუღალტერ ხახავაძეს, 50 მანეთი აუღია შეღავათებისა, რომელიც მას არ ეკუთვნოდა.

ბუღალტერიამ არ იცის თუ რამდენს იზარალებს ქარხანა ერთი დღის მუშაობის გაცდენით და ქარხანას რა აქვს მოგება და ზარალი. ადმინისტრაციის მიერ ადგილი აქვს კოლხელშეკრულების დარღვევასაც. არ ეძლევა მომუშავეებს ფეხსაცმელები, არ არის აგებული მუშების ბინები, კლუბი და სხ.

ასეთია ახალ-დაბის ხე-ტყის სახერხი ქარხნის მდგომარეობა.

მიხ. სარიშვილი.

გავაუმჯობესოთ საბინაო ამხანაგობების მუშაობა

ზოგიერთი მდგმურები ან სრულიად არ იხდიან ან სისტემატიურად აგვიანებენ ბინის ქირის გადახდას

ბინის ქირის დავალიანება თბილისში უდრის 486.497 მანეთს

დავალიანების დასაფარავად მიღებული უნდა იქნეს გადამწყვეტი ზომები

როგორ მუშაობს საბინაო კოოპერაცია

ამჟამად ჩვენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა საბინაო პრობლემის გადაწყვეტა, საბინაო კრიზისის შემსუბუქება.

თბილისში უმრავი სახლები იმყოფება საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობების გამგებლობაში. როგორი მდგომარეობაა ამ ამხანაგობებში, რომელთა დანიშნულებაა არა მარტო ბინის ქირის აკრეფა, არამედ სამეურნეო კულტურული მუშაობის წარმოებაც.

საბინაო სივრცე კლებულობს

ნაციონალიზაცია-ქმნილ და საბინაო საიჯარო ამხანაგობათა განკარგულებაში გადასულ სახლებს ჯერ კიდევ ყოფილ მფლობელთა ხელში ყოფნის დროს დიდი ხნის განმავლობაში არ გაკეთებია რემონტი. სახელმწიფო საგეგმო კომისიის გამოანგარიშებით, თუ გვსურს, რომ სახლები წესიერ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და მათი საცხოვრებელი მოედანი არ შემცირდეს, საჭიროა შენობაზე ყოველწლიურად დაიხარჯოს მისი ღირებულების 1,25 პროცენტი. საბინაო კოოპერაციის გამგებლობაში მყოფ სახლების საერთო ღირებულება, დაახლოებით, უდრის 80 მილიონ მანეთს. ამრიგად, მათ შეკეთებას ყოველწლიურად უნდა მოხმარდეს 1 მილიონი მანეთი. მაგრამ ასეთი თანხა არ მოიპოება. 1928 წელს რემონტზე სულ დაიხარჯა მხოლოდ 200 ათასი მანეთი. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ წინა წლებში რემონტი სრულიად არა საკმაოდ სწარმოებდა, გამოვა, რომ მიმდინარე წელს რემონტზე რომ ერთი მილიონი მანეთი დაიხარჯოს, ჩვენ ვერ შევძლებთ საცხოვრებელი მოედნის ნგრევის შეჩერებას. მოედანი მეტად სწრაფი ტემპით ინგრევა. ახალი საბინაო მშენებლობა ვერ შეავსებს ძველი საცხოვრებელი მოედნის ყოველწლიურ დანაკლისს. 1926-27 წელს მთელ საქართველოში საცხოვრებელი მოედანი შეადგენდა 1.197.000 კვ. მეტრს, აქედან მარტო თბილისში 750.000 მეტრს. 1927-28 წელს, ახალი მშენებლობის მიუხედავად, საერთო მოედანი შემცირდა 1.180.000 კვ. მეტრამდე, ხოლო თბილისში 743.000 მეტრამდე.

ასეთ მწვავე პირობებში, რა თქმა უნდა, ძვირფასია ყოველი კაპეიკი, რომელიც რემონტს უნდა მოხმარდეს.

486.497 მანეთის დავალიანება

თბილისში საბინაო კოოპერაციის გამგებლობაში იმყოფება 1.556 სახლი. თითქმის ყველა სახლებში მდგმურები ბინის ქირას არ იხდიან წესიერად. ამის შედეგად მარტო თბილისში საერთო დავალიანება უდრის 486.497 მანეთს. ამ თანხიდან 50 პროცენტზე მეტი ირიცხება ისეთ ბინადრებზე, რომელთაც ქირა არ გადაუხდიათ 3—4—6 თვის და ზოგჯერ ერთი წლის და მეტის განმავლობაში. ჩვენი საბინაო ტარიფი შემოსავლის რაოდენობაზეა დამყარებული და ამიტომ არ არის მძიმე. ბინადართა უმრავლესობას სრული საშუალება აქვს წესიერად შეიტანოს ბინის ქირა. იმ მდგმურთა სიაში, რომელთაც დიდი ხნის განმავლობაში არ შეუტანიათ ბინის ქირა, ირიცხება ბევრი პასუხისმგებელი მუშაკი ორას მანეთზე მეტი თვიური ჯამაგირით.

სასამართლოს ორგანოები, რომლებიც ბინის ქირის გადაუხდელობის საქმეებს არჩევენ, მეტად ზანტად მუშაობენ. ხშირად საქმეები მრავალი თვეების განმავლობაში გრძელდება და არ იძლევა საჭირო შედეგს.

ბინების რემონტი

თბილისში მრავალია ისეთი სახლი, სადაც, შეუკეთებლობის გამო, კედლები ინგრევა. ამას შეუძლია მთელი სახლის დაღუპვა. მაგრამ მდგმურები შორის არ იცქირებიან. მათ საზრუნავს შეადგენს მხოლოდ საკუთარ ბინებზე ზრუნვა, და, როდესაც რემონტზე ფიქრი მოუვათ თავში, პირველ რიგში ბინების გალამაზებაზე ზრუნავენ. ამას წინააღმდეგ ვერაფერს ვიტყვით: ბინის შელამაზება და სისუფთავეც აუცილებელია. მაგრამ უფრო აუცილებელია სახლის დანგრევისაგან, სრული დაღუპვისაგან დაცვა. თუ კედლები დაინგრა, მაშინ ბინის სილამაზე და სისუფთავე საქმეს ვერ უშველის.

საბინაო ამხანაგობათა უთადარიგობა

სრულიად კატეგორიულად უნდა განვაცხადოთ, რომ საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობები ვერ სდგანან სათანადო სიმაღლეზე. მათში გაბატონებულია საშინელი სამეურნეო უთადარიგობა. მათ ნაკლებად აინტერესებთ რემონტის საკითხები. არის შემთხვევები, როდესაც რემონტისათვის შეძენილი მასალა მთელი თვეობით უპატრონოდ და უსარგებლოდ ყრია.

საბინაო-საიჯარო ამხანაგობათა ხელმძღვანელები ჯერ კიდევ ვერ შეეჩვიენ იმას, რომ შესაფერისად აამოძრაონ მდგმურები იმ მხრივ, რომ ისინი საზოგადო ინტერესების თვალსაზრისით მიუდგენ მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრას.

კულტურულ-საყოფაცხოვრებო მუშაობა

საბინაო კოოპერაცია თბილისში ჯერ კიდევ ძლიერ ახალგაზრდა ორგანიზაციაა, მაგრამ ეს კიდევ არ აძლევს მას უფლებას გვერდი აუაროს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მუშაობის საკითხებს. რა არის დღემდე ამ დარგში გაკეთებული? გახსნილია 6 საბავშვო ბაღი, გამოდის 25 კედლის გაზეთი, არსებობს ჭრა-კერვის 12 წრე. ეს არის ყველაფერი. და ეს მაშინ, როდესაც თბილისში საბინაო კოოპერაციაში გაერთიანებულია 1500 სახლზე მეტი.

—:—

დღემდე საბჭოთა საზოგადოებრიობა ძლიერ ცოტა ყურადღებას აქცევდა საბინაო კოოპერაციას, მრავალი აქტიური მუშაკი დღემდე თავს არიდებს საბინაო ამხანაგობაში მუშაობას.

საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობა სამეურნეო და კულტურული ფრონტის ერთი დარგია და ამიტომ მაქსიმალური ყურადღება უნდა მიექცეს მის მუშაობის გაუმჯობესება-გაჯანსაღებას.

ვ. ქ.

ბინის ქირა დროზე შევიტანოთ

(ღონისძიებანი ბინის ქირის დავალიანების ასაკრეფად)

თბილისის საბინაო-საიჯარო ამხანაგობების სახლებში მცხოვრებთა შორის ამ უკანასკნელ ხანებში შეიქმნა ისეთი განწყობილება, თითქოს ბინის ქირის გადახდა არ იყოს სავალდებულო საქმე. ამ მდგომარეობამ გამოიწვია ბინის ქირით დავალიანების სწრაფი ზრდა და იგი დღეს 486.497 მან. აღწევს.

ამ დღეებში საქართველოს საბინაო კავშირმა მოიწვია საბინაო-საიჯარო ამხანაგობების წარმომადგენელთა ფართო თათბირი, რომელზედაც გაირჩა ბინის ქირით დავალიანების საკითხი.

თათბირზე გამოირკვა, რომ საბინაო-საიჯარო ამხანაგობების ხელმძღვანელებმა ვერ შესძლეს მასების ორგანიზაცია საბინაო კოოპერაციის გარშემო.

მეორეს მხრით სასამართლო ორგანოები ძალზე აჭიანურებენ საქმეებს. სასამართლოს აღმასრულებელი აგვიანებს დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

თათბირმა გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა შორის აღსანიშნავია:

იმ შემთხვევაში, თუ მდგმური ერთი თვის განმავლობაში არ გაასწორებს ანგარიშს, საბინაო ამხანაგობა ვალდებულია გააფრთხილოს იგი. ორი თვის გსვლის შემდეგ საბინაო-საიჯარო ამხანაგობას შეუძლია სასამართლოს მიმართოს და ნოტარიული კანტორიდან შესაფერი განკარგულების მიღების შემდეგ აუწეროს ქონება მდგმურებს.

თუ ამხანაგობის გამგეობამ შეამჩნია, რომ ბინის ქირის დავალიანება ბოროტმოქმედების ხასიათს ატარებს, მას შეუძლია ასეთი მდგმურის გამოსახლება.

თათბირმა დაადგინა ნოემბერში და დეკემბერში ჩატარებული იქნეს სპეციალური კამპანია ბინის ქირის დავალიანების ლიკვიდაციის მიზნით.

აღნიშნული კამპანიის ჩატარებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სასამართლო და ადმინისტრატიული ორგანოების წარმომადგენლები.

საბინაო-საიჯარო ამხანაგობებში გაერთიანებულ მოსახლეობაზე საზოგადოებრივი ზეგავლენის მოსახდენად და ბინის ქირის თავის დროზე ასაკრეფად თათბირმა საჭიროდ სცნო: ბინის ქირის არგადამხდელების სიების გამოქვეყნება კედლის გაზეთებში და სხვა თვალსაჩინო ადგილებზე, ეცნობოს ბინის ქირით დავალიანებათა შესახებ იმ დაწესებულება-წარმოების ორგანიზაციებს (ადგილკომი, ქარხკომი, პარტიის უჯრედი და სხვ.), სადაც ისინი მუშაობენ.

საქ. სახკომსაბჭოში

სად. გალის (შავი ზღვის რკინის გზა) ასაგები ადგილის არჩევა

სახკომსაბჭომ მიზანშეწონილად სცნო შავი ზღვის რკინის გზის სადგური „გალი"-ს აგება იმ ადგილას, სადაც იგი პროექტითაა გათვალისწინებული.

ქ. ფოთის საავადმყოფოს შენობის დამთავრების შესახებ

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა კომუნალურ ბანკს 1929-30 წ. კომუნალური კრედიტების განაწილების დროს გაითვალისწინოს ქ. ფოთის საბჭოსათვის საავადმყოფოს შენობის დასამთავრებლად 40.000 მან. სესხის მიცემა.

საქართველოს წარმომადგენლის დანიშვნა ბეჭდვითი საქმეთა კომიტეტში

ა.-კ. უმაღლეს ეკონომსაბჭოსთან არსებულ ბეჭდვითი საქმეთა კომიტეტში საქართველოს წარმომადგენლად დაინიშნა ამხ. ა. ჯაფარიძე (ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს კოლეგიის წევრი).

კულტურული შეფობა ცხინვალის საავადმყოფოზე

ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავზე სამხრეთ-ოსეთის ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა მოიწვია თბ. ცენტრ. კლინიკური ინსტიტუტის პროფესორები და ექიმები ცხინვალის ახლად აგებულ პოლიკლინიკის საზეიმო გახსნაზე.

მაშინ, როდესაც ცხინვალში საავადმყოფო მოთავსებულია პატარა, შეუფერებელ ბინაში და სრულიად ვერ სწვდება ოლქის მოთხოვნილებებს, პოლიკლინიკის ახლად აგებული შენობა სრულიად სხვა შთაბეჭდილებას სტოვებს: იგი მოთავსებულია ქალაქის საუკეთესო ქუჩაზე და იმავე დროს მეტად ლამაზ შენობაში. შენობის კედლები თითქმის სანახევროდ უზარმაზარ მინებისაგან შესდგება, რის გამოც დარბაზები და ოთახები უაღრესად სინათლიანია, შენობის ცენტრში მოთავსებულია დიდი დარბაზი კულტურულ და სანიტარულ-განმანათლებელ ლექციების და საუბრების ჩასატარებლად და მის ირგვლივ კი საექიმო ყველა დარგის კაბინეტები სათანადო ინვენტარით და მოწყობილობით.

ცხინვალის ახლად გახსნილი პოლიკლინიკა წარმოადგენს დიდ მიღწევას სამხრეთ-ოსეთის ჯანსახკომისათვის, რომლის შემდგომ საზრუნავ საგანს უნდა შეადგენდეს საავადმყოფოს ახალი შენობის აგება, რომელიც დააკმაყოფილებს სანიტარულ-ჰიგიენურ და მეცნიერულ მოთხოვნილებებს.

პოლიკლინიკის საზეიმო გახსნას დიდძალი ხალხი დაესწრო. ჯანსახკ. ამხ. გაზაევმა მიესალმა თბილისიდან ჩამოსულ სტუმრებს და აღნიშნა პოლიკლინიკის მნიშვნელობა მოსახლეობის გაჯანსაღების საქმეში. წაკითხულ იქნა საანგარიშო და სამეცნიერო ხასიათის მოხსენებები და ჩატარდა რთულ ავადმყოფთა კონსულტაცია.

სხდომის დასასრულ კრებამ გამოსთქვა სურვილი, რათა ცენტრალურ კლინიკურმა და მასში შემავალმა კლინიკებმა მიიღოს შეფობა ცხინვალის საავადმყოფოზე. ამ სურვილს მხურვალედ ეგებება როგორც პროფ. გრ. მუხაძე, ისე ექიმები და აღუთქვეს ცხინვალელ ამხანაგებს ყოველგვარი დახმარება კულტურულ-სამეცნიერო შეფობის ფარგლებში.

ექ. ნ. ჭიჭინაძე.

ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხი

ამ.-კავკ. გასაღებულია 32.442.000 ობლიგაცია

ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობით, 10 ნოემბრისათვის მთელ ამიერ-კავკასიაში გასაღებული იყო ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის 32.442.000 მანეთის ობლიგაცია, რაც შეადგენს საკავშირო ფინსახკომის მიერ უკანასკნელად შემუშავებულ საკონტროლო ციფრის (ამიერ-კავკასიის საკონტროლო ციფრი, სესხის თანხის გადიდებასთან ერთად, საკავშირო ფინანსთა სახ. კომისარიატის მიერ 27 მილიონ მანეთიდან გადიდებულია 32.400.000 მანეთამდე) 100,1 პროცენტს. აქედან **საქართველოში** გასაღებულია 13.446.000 მანეთის ობლიგაცია (უკანასკნელი საკონტროლო ციფრი დაფარულია 1,9 პროცენტის გადაჭარბებით), **აზერბეიჯანში** — 15.114.000 მანეთის (დაფარულია საკონტროლო ციფრის 96,8 პროცენტი) და **სომხეთში** 3.882.000 მანეთის ობლიგაცია (საკონტროლო ციფრი დაფარულია 7,8 პროცენტის გადაჭარბებით).

ცალკე სექტორების მიხედვით რეალიზაციაში პირველი ადგილი უკავია კოლექტივის სექტორს. ამ სექტორში (მუშა-მოსამსახურეთა შორის) 10 ნოემბრისთვის გასაღებული იყო 28.490.000 მანეთის ობლიგაცია. ამ სექტორის საკონტროლო ციფრი (24 მილიონი მანეთი) დაფარულია 18,7 %-ს გადაჭარბებით.

კერძო სექტორში გასაღებული იყო 1.041.000 მანეთის ობლიგაცია, რაც შეადგენს საკონტროლო ციფრის (1.200 ათასი მანეთი) 86,8 %-ს.

რეალიზაცია შედარებით სუსტად მიმდინარეობს გლეხებს შორის. ამ სექტორში 10 ნოემბრისთვის გასაღებული იყო 2.911.000 მანეთის ობლიგაცია, რაც შეადგენს საკონტროლო ციფრის (7.200.000 მანეთი) 40,4 პროცენტს.

გლეხკომების გადარჩევის კამპანია

იწყება 1-ლ დეკემბრიდან

1-ლი დეკემბრიდან მთელ რესპუბლიკაში იწყება გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტების, (გლეხკომების) გადარჩევის კამპანია. არჩევნებს უშუალო ხელმძღვანელობას გაუწევს საქ. გლეხკომების ცენტრალური კომიტეტი.

საჭირო წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა გადარჩევისათვის უნდა დამთავრდეს 10 დეკემბრამდე. ამ დროისთვის შედგენილი უნდა იქნეს ცალკე სოფლებში და თემებში გლეხკომების არჩევნების გეგმა. მაზრებში და ოლქებში არჩევნების სახელმძღვანელოთ მოეწყობა საოლქო და სამაზრო კომისიები, რომლებშიაც შევლენ— ადგილობრივი გლეხკომების, სოც.-უზრ. განყოფილების, პარტიულ კომიტეტის, საოლქო, ან სამაზრო აღმასკომის, ქალთა განყოფილების, კომკავშირის, მიწატყის პროფკავშირის, კოოპერაციის, კოლმეურნეობათა გაერთიანების და ქალთა სადელეგატო კრებების წარმომადგენლები.

გარდა საოლქო და სამაზრო კომისიებისა ცალკე სოფლებში არჩევნების სახელმძღვანელოთ მოეწყობა სასოფლო- საარჩევნო კომისიები, რომლებშიაც შევლენ ადგილობრივი გლეხკომის, პარტუჯრედის, მოჯამაგირეთა კომიტეტის, ადგილობრივი კოლმეურნეობის, ქალთა დელეგატების და სასოფლო საბჭოს წარმომადგენლები. სასოფლო- საარჩევნო კომისიებს ევალება დაამუშაონ არჩევნების ჩატარების გეგმები, დააწესონ არჩევნების ჩატარების ვადები, თვალყური ადევნონ, რომ არჩევნები ჩატარებულ იქნეს კანონიერად და თავის დროზე და ადგილი არ ექნეს საარჩევნო წესების დარღვევას.

საარჩევნო კომისიებს დავალებული აქვთ, აგრეთვე მიიღონ ზომები, რომ თავის დროზე იქნეს ჩატარებული საანგარიშო მოხსენებები ამომრჩეველთა წინაშე, თავიდან იქნეს აცილებული კულაკურ და არა საბჭოთა ელემენტების გავლენა, წინასწარ იქნეს ჩატარებული ღარიბთა და მოჯამაგირეთა კრებები, სადაც დასახელებული უნდა იქნენ გლეხკომებში ასარჩევი კანდიდატები და სხვ.

უდიდესი ყურადღება გლეხკომების გადარჩევას

გლეხკომების მომავალი საარჩევნო კამპანიის შესახებ საქ. გლეხკომების ცენტრალურ კომიტეტში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს:

— გლეხკომების არჩევნების ჩატარება წელს ჩვენ გვიხდება სოფლად კლასიური ბრძოლის უაღრესი გამწვავების პერიოდში. ჯერ კიდევ შარშან გლეხკომების ხელახალი გადარჩევის დროს მთელ რიგ კუთხეებში ადგილი ჰქონდა კულაკური ელემენტების აქტიურ გამოსვლებს. კულაკები ცდილობდნენ გლეხთა კომიტეტებში გასვლას და ან ღარიბი გლეხობის ისეთი წარმომადგენლების გაყვანას, რომლებიც, მათი გავლენის ქვეშ იყვნენ. წელსაც, უეჭველია, ადგილი ექნება კულაკების გამოსვლებს, მაგრამ მას უნდა დაუპირდაპირდეს ღარიბ გლეხთა მტკიცე შეკავშირებული მასა. გლეხკომებმა გადარჩევის კამპანია უნდა გამოიყენონ მოჯამაგირეების და ღარიბი გლეხობის ფართო მასების პრაქტიკულ მუშაობაში ჩასაბმელათ. მომავალი არჩევნების შედეგათ გლეხკომებში უნდა გაძლიერდეს ღარიბი და საშუალო გლეხების და მოჯამაგირეების გავლენა.

საჭირო და აუცილებელია, რომ გლეხკომების გადარჩევის კამპანია გამოყენებულ იქნეს კოლექტივიზაციის გასაძლიერებლად.

ყველა ამ ამოცანებს თან ერთვის კიდევ ერთი ახალი მნიშვნელოვანი ამოცანა— ეს არის, სასოფლო- გლეხკომების ქსელის მოწყობა. მთელ რიგ სოფლებში, იქ სადაც ეს შესაძლებელი იქნება, გადარჩევის კამპანიის დროს უნდა ჩამოყალიბდეს სასოფლო გლეხკომები. სასოფლო- მეურნეობის 5 წლიანი პერსპექტიული გეგმის შესასრულებლად და ჩვენი სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში უნდა იდგნენ გლეხკომები. მაგრამ, რომ გლეხკომებმა ღირსეულად შესძლონ დაკისრებულ ამოცანების შესრულება, ამისათვის საჭიროა გლეხკომების სათანადო სოციალური შემადგენლობა.

გლეხკომების მომავალ არჩევნებს ადგილებზე უნდა უხელმძღვანელონ საბჭოთა და პარტიულმა ორგანოებმა. მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღება სოფლად, ამჟამად უნდა მიექცეს გლეხკომების გადარჩევას.

ქალების მონაწილეობა თავდაცვის საქმეში

(ამხ. ავქსენტიევსკის მოხსენება თბილისის ქალთა აქტივის კრებაზე)

გუშინ თბილისის წითელი არმიის სახლში შესდგა თავდაცვა - ავიაქიმის თბილისის ორგანიზაციის საქალაქო კრება, რომელზედაც კავკ. წით.-დრ. არმიის სარდალმა ამხ. ავქსენტიევსკიმ გააკეთა მოხსენება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაზე და ქალების მონაწილეობაზე თავდაცვის საქმეში.

მოხსენების პირველ ნახევარში ამხ. ავქსენტიევსკიმ აღნიშნა, რომ საერთაშორისო იმპერიალიზმი სცდილობს ჩაითრიოს ომში საბჭოთა კავშირი და ამის დასამტკიცებლად მოიყვანა მრავალი ფაქტები, როგორიც არის საიდუმლო სამხედრო ხელშეკრულებების დადება იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის, თავდასხმა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჩინეთის მხრივ და სხვ.

შემდეგ ამხ. ავქსენტიევსკი ვრცლად შეჩერდა მომავალი ომების ხასიათზე და მშრომელი ქალის მონაწილეობაზე ამ ომებში. მან აღნიშნა, რომ სამხედრო ხელოვნება სწრაფად მიდის წინ, გაუმჯობესებულია სამხედრო ტექნიკა, შემუშავებულია ბრძოლის ახალი ფორმები და საშუალებები. საბჭოთა კავშირის მშრომელები აქტიურად უნდა ემზადონ საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის, სამხედრო ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებით მომავალ ომების დროს არ იქნება ზურგი და ფრონტი, იქნება მხოლოდ მთლიანი ფრონტი. ამიტომ ყოველმა მშრომელმა ქალმა უნდა იცოდეს ბრძოლის ხერხები, კარგი სროლა, დაჭრილთა მოვლა. ქალებმა საჭირო დროს უნდა შესცვალონ წითელი არმიელები, მათ უნდა იცოდნენ მუშაობა ტელეგრაფზე, ტელეფონზე, ავტო - მანქანაზე, რადიოზე.

თავდაცვა - ავიაქიმმა უნდა გააძლიეროს მუშაობა ქალთა შორის და მოამზადოს ისინი მომავალი ბრძოლებისათვის. თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობაში ფართოდ უნდა იქნენ ჩაბმულნი მშრომელი ქალები, რაც უზრუნველყოფს წითელი არმიის აქტიურ დამხმარე ძალის შექმნას.

მოხსენების დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია, რომ მშრომელი ქალები მასიურად ჩაებმებიან თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობაში, შეისწავლიან ბრძოლისა და თავდაცვის ხერხებს და საჭირო დროს იარაღით ხელში გამოვლენ საბრძოლველად წითელ არმიასთან ერთად.

რა ხდება ადგილებზე

„მსუბუქი კავალერიის" თავდასხმა ქუთაისის პარტსკოლაზე

ქუთაისი, 22 ნოემბერი. ამას წინად კომკავშირის ქუთაისის რაიონული კომიტეტის „მსუბუქ კავალერიამ" მოულოდნელი თავდასხმა მოაწყო ქუთაისის პარტსკოლაზე. კავალერისტებმა გამოარკვიეს, რომ ადმინისტრაციის საქმისადმი გულგრილად მოპყრობის გამო, პარტსკოლაში მუშაობა ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე. სკოლის გამგე პაპავა და სამეურნეო ნაწილის გამგე—იოსელიანი უმთავრესად კერძო მივლინებებში ატარებდენ დროს, რომლის შედეგათ სკოლის სასწავლო ნაწილი მოიკოჭლებდა. პაპავა, იოსელიანი და მასწავლებელი ქუთათელაძე მთელი წლის განმავლობაში ითვისებდენ სკოლის მიერ შეძენილ სხვადასხვა ინვენტარს და სურსათ-სანოვაგეს. იოსელიანს აღმოაჩნდა მთელი რიგი ყალბი საბუთები. მან მიითვისა სკოლის კურსანტების ტანსაცმელი, სასადილოს ინვენტარი და სურსათ სანოვაგე. ყოველივე ამას ფარავდა კომუჯრედის ყოფილი მდივანი ძიძიგური. მთელი მასალა გადაეცა მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებულს ქუთაისის ოლქში, რომელმაც მოახდინა შემოწმება, რის შემდეგ ყველა ფაქტები დადასტურდა.

სკოლის გამგე პაპავა, სამეურნეო ნაწილის გამგე იოსელიანი და სკოლის საბჭოს მდივანი—ქუთათელაძე მოხსნილი არიან სამსახურიდან და მიცემული არიან პასუხისგებაში.

კომუჯრედის ყოფ. მდივნის—ძიძიგურის საქმე ცალკეა გამოყოფილი და გადაეცა ქუთაისის ოლქის საკონტროლო კომისიას. (ადს).

საკონსერვო ფაბრიკის აგება

ქუთაისი, 21 ნოემბერი. 1930 წლის გაზაფხულზე ქუთაისში დაიწყება საკონსერვო ფაბრიკის აგება. ფაბრიკის ასაგებად გადაიდება 637.000 მან. ფაბრიკაში 150 კაცი იმუშავებს. ფაბრიკა დაამზადებს ხილისა და ბოსტნეულის კონსერვებს, წელიწადში 4 მილიონ კოლოფს. ფაბრიკის აგება ორი წლის შემდეგ დამთავრდება. (ადს)

ხილის საშრობი—ახალი ფაბრიკა

ქუთაისი, 21 ნოემბერი. ქუთაისის მაზრის ს. ორპირში მომავალი წლის თებერვალში დაიწყება ხილის საშრობი ფაბრიკის აგება. ფაბრიკაში 60 კაცი იმუშავებს. წელიწადში ფაბრიკა გამოუშვებს 820 ტონა გამხმარ ხილს. ფაბრიკის აგება დამთავრდება ხილის მომავალი სეზონისათვის. მის ასაგებად გადადებულია 108.000 მან. (ადს)

ხე ტყის სახერხი ქარხნის გაფართოება

ქუთაისი, 21 ნოემბერი. ქუთაისის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში გაიხსნება ყუთების დამამზადებელი საამქრო. ამისათვის, გადადებულია 61.000 მან. (ადს)

ქურდი მღვდლები

ფოთი, 21 ნოემბერი. ეპისკოპოსმა გერასიმემ, რომელიც ქალ. ბათომში ცხოვრობს, ამ წლის 16 ოქტომბერს ფოთის ტაძრის დეკანოზს კლიმენტი ჭანტურიას გამოუგზავნა ბერი ალექსი ჩხეტიანი სხვადასხვა საეკლესიო ნივთების წასაღებად. დეკანოზმა გახსნა ტაძრის ნივთების ყუთი და აღმოაჩინა, რომ იქიდან მოუპარავთ საეკლესიო ნივთები. ჭანტურია ნივთების წაღებას აბრალებს მღვდლებს ბობოხიძეს და კაჭარავას, ხოლო ეს უკანასკნელნი—თვით ჭანტურიას. (ადს).

ოზურგეთის წითელი ჯვრის მუშაობა

ოზურგეთი, 21 ნოემბერი. დამთავრდა წითელი ჯვრის სამაზრო კონფერენცია. კონფერენციაზე გამოცხადდა 35 დელეგატი.

წითელ ჯვარს მაზრაში აქვს ოთხი საექიმო პუნქტი. პირველ ოქტომბრიდან (ახალი საბიუჯეტო წლის დასაწყისი) გაიხსნა ერთი საექიმო პუნქტი ამაღლების თემში. პუნქტებში უფასო საექიმო დახმარება მიიღო 14.000 კაცმა. ღარიბ და საშუალო გლეხებს უფასოდ დაურიგდათ შვიდი კილოგრამი ქინაქინა. (ადს).

ორშაბათს, 25 ნოემბერს, დილის 10 საათზე საქართველოს ს.ს.რ. სახკომსაბჭოსთან (მთავრობის სასახლე) შესდგება

თათბირი მეცხვარეობის შესახებ

დღის წესრიგი:

1. მეცხვარეობის საქმის მდგომარეობა და მისი განვითარების გზები; თანამოხსენებები საძოვრების საკითხისა და მეცხვარეობის მასიური გაუმჯობესების საკითხების შესახებ.
2. მეცხვარეობის დაბეგვრისა და საგადასახადო საკითხები.
3. მეცხვარეობის პროდუქციის დამზადების და მეცხვარეთა მომარაგების საკითხები.
4. მეცხვარეობის კოლექტივიზაცია.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი

ჰ. მეგრელიშვილი.

2—2

კვირას, 24 ნოემბერს, (ხელოვნების სასახლეში ივ. მაჩაბლის 13) სრ საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის საჯარო სხდომაზე

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე

ამხ. ა. ყურულიშვილი წაიკითხავს მოხსენებას

ხუთწლიანი სამეურნეო გეგმის შესახებ

დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან-კვირამდე)

გერმანიის კომპარტიის უდიდესი გამარჯვება. — გოლუვკოს „სამშვიდობო" მანევრი. — ანტისაბჭოთა კამპანია პოლონეთში. — ჰენდერსონი ჩემბერლენის გზით.—საზღვაო კონფერენციის წინ.

ახლახან დამთავრებული კომუნალური არჩევნები გერმანიაში უაღრესი მნიშვნელობის მქონეა. გერმანიის (და არა მარტო მისი) მუშათა კლასის რევოლიუციონერ მოძრაობის და კომპარტიის გავლენის ზრდის თვალსაზრისით. ჩვენმა მომმე პარტიამ ბრწყინვალედ გაიმარჯვა. ჩვენთვის პირველ ყოვლისა საინტერესოა კომპარტიის და სოციალ- დემოკრატიის ძალთა განწყობილება, რომელიც არჩევნებმა გამოაშკარავა. მთელი გერმანიის სამრეწველო და პოლიტიკურ ცენტრში— ბერლინში—კომუნისტებმა მიიღეს(66.000 ხმა), ხოლო სოც.-დემოკრატებმა— 652.000, რომ ამ ორი ციფრის შედარებითი ღირებულებაში გავერკვეთ, საჭიროა გავიხსენოთ, რომ 1925 წ. კომუნალურ არჩევნებში კომპარტიამ მიიღო 347.000 ხმა, ხოლო სოციალ- დემოკრატიამ—655.000, რეიხსტაგის არჩევნებში (1928 წ.): პირველმა—611 ათ. და მეორემ—816 ათ. ამგვარად, 1925 წ. შედარებით კომპარტიას მიემატა 219 ათ. ხმა, ან მთელი 60 პროც. მეტი, მაშინ როცა მენშევიკებისათვის მიცემულ ხმების რაოდენობამ დაიკლო. ეს დაკლება პირდაპირ სასკანდალოა სოც.-დემოკრატებისათვის, თუ რეიხსტაგის არჩევნებს ავიღებთ: ის აღემატება 20 პროც. (164 ათ.), მაშინ, როცა კომპარტიისათვის მიცემულ ხმების დაკლება მხოლოდ 7 ნახ. პროცენტს შეადგენს, (უნდა ვიცოდეთ, რომ ახლანდელ არჩევნებზე დასწრების პროცენტი საერთოდ ნაკლები იყო). ეს კიდევ ცოტაა: სოც.- დემოკრატებს ხმას მეტ წილად აძლევს წვრილ-ბურჟუაზიული ამომრჩეველი, მაშინ, როცა მუშების უმრავლესობა კომუნისტებს მიჰყვება; ბერლინის 13 საარჩევნო ოლქში, რომლებიც უმთავრესად მუშებითაა დასახლებული, კომპარტიამ შეაგროვა 487 ათ. ხმა, ხოლო სოც.-დემოკრატებმა — 304 ათ., და ეს მაშინ, როცა ამ ოლქებში არჩევნების შედეგი 1925 წ. ასეთი იყო: კომუნისტებმა მიიღეს 265 ათ. ხმა და სოც.-დემოკრატებმა —484 ათ. ამნაირად, კომუნისტებს მიემატათ 222 ათ. ხმა, ხოლო სოც.-დემოკრატებს რაღაც 20 ათ. ამგვარად, კომპარტია უკვე წარმოადგენს მუშათა კლასის მთავარ ხელმძღვანელ ძალას.

რეიხსტაგის არჩევნების დროს 1928 წ. დიდი ნაწილი გაყვა სოციალ- დემოკრატიას, რომელმაც სხვადასხვა დაპირებებით მოატყუა იგი. მაგრამ მას შემდეგ, რაც მიულერის ბურჟუაზიულ პარტიების წარმომადგენლებთან ერთად ხელისუფლებას ჩაუდგნენ სათავეში, უფრო დაჩქარდა გერმანიის პროლეტარიატის კლასიური გამოფხიზლებისა და გარევოლიუციონერების პროცესი. სოციალ- დემოკრატიისა და მისი ხელისუფლების დახმარებით ბურჟუაზია აძლიერებს მუშების ყვლეფას კაპიტალისტური რაციონალიზაციის საფუძველზე. [illegible] მენშევიკ-მინისტრების ინიციატივით და მონაწილეობით შეკვეცილ იქნა სოციალური კანონმდებლობა და გაუარესდა უმუშევართა ისედაც მძიმე მდგომარეობა. მენშევიკები ატარებენ მმართველობის ფაშისტურ მეთოდებს და სპობენ მუშათა კლასის პოლიტიკურ მოწინავეთ. მიულერის კაბინეტმა მიიღო იუნგის გეგმა, რომლის გატარება გერმანიის მშრომელთა ხარჯზე უნდა მოხდეს. გერმანელი მენშევიკები აშკარად ადგანან იმპერიალიზმის პოლიტიკას, ადიდებენ შეიარაღებას და გააფთრებულ კამპანიას აწარმოებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მუშათა კლასი სულ უფრო ერკვევა ამ გამცემელების ვინაობაში, ზურგს აქცევს მათ და კომპარტიის მებრძოლი დროშის ქვეშ ირაზმება. კომუნალურმა არჩევნებმა გვიჩვენეს, რომ გერმანიის პროლეტარიატი იწყებს შეტევაზე გადასვლას კაპიტალიზმისა და მის დამქაშ მენშევიკების წინააღმდეგ. არჩევნების შედეგების მნიშვნელობა როდი განისაზღვრება კომპარტიის მანდატებით მუნიციპალიტეტებში. ეს მეორეხარისხოვანი საქმეა. მთავარია ამ არჩევნებში მუშათა ასეული ათასების მობილიზაცია კაპიტალის ბატონობის დასამხობად ბრძოლისათვის. გერმანიის კომპარტიამ ამ მხრივ ბრწყინვალედ შეასრულა თავისი მოვალეობა. მიღწეულ გამარჯვებას ის შემდეგისათვის, ცხადია, უფრო განამტკიცებს და გააფართოვებს.

⁂

ჩვენს პრესაში არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული ის ანტისაბჭოთა პოლიტიკა, რომელსაც პოლონელი იმპერიალისტები ატარებენ და რომელიც ბოლო ხანებში კვლავ განსაკუთრებულ აქტივობით ხასიათდება. პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის განყოფილების უფროსი გოლუვკო თავის ინტერვიუში სააგენტო „პრესს"-ის თანამშრომელთან შეეცადა ამ ფაქტის უარყოფას და მდგომარეობის ისე დასახვას, თითქო ვარშავის მთავრობას მხოლოდ სამშვიდობო მისწრაფებები ამოძრავებდეს საბჭოთა კავშირის მიმართ და უსაფუძვლო იყო ჩვენი აზრი პოლონეთის მართველ წრეების აგრესიულ ზრახვებსა და ნაბიჯებზე პროლეტარულ ქვეყნის მიმართ.

გოლუვკოს გამოსვლას „იზვესტიამ" (№ 267) მოსწრებულად უწოდა „არადამაჯერებელი მჭერმეტყველება". ჩვენ არა ერთხელ გვსმენია ამგვარი თვალთმაქცური განცხადებები პოლონეთის მესვეურთაგან, მაგრამ რა ფასი აქვს სიტყვიერ პაციფიზმს, თუ მას თან არ ახლავს შესაფერი სინამდვილე. უკანასკნელი კი აშკარად გვეუბნება, რომ ფაშისტური პოლონეთი ჩვენთან ომისათვის ემზადება. მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთი მწვავე ეკონომიურ ფინანსიურ კრიზისს განიცდის, ის ბიუჯეტის უდიდეს ნაწილს ხარჯავს სამხედრო საქმეზე და გამალებით აძლიერებს თავის შეიარაღებას. განა მტკიცება უნდა, რომ ეს ზომა პირველ ყოვლისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაა მიმართული. ან შეიძლება პილსუდსკის ჯგუფის სამშვიდობო პოლიტიკის დამადასტურებელია მისი მხრით კონტრ- რევოლიუციონური ემიგრაციის აქტიური მფარველობა. ბოლოს, რას ნიშნავს პოლონელ დიპლომატების ხშირი მოგზაურობა რუმინეთსა, უნგრეთსა და ბალტიის სახელმწიფოებში? გოლუვკო გვარწმუნებს, რომ ამას თითქო მიზნად ჰქონდეს კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცება ამ ქვეყნებთან. ჩვენ კი ვიცით, რომ პოლონეთი განაგრძობს ანტისაბჭოთა ბლოკის ორგანიზაციის ცდებს. აგრესიული სამხედრო ხელშეკრულებათა სისტემა, რომლითაც იგი დაკავშირებულია ზოგიერთ მეზობელ სახელმწიფოებთან, ყველაზე ნაკლებ ლაპარაკობს პოლონელ პოლიტიკოსების მშვიდობისმოყვარეობაზე.

გოლუვკოს უკანასკნელი მოგზაურობაც რიგასა და რეველში მეტად საეჭვო ხასიათისაა. საგულისხმოა, რომ მისი ინტერვიუ, რომელიც ამ მოგზაურობის შემდეგ გამოქვეყნდა, დასათაურებულია: „პოლონეთის და ბალტიის სახელმწიფოების სამშვიდობო პოლიტიკა საბჭოთა რუსეთის მიმართ". როგორც ვხედავთ, გოლუვკო გამოდის არა მარტო პოლონეთის, არამედ ბალტიის ქვეყნების სახელითაც, რაც იმის მაჩვენებელია, რომ პოლონეთი ლამობს ხელმძღვანელი როლი ითამაშოს ამ ქვეყნების მიმართ და ისინი დაუმორჩილოს თავის ანტისაბჭოთა გეგმებს. მდგომარეობა, ცხადია, არ იცვლება იმით, რომ ეს „საბჭოთა რუსეთის მიმართ სამშვიდობო პოლიტიკად" მონათლო. ასეთ დასკვნას ვერ გააქარწყლებს გოლუვკოს შემდეგი სიტყვებიც: „მე ყოველთვის უგუნურებად მიმაჩნდა ისეთი ღონისძიებათა ორგანიზაცია და მათში პოლონეთის მონაწილეობა, რომელთაც მიზნად აქვთ მოსკოვის დღევანდელი მთავრობის დამხობა და ველიკორუსული ნაციონალისტების დაბრუნება. უნდა განვაცხადო, რომ, როგორც ბალტიის პოლიტიკურ მოღვაწეებთან საუბრის დროს გამოვარკვიე, ასეთსავე თვალსაზრისზე დგანან ხსენებული მოღვაწენი. ეს არც გასაკვირველია. რუსული ემიგრაციის ვერც ერთი ხელმძღვანელი ვერ შეურიგდება ბალტიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობას. მაშ რისთვის უნდა ესწრაფოდნენ ეს სახელმწიფოები მოსკოვში მდგომარეობის შეცვლას". სრული ჭეშმარიტებაა, რომ თეთრგვარდიელთა ემიგრაცია ვერ ურიგდება როგორც პოლონეთის, ისე დანარჩენ ლიმიტროფების დამოუკიდებლობას. მაგრამ რატომ არ გამოჰყავთ გოლუვკოებს აქედან ერთად ერთი აუცილებელი დასკვნა, როგორიცაა ამ ემიგრაციის ალაგმვა. ამის მაგივრად ისინი ხელს აფარებენ თეთრგვარდიელებს და აქეზებენ მათ ანტისაბჭოთა გამოსვლებისათვის, რათა მათი დახმარებითაც მიაღწიონ მათთვის სასურველ საბჭოთა რეჟიმის დამხობას. პოლონელ იმპერიალისტებს, ვითომ „უგუნურებად" მიაჩნიათ ანტისაბჭოთა ბლოკის მოწყობა და იქ პოლონეთის მონაწილეობა. მაშინ რას ნიშნავს ის ფაქტები, რომლებიც ზევით მოვიყვანეთ? გოლუვკოები თითქო მოწინააღმდეგენი არ არიან დაამხონ „მოსკოვის დღევანდელი მთავრობა". მაგრამ ამის გარეშე როგორ სურთ მათ განახორციელონ თავისი გეგმა საბჭოთა კავშირიდან უკრაინის და ბელორუსიის მოწყვეტისა და მათი გადაქცევისა პოლონეთის ვასალებად? ხომ ცნობილია, რომ სწორედ გოლუვკო ერთ-ერთი იმათგანია, რომელნიც ოცნებობენ ამ გზით პოლონეთის გაფართოვებაზე აღმოსავლეთით.

არ შეგვიძლია გვერდი აუხვიოთ პოლონელ დიპლომატის შემდეგ სიტყვებსაც: „უკვე 1920 წ. დაამტკიცა პოლონეთმა, თუ რა ძალას წარმოადგენს იგი. მას შემდეგ პოლონეთმა დიდი ნაბიჯი გადადგა წინ სახელმწიფო ცხოვრების ყველა დარგში და აამაღლა თავისი საერთაშორისო მდგომარეობა... წარმოუდგენელია ანტისაბჭოთა რომელიმე გამოსვლა პოლონეთის მონაწილეობის გარეშე". 1920 წ., მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი ოდნავადაც არ იყო განმტკიცებული, პოლონეთმა ვერ შესძლო თავისი აგრესიული ზრახვების განხორციელება, და გოლუვკოს ტრაბახი, მეტი რო არა ვსთქვათ, სრულიად უნიადაგოა. რაც შეეხება იმას, თითქო პოლონეთს მას შემდეგ დიდი ნაბიჯი გადაედგას „სახელმწიფოებრივ ცხოვრების ყველა დარგში"— ეს მხოლოდ კურიოზულ „გაუგებრობათ" უნდა ჩაითვალოს, რამდენადაც ჩვენ მოწმენი ვართ პოლონეთის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების დაშლისა. პოლონეთის საერთაშორისო მდგომარეობა ამაღლდაო. ეს მხოლოდ ისე უნდა გავიგოთ, რომ პოლონეთს გაბატონებული იმპერიალისტური სახელმწიფოები ერთგვარ ანგარიშს უწევენ მხოლოდ როგორც ანტისაბჭოთა იარაღს.

მაინც რაზე დასჭირდა გოლუვკოს ლაპარაკი პოლონეთის არ არსებულ სიძლიერეზე? თუ ამ გზით პოლონელი დიპლომატები ფიქრობენ ჩვენზე რაიმე მიუღებელ პირობების მოხვევას,— ეს ფუჭი ცდაა.

გოლუვკოვების „სამშვიდობო" გამოსვლა, რა თქმა უნდა, შეცდომაში ვერავის შეიყვანს. ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ ესაა მათი ჩვეულებრივი მანევრი იმ ანტისაბჭოთა მზადების დასაფარავად, რომელსაც პოლონელი ავანტიურისტები აწარმოებენ.

⁂

თუ რა ფასი აქვს გოლუვკოს „სამშვიდობო" ჟესტს, ამას აშკარად გვიჩვენებს ის გააფთრებული კამპანია ვარშავის საბჭოთა წარმომადგენლობის წინააღმდეგ,— რომელიც ბოლო დროს კვლავ გაძლიერდა პოლონეთის პრესაში. ეს, იძულებულია, თუმცა რბილად, აღიაროს თვით პოლონელმა დიპლომატმა: პოლონეთის პრესის ნაწილი თავის ანტიკომუნისტურ გამოსვლებში, საბჭოთა საელჩოსაც ესხმის თავსო. მაგრამ იგი თავის მთავრობას იმით „ამართლებს", რომ პოლონეთის პრესა თავისუფალიაო. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ საერთოდ ბურჟუაზიულ ქვეყნებში და კერძოდ ფაშისტურ პოლონეთში მხოლოდ იმ გაზეთებს აქვთ თავისუფლება, რომელნიც მმართველ წრეების აზრებს გამოხატავენ და მათი კარნახით მოქმედებენ. პრესის დანარჩენ ნაწილს პირში ლაგამი აქვს ამოჩრილი. და იმ კამპანიისათვის, რომელსაც პოლონური ფაშისტური გაზეთები ჩვენს წინააღმდეგ ეწევიან, პოლონეთის ხელისუფლება პასუხისმგებლობას თავიდან ვერ აიცილებს.

ამ კამპანიამ კი ჰპოვა თავისი გამოხატულება ლვოვის საბჭოთა საკონსულოზე, უკვე არა წერილობითი და სიტყვიერი, არამედ ნამდვილ თავდასხმაში. ამ შემთხვევაში თავდასხმა ფიზიკურად მოაწყვეს უკრაინელმა ფაშისტ-სტუდენტებმა, რომელნიც „ცნობილ" ლევიცკის ემხრობიან. საერთოდ, ლევიცკი და მისი ჯგუფი, ე. წ. „უკრაინის ნაციონალურ-დემოკრატიული გაერთიანება („უნდო") დიდ აქტივობას იჩენენ უკანასკნელ ხანებში. ამას წინად „უნდოს" ფრაქციაზე სეიმში ეს პეტლიუროველი ატარებდა იმ აზრს, რომ საჭიროა გაძლიერდეს ანტისაბჭოთა კამპანია პრესაში და მიტინგებზე, პირველ რიგში განაპირა რაიონებშიო. ამის შედეგად გვაქვს ზევით ხსენებული თავდასხმა.

უხეში შეცდომა იქნება იმის ფიქრი, რომ ამაში დამნაშავენი იყვნენ მარტო უშუალო თავდამსხმელები და მათ ზურგს უკან მდგომი ლევიცკები. ამგვარი ნაბიჯის გადადგმა შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ მტრული ატმოსფერის პირობებში, რომელიც საბჭოთა კავშირის მიმართ შექმნილია პოლონეთში უკანასკნელის მმართველ წრეების მიერ. თვით ლევიცკი სხვა არაფერს არ წარმოადგენს, თუ არ პილსუდსკის ანტისაბჭოთა გეგმების ერთ-ერთ იარაღს. თავის დროზე ჩვენ გამოქვეყნებული გვქონდა ის საიდუმლო შეთანხმება პილსუდსკისა და ლევიცკის შორის, რომლის მიხედვით პოლონეთის დიქტატორი უნდა დაეხმაროს უკანასკნელს საბჭოთა კავშირიდან უკრაინის ჩამოგლეჯაში. ამ მიზნით მას უნდა გაეშალა „მუშაობა" საბჭოთა უკრაინის მოსახლეობაში და პოლონეთის უკრაინაშიაც. მაგრამ აქედან, როგორც მოსალოდნელი იყო, არაფერი გამოვიდა. თავისუფალი საბჭოთა უკრაინის მშრომელებმა ზიზღით უკუაგდეს თავის არამკითხე „მზრუნველის" პრეტენზიები. თვით პოლონურ უკრაინაში, რომელიც სასტიკ დევნას განიცდის, ძლიერდება მოძრაობა საბჭოთა კავშირთან დასაახლოვებლად. მაგრამ ლევიცკები მაინც არ იხევენ, რადგან მათ ასულდგმულებენ ანტისაბჭოთა ავანტიურის გზაზე დამდგარი პოლონელი იმპერიალისტები. ამიტომ ჩვენმა სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა, ამხ. ბოგომოლოვმა, როცა ზალესკის პროტესტი განუცხადა ლვოვის ამბების გამო, სრულიად სამართლიანად დააკისრა ამისათვის პასუხისმგებლობა პოლონეთის ხელისუფლებას, რომელსაც არავითარი ზომები არ მიუღია. [illegible] საფუძვლიანად დაუკავშირა ეს ანტისაბჭოთა აქტი იმ საერთო კამპანიას, რომელსაც პოლონეთის პრესა აწარმოებს პროლეტარულ სახელმწიფოს და მის წარმომადგენლობის წინააღმდეგ.

რით აიხსნება ანტისაბჭოთა კამპანიის გაძლიერება პოლონეთში? —უმთავრესად იმ სამეურნეო- პოლიტიკური კრიზისით, რომელიც პოლონეთის სახელმწიფოებრიობას სულ უფრო ღრღნის, აქედან პილსუდსკი, შინაურ გადატრიალების მოხდენასთან ერთად, გამოსავალს საგარეო ავანტიურაშიც ხედავს. მაგრამ საეჭვოა ამან პოლონელი ფაშისტებისათვის რაიმე დადებითი ნაყოფი გამოიღოს. გოლუვკოს ტიპის პოლიტიკოსების „სამშვიდობო" ვარჯიშობის ნამდვილ სარჩულს კი ამით მეტი ნათელი ეფინება.

⁂

თემთა პალატაში კვლავ გრძელდებოდა შეკითხვები ე. წ. პროპაგანდის საკითხის შესახებ. როგორც ვიცით, მაკდონალდი ამ საკითხში კონსერვატორების თვალსაზრისზე დგას. მაგრამ შუბლმაგართა ცდა იქეთკენ იყო მიმართული, რათა „მუშათა" მთავრობას მკაფიოდ და საჯაროდ ჩამოეყალიბებია თავისი პოზიცია, რომელსაც იგი ერთგვარ ბუნდოვანებაში ახვევდა კონსერვატორებთან სრული სოლიდარობის მისაჩქმალავად. ამ მიზანს ისახავდა კერძოდ ოსტენ ჩემბერლენის წერილობითი შეკითხვა ჰენდერსონისადმი.

3 ოქტომბრის ოქმი (ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის აღდგენისა და მოლაპარაკების პროცედურის შესახებ), სხვათა შორის, ითვალისწინებს ორივე მხარის მიერ იმ ვალდებულების დადასტურებას პროპაგანდის დარგში, რომელსაც შეიცავს 1924 წლის ხელშეკრულების მე-16 მუხლი, მიმართული ერთი-მეორის შინაურ საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ. ამ მუხლში ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები კომინტერნი, და საბჭოთა მთავრობა არავითარ ვალდებულებას არ კისრულობს ამ ორგანიზაციის მიმართ ინგლისის წინაშე. საბჭოთა პრესამ ეს ახლაც მკაფიოდ აღნიშნა.

ჩემბერლენმა სწორედ ამას ჩასჭიდა ხელი და მოსთხოვა გარეშე საქმეთა მინისტრს განმარტება, თუ როგორ ესმის მას 1924 წ. ხელშეკრულების მე-16 მუხლი. ჰენდერსონმა საპასუხოდ განაცხადა: ინგლისის მთავრობა სცნობს, რომ 1924 წ. ხელშეკრულებაში აღნიშნული და 3 ოქტომბრის ოქმში განმეორებული ვალდებულება აშკარად უდგება კომინტერნის პროპაგანდისტულ მოღვაწეობას და მას განზრახვა აქვს მოითხოვოს ამ ვალდებულების გატარება.

ამნაირად, ჰენდერსონი, შუბლმაგართა გულის მოსაგებად, ჩემბერლენთან ერთად საბჭოთა მთავრობისაგან მოითხოვს არც მეტი, არც ნაკლები, კომინტერნის მუშაობის შეწყვეტას, მის ლიკვიდაციას. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ შეთანხმების ასეთი „თავისებური" განმარტება გადაჭრით იქნება უკუგდებული. ინგლისის „მუშათა" მთავრობას ჩვენ ხომ არ ვუყენებთ პირობას, მან აღკვეთოს, მაგალითად, მეორე ინტერნაციონალის საქმიანობა, თუმცა ამ დაწესებულებამ თავის პროფესიად გაიხადა ბრძოლა საბჭოთა კავშირთან. და თუ ჰენდერსონი ზევით ხსენებულ აბსურდულ პრეტენზიას აყენებს, ის ამით ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ ინგლისის იმპერიალიზმის ყურმოჭრილ აგენტს წარმოადგენს. შუბლმაგრები ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ მიმართულ მასების ყოველ მოძრაობაში მოსკოვს ამტყუნებენ. აი, მაგალითად, სამხრეთ-აფრიკის ადგილობრივ მოსახლეობაში, რომელიც საშინელ მონობას და ექსპლოატაციას განიცდის ინგლისის „ცივილიზატორებისაგან"; ძლიერმა მოძრაობამ იჩინა თავი. „დეილი-მეილ" ამის გამო აცხადებს, რომ ამ ზანგებს ასაჯანყებლად აქეზებენ „მოსკოვის აგენტები და მოსკოვის ოქრო"-ო. ჩემბერლენ-ჰენდერსონის რეცეპტით გამოდის, რომ საბჭოთა მთავრობამ აფრიკელი მშრომელი მასები უნდა ჩააწყნაროს!

ასეთი სასაცილო პრეტენზია ყველაზე ნაკლებ შეუწყობს ხელს ინგლის- საბჭოთა დამოკიდებულების განმტკიცებას, რასაც ასე დაჟინებით მოითხოვენ არა მარტო ინგლისის მუშათა მასები, არამედ საქმიანი წრეებიც.

⁂

საზღვაო სახელმწიფოთა კონფერენციის მოწვევა განზრახულია მომავალი წლის იანვრის მეორე ნახევარში. მაგრამ უკვე აქედანვე აშკარავდება მათი შეურიგებელი წინააღმდეგობანი

ამერიკის პრეზიდენტმა ჰუვერმა ამ მხრივ მდგომარეობაში საკმაო გარკვეულობა შეიტანა. ამას წინად წარმოთქმულ სიტყვაში მან აღნიშნა, რომ მაკდონალდთან შეხვედრის შედეგად შეერთებულ შტატების მთავრობას არავითარი ვალდებულება არ უკისრია. ჩვენ კი ყური გამოგვჭედეს, უმთავრესად სოც.-შეთანხმებლებმა, ტრაბახით, თითქო მაკდონალდ-ჰუვერის მოლაპარაკების შედეგები ნიშნავდეს სამშვიდობო ხანის დასაწყისს და, კერძოდ, ინგლის- ამერიკის წინააღმდეგობათა მოსპობას. ნამდვილად კი, როგორც ეს იმ თავიდანვე ცხადი იყო, ამ ორი მოქიშპე ქვეყნის წარმომადგენელთა შეხვედრას არსებითად არაფერი შეუცვლია.

რომ ინგლის-ამერიკის მეტოქეობა კვლავ ძალაში რჩება, ამას მოწმობს, სხვათა შორის, ჰუვერის მოთხოვნა ზღვების „თავისუფლების" შესახებ, რაც ნიშნავს ამერიკის მსოფლიო ბატონობის განმტკიცებას ინგლისის ხარჯზე და რასაც უკანასკნელი ვერ ურიგდება. შემდეგ, ჰუვერი ლაპარაკობს სხვა სახელმწიფოებში ამერიკელ მოქალაქეთა (იგულისხმეთ—კაპიტალისტების) დაცვის საჭიროებაზე. ესეც, რა თქმა უნდა, ინგლისის წინააღმდეგაა მიმართული, რამდენადაც უმთავრესად ამ ქვეყნის კაპიტალი ელობება ამერიკელ კაპიტალისტების ექსპანსიას, მაგრამ დაქვეითების გზით მიმავალი ინგლისის იმპერიალიზმი იძულებულია ბევრ რამეში დაუთმოს თავის ძლიერ მოწინააღმდეგეს და ეს უკან დახევა დაფაროს „სამშვიდობო" მოტივებით. ასეთია, მაგ., ინგლისის „თანხმობა" საზღვაო ძალების გათანასწორებაზე ამერიკასთან, თუმცა მისი გატარება გამოიწვევს დიდ შეხლა-შემოხლას.

საზღვაო კონფერენციასთან დაკავშირებით მწვავდება ინგლის- საფრანგეთის დამოკიდებულებაც. საფრანგეთი ყველაზე უფრო ძლიერია წყალ-ქვეშა ნავებით, რაც საფუძვლიანად აშინებს ინგლისს. ამიტომ ის მოწადინებულია მიაღწიოს წყალქვეშა ნავების განსაზღვრას. საფრანგეთი, ცხადია, ამაზე არ მიდის. ინგლისის დიპლომატია ცდილობს მაზე ზეგავლენა მოახდინოს იტალიის საშუალებით. ლონდონი მხარს უჭერს უკანასკნელ მოთხოვნას, რომ მისი ფლოტი გათანასწორებულ იქნას საფრანგეთის ფლოტთან. ეს კი ნიშნავს საფრანგეთის აფრიკულ კოლონიების საფრთხეში ჩაგდებას და მათზე იტალიის პრეტენზიების გაძლიერებას. უკანასკნელად ჩვენ ვხედავთ, რომ პარიზი და რომი თითქო ცდილობენ უშუალოდ შეუთანხმდნენ ერთმანეთს. ამის გამოხატულებაა იტალიის ელჩის მანცონის შეხვედრა ბრიანთან. მაგრამ დიდად საეჭვოა ამ ქვეყნების მორიგება მოხერხდეს: იმდენად ღრმაა მათ შორის არსებული ინტერესთა წინააღმდეგობა ([illegible] კოლონიებისათვის, ხმელთა-შუა ზღვისათვის, ბალკანეთისათვის).

ამავე დროს გაძლიერდა იაპონიის მოთხოვნები. ის აყენებს წინადადებას დაწესდეს საზღვაო ძალების ასეთი პროპორცია: 10:10:7 ახლანდელი 5:5:3 მაგივრად. ამ მოთხოვნას უარყოფს როგორც ამერიკა, ისე ინგლისი.

ამნაირად, ფართოდ იშლება ბრძოლა საზღვაო სახელმწიფოებს შორის— თავიანთ ბატონობის შესანარჩუნებლად თუ გასაძლიერებლად. და ახლავე შეიძლება ითქვას, რომ მომავალი კონფერენცია მარცხით დამთავრდება და გახდება ახალ მომენტად იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა გაღრმავებისა და ძალთა [illegible]ებისათვის.

ვ. ქ—ლი.

ქრონიკა

მუშა - მაყურებლის კინო - კონფერენცია

გუშინ, 23 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, მუშათა სასახლის დიდ დარბაზში გაიხსნა მუშა კინო - მაყურებელთა თბილისის საქალაქო კონფერენცია. კონფერენცია გახსნა ამხ. შედიამ, რომელმაც მოკლე სიტყვაში დაახასიათა კინოს სადღეისო ამოცანები. კონფერენციის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: 1) საქ. სახკინმრეწვის მუშაობა და საქ. კინო მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა, 2) კინო მუშათა კლუბი და მუშათა საზოგადოებრივობის ამოცანები და 3) საორგანიზაციო საკითხები. პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ამირალოვმა, ხოლო მეორე საკითხზე ამხ. ქშონზერმა. კამათი ორივე მოხსენებათა გარშემო გაიმართება დღეს, საღამოს 6 საათზე. კონფერენციის დაწვრილებითი ანგარიში მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის მორიგ ნომერში.

პრაქტიკული სამხედრო მეცადინეობა

დღეს დღით სად. შულავერის რაიონში ჩატარებულ იქნება ტაქტიკური სამხედრო მეცადინეობა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ რკინის გზის დამცველი რაზმი, რაზმის სამოსწავლო ასეული, ლენრაიონის ავიაქიმის ასეული, ქიმრაზმი, ჯავშნმატარებლი და სხვა ნაწილები. მეცადინეობაზე ნაჩვენები იქნება რკინის გზის ხიდის დაცვა ომის დროს.

მოხსენება ხუთწლიანი გეგმის შესახებ

კვირას, 24 ნოემბერს საბჭოთა მწერლების ფედერაციის სხდომაზე ამხ. გიორგი ყურულაშვილი გააკეთებს მოხსენებას ხუთწლიან სამეურნეო გეგმის შესახებ. დასაწყისი საღ. სრულ 8 საათზე. შესვლა თავისუფალია.

მინდის დაკლება

ამიერ-კავკასიის ცაკის დადგენილებით, დაზარალებულ მოსახლეობისათვის დახმარების მიზნით, დასავლეთ საქართველოში წისქვილებში მინდი შემცირებული იქნა შემდეგი სახით: ერთ ცენტნერ ხორბლის დაფქვისათვის გადაიხდიან 2 კილოგრამს, ხოლო ერთ ცენტნერ სიმინდის დაფქვისათვის—3 კილოგრამს.

მებამბეობის კურსები

ამიერ-კავკ. მებამბეობის კომიტეტი 1-ლი დეკემბრიდან აგრონომ-მებამბეების გადასამზადებლად თბილისში ხსნის 1 წლიან კურსებს. კურსებზე 6 თვეს მეცადინეობა იწარმოებს თეორეტიულად, 6 თვეს კი—პრაქტიკულად.

კურსების ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს პროფ. ზაიცევს. მასწავლებლებათ მოწვეულნი არიან მებამბეობის სპეციალისტები, სახ. უნივერსიტეტის და პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის პროფესორები.

იმავე კომიტეტი 1 დეკემბრიდან შვებულ წითელ არმიელებისათვის ხსნის მებამბეობის მოკლევადიან კურსებს, რომელზედაც შინ მიმავალ წითელარმიელებს შეასწავლიან ბამბის კულტურულ მეურნეობას.

სახ. უნივერსიტეტში

◆ **კონტრაქტაცია.** სახ. უნივერსიტეტის გამგეობა ამჟამად სამეურნეო და სამრეწველო ორგანიზაციებთან აწარმოებს მოლაპარაკებას სტუდენტების კონტრაქტაციის შესახებ.

◆ **სოცშეჯიბრება.** სოც. ეკ. ფაკულტეტმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვია პედაგოგიური ფაკულტეტი და ერევნის უნივერსიტეტის სოც. ეკ. ფაკულტეტი.

◆ **რაციონალიზაცია.** სახ. უნივერსიტეტთან დაარსდა რაციონალიზაციის ბიურო.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები,** რომლებიც არიან წითელი არმიის თადარიგში 25 ნოემბრიდან 28 ნოემბრამდე უნდა გამოცხადდენ უნივერსიტეტის სამხედრო მაგიდაში ამხ. ხუნდაძესთან, სათანადო რეგისტრაციაში გატარების მიზნით.

სხვადასხვა

◆ **ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების** მორიგ საჯარო სხდომაზე, სამშაბათს, 26 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს მუზეუმის საუდიტორიო დარბაზში წაიკითხავენ მოხსენებებს: 1. არნ. ჩიქობავა: „საანგარიშო მოხსენება დაღესტანში (ხუნძეთში) საენათმეცნიერო მივლინების შესახებ“ და 2. მაქ. ხუბუა: „საანგარიშო მოხსენება გურია'ში (სურების რაიონში) საენათმეცნიერო მივლინების შესახებ“. შესვლა თავისუფალია.

◆ **აბანოები განუწყვეტელ კვირაზე.** 20 ნოემბრიდან თბილისის აბანოები გადავიდენ განუწყვეტელ კვირაზე.

◆ **დღეს, საღ. 7 საათზე,** საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში შესდგება გეოგრ. საზოგადოების მთასვლელ განყოფილების საერთო კრება ამხ. პ. დვალის და ს. ჯაფარიძის ხსოვნის აღსანიშნავად.

სახელგამის გამოცემები

რედაქციამ მიიღო სახელგამის შემდეგი ახალი გამოცემანი:

ი. სიხარულიძე—ენის დაკვირვება (სამუშაო წიგნი მოწაფეთათვის) გვ. 308. ფ. 1 მან. და 75 კაპ., გ. ჭუმბურიძე—საბჭოთა კავშირი (სამუშაო წიგნი მე-4 ჯგუფ.) გვ. 370+X ფასი 2 მანეთი), ო. მ. ტარნოპოლსკაია—როგორ უნდა ვიკითხოთ წიგნი (სახელმძღ. სოფლად თვითმოსწავლეთა და თვითგანვითარებისათვის) გვ. 104, ფ. 60 კაპ., მემარჯვენე ოპორტუნისტული გადახრის შესახებ (წერილების კრებული), გვ. 106, ფ. 70 კაპ., ბ. ბიბინეიშვილი—საიდუმლო გვირაბი. გვ. 24. ფ. 15 კაპ., ვ. მილიუტინი—მემარჯვენე გადახრის შესახებ, გვ. 36, ფ. 15 კაპ., ვ. ბისტრიანსკი—მემარჯვენე გადახრის დახასიათებისათვის გვ. 94. ფ. 30 კაპ., კ. სულაქველიძე—სწორწიროვანი ტრიგონომეტრია (სახელ. ათწლედებისა და ტეხნიკუმებისათვის) გვ. 242. ფ. 2 მან. და 90 კაპ., თ. ჭუმბურიძე—საზოგადოებათმეცნიერება (სახ. მე-6 ჯგუფისათვის) გვ. 316. ფ. 2 მან., ნორმალური ანატომიის ტერმონოლოგია. ფ. 1 მან. და 50 კაპ.

ავიაქიმში

საქ. ავიაქიმის ყრილობა

საქ. ავიაქიმის სრულიად საქართველოს მეორე ყრილობა შესდგება თბილისში 9 დეკემბერს.

კახეთის ორგანიზაციის ყრილობა

ამ დღეებში ჩატარდა ავიაქიმის კახეთის ორგანიზაციის საოლქო პლენუმი, რომელსაც დაესწრო საქართველოს ავიაქიმის პრეზიდიუმის წარმომადგენელი.

პლენუმზე გამოირკვა, რომ კახეთის ორგანიზაციას აქვს მთელი რიგი ნაკლისა. არ არის ფართოდ გაშლილი ავიაქიმის საქმიანობა, მოისუსტებს სოფლის უჯრედების მუშაობა, გლეხობაში არ სწარმოებს სათანადო მუშაობა მის მისაზიდათ ავიაქიმის რიგებში და სხვა.

ავიაქიმის საბჭომ მიიღო დადგენილება, რომელთა გატარება ცხოვრებაში აღმოფხვრის შემჩნეულ დეფექტებს.

თავდაცვის ფონდი

თავდაცვის ფონდში საქართველოს ავიაქიმმა შეიტანა 6.000 მანეთი. ეს თანხა შეგროვილია ავიაქიმის სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ.

საქართველოს ავიაქიმის ცნობით თანხების შეგროვება თავდაცვის ფონდისათვის სუსტად მიმდინარეობს ახალ-სენაკის მაზრაში, ფოთში, გორისა და კახეთის ოლქში და აფხაზეთში.

სოციალისტური შეჯიბრება

უკანასკნელ ხანში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ავიაქიმის ორგანიზაციებს შორის. ავიაქიმის თბ. საბჭომ დასდო ხელშეკრულება ბაქოს ავიაქიმის ორგანიზაციებთან. შეჯიბრება ითვალისწინებს სამხედრო კუთხეების და უჯრედების რიცხვის გადიდებას, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას, აქტივის მომზადებას და სხვა.

ხელოვნება

სომხური დრამა

„ფარანთან“

სომხური დრამის მეორე სპექტაკლად დადგმული იქნა პიესა „ფარანთან“, რომელიც გადმოკეთებულია ნიკიფოროვის რომანიდან. რომანში ავტორი მოგვითხრობს აზნაური ლენის ანოსოვის ისტორიას. ანოსოვმა ისარგებლა თავისი სამსახურის დღის რამზაევის ტანისამოსითა და დოკუმენტებით (თვით რამზაევი რევოლიუციის დროს მოკვდა), მიღებულ იქნა პარტიაში რამზაევის სახელით, სრულებით გამოიცვალა და მთელი 8 წლის განმავლობაში გულწრფელად და ნაყოფიერად მუშაობდა პარტიისათვის. რამზაევმა შეიყვარა ახალგაზრდა ქალი ანკა გოლანინა, მაგრამ მას სტანჯავს იმის შეგნება, რომ ის ნამდვილად რამზაევი არ არის. ეს ამბავი რამზაევმა საყვარელ ქალს გაანდო და გასარჩევად საამხანაგო სასამართლოშიაც გამოიტანა. პარტიულმა სასამართლომ შესაძლებლად სცნო რამზაევის დატოვება პარტიის რიგებში.

ასეთია პიესის მთავარი ღერძი. გზა-გზა ავტორი გვიხატავს იმ ზოგიერთ კომუნისტების ცხოვრებას, რომელნიც გახრწნილან, ეწევიან ლოთობას, გარყვნილებას, აწყობენ ორგიებს და სხვ.

პიესა გადაკეთებულია ავტორისა და კოროლევის მიერ. პიესამ ბევრი რამ დაჰკარგა გადაკეთების დროს. გამოვიდა ცალკე სცენები, და არა თანდათან გაშლილი დრამა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც საინტერესო საყურებელია. პიესა კარგად იქნა დადგმული, თუმცა ამ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს სამწუხარო დეფექტები, რომლებიც შთაბეჭდილებას აფუჭებენ. კარი, რომელიც არ იღება, ფარდა, რომელიც არ ეშვება და სხვ.

რამზაევის მთავარ როლში გამოვიდა ალიხანიანი (სხვათა შორის, მშვენიერი გრიმით), რომელმაც დიდი ტემპერამენტით ჩაატარა თავისი როლი, განსაკუთრებით სცენა ანკასთან. ტიპიურ ჩუვიაკინი (გლეხი, გახრწნილი კომუნისტი) დაგვიხატა ბეროიანმა. სწორი იყო არმენიანის მიერ ცეპილოვის როლის გაგება, მაგრამ არტისტს ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ ის სრულებით არ გავიდა რუსს (შეუფერებელი გრიმი ჰქონდა).

პიესის დანარჩენი მონაწილენი სათანადოდ ხელს უწყობდნენ ანსამბლს.

აღვნიშნოთ ნაკლი, რომელიც სომხური დრამის ზოგიერთ არტისტებს (განსაკუთრებით ახალგაზრდებს) ახასიათებს: სცენაზე ისინი ძლიერ ხმამაღლა ლაპარაკობენ. ამის გამო იკარგება ინტონაციის ბუნებრივობა და სიმარტივე. სიტყვაც მონოტონიური ხასიათისა გამოდის. სრულიად არ არის არტისტისათვის საჭირო სცენაზე ყვირილი იმისათვის, რომ მისი სიტყვები მაყურებლებმა გაიგონონ: ამისათვის საკმარისია კარგი დიქცია.

ვ. დ.

ხელოვნების ქრონიკა

„ყვარყვარე თუთაბერი“ რუსულად

პ. კაკაბაძის პიესა „ყვარყვარე თუთაბერი“ გადაითარგმნა რუსულად და მიღებულია რუსულ თეატრების რეპერტუარში.

◆ **კახეთის ოლქში კონცერტების** გასამართავად გაემგზავრნენ: მომღერალი მ. თარხნიშვილი, სახ. ოპერის მსახიობი ა. ჭუმბურიძე, პიანურზე დამკვრელი ლ. კარახანი და მოცეკვავე მაჩხანელი.

◆ **სამხატვრო საბჭოს სხდომა.** დღეს, დილის 11 საათისათვის დანიშნულია სახელმწიფო აკადემიური ოპერისა და ბალეტის თეატრთან არსებული სამხატვრო საბჭოს სხდომა.

სასამართლო

ალ. ვ. ჯაფარიძის საქმე

რკინის გზის მთავარ სახელოსნოს ზეინკალი ალექსანდრე ვლადიმერის ძე ჯაფარიძე დაწინაურეს და დანიშნეს რკინის გზის საქარხნო - საფაბრიკო სკოლის გამგეთ. ეს იყო 1927 წლის ბოლოს.

დაწინაურებულ ჯაფარიძის მოვალეობა იყო სკოლის საერთო ხელმძღვანელობა და გარდა ამისა სკოლის მოწაფეების მიერ დამზადებულ საზეინკლო იარაღების გასაღება რკინის გზის სამასალო განყოფილებაში.

ჯაფარიძეს იარაღების გაყიდვიდან მიღებული ფული უნდა ჩაებარებია იმავე დაწესებულებასთან არსებულ შემნახველ სალაროში.

1928 წლის სექტემბერში შეზარხოშებული ჯაფარიძე შედის რკინის გზათა სამმართველოს სამასალო განყოფილებაში და ჩაბარებულ საზეინკლო იარაღების ანგარიშში მიაქვს 2.553 მანეთი.

ეს თანხა, რომელიც მას უნდა ჩაებარებია შემნახველ სალაროში, ჯაფარიძეს ჯიბეზე აქვს და პირველ ყოვლისა მიეშურება იქ, სადაც მას მიუხარია — სადგურის ქუჩაზე რესტორან „ივერია“-ში. რესტორანში ჯაფარიძე ჰპატიჟობს ყველას — ნაცნობს და უცნობს.

„ივერიიდან“ ჯაფარიძე მიექანება ეტლით „სიცოცხლე“-ში. „სიცოცხლე“-ში ის არ სტოვებს არავის უპატივცემოდ.

„სიცოცხლე“-დან შეხურებული ჯაფარიძე მიემგზავრება თავის ამქრებით რესტორან „ოლიმპია“-ში. იქაც იჯერებს გულს, მაგრამ თბილისის არც ერთი რესტორანი არ უნდა დასტოვოს უვიზიტოდ.

„ოლიმპიიდან“ ჯაფარიძე თავის ძმა-ბიჭებთან ერთად მიემგზავრება „გემო“-ში. აქედან კი უგრძნობელ მდგომარეობაში ის მიჰყავთ თავის სახლში.

ჯაფარიძემ გაითქვა ლოთის სახელი. ის მოხსნეს სამსახურიდან და ისევ დააბრუნეს თავის პირვანდელ სამუშაოზე.

გავიდა რამოდენიმე თვე, თითქმის ერთი წელიწადი. ჯაფარიძე უკვე ზეინკალია. საფაბრიკო - საქარხნო სკოლა მას დაატოვებინეს.

მას სინიდისი ჰქენჯნის. მან მიატოვა საფაბრიკო - საქარხნო სკოლა, მაგრამ იქ მისი დავალიანება ხომ გამოაშკარავდება.

ჯაფარიძეს შეაქვს განცხადება რკინის გზის პოლიტსამმართველოში, მაგრამ თავის განცხადებაში იმას კი არ ლაპარაკობს, რომ მან ეს ფული გაფლანგა.

დამეკარგაო, — ასეთია მისი განცხადება.

ჯაფარიძემ შეარცხვინა დაწინაურებულ მუშის პატიოსანი სახელი.

ჯაფარიძემ თავისი საქციელით სახელი გაუტეხა დაწინაურებულ მუშებს. ის პასუხს აგებს პროლეტარულ სამსჯავროს წინაშე, ჯერ ერთი როგორც სახაზინო ფულის გამფლანგველი და, მეორე — როგორც დაწინაურებულ მუშის სახელის შემარცხვენელი.

საქმე ამ დღეებში იქნება განხილული.

ზერ.

შემთხვევები

ტრამვაის დაჯახება

ტრამვაის ვაგონი № 101, რომელსაც მართავდა ვატმანი მელნიკი, საბჭოთა ქუჩაზე დაეჯახა გლეხ ქ. ალიმბარაშვილის ურემს, რომელიც დაიმსხვრა. როგორც გამოირკვა, დაჯახება მოხდა ვატმანის დაუდევრობით. მელნიკი დაპატიმრებულია.

გვამის პოვნა

გუშინ, ჯორჯიაშვილის ქ. სახლი № 2-ში, იპოვნეს მოკლული ბავშვის გვამი.

მიღებულია ზომები დამნაშავეთა შესაპყრობათ.

დაჭრა

გუშინ ღამით, ეფრემ პაპოვის ძე სარქისიანმა (მცხ. მუდმივი ჩიხი № 2) შურისძიების მიზნით მძიმედ დასჭრა სურენ მიხეილის ძე დანიელოვი (რიყის ქ. № 2). ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია.

შეპყრობა

ქურდობის და ჯიბგირობისათვის დააპატიმრეს: ბილან ისმაილ-ოღლი, ჯუთ ახან-ოღლი, ზინაილ ისმაილ-ოღლი, მიხეილ სოლომონის ძე ფურცელაძე და ალი მამედ-ოღლი.

რკინისგზებზე

წევის და მოძრაობის დარგების გაერთიანება

ამჟამად გზათა სახალხო კომისარიატში იხილავენ რკინის გზებზე წევისა და მოძრაობის დარგების გაერთიანების საკითხს.

გზათა კომისარიატის ცენტრალურ საგზაო სამმართველოსთან ამ მიზნით დაარსებულია სპეციალური კომისია. როგორც მოსკოვიდან მიღებულ ცნობიდან ჩანს, ამ კომისიის მიერ უკვე დამუშავებულია ხსენებულ დარგების გაერთიანების სქემები.

ახლო მომავალში წევისა და მოძრაობის დარგების გაერთიანების პროექტი დასმული იქნება განსახილველად რკინისგზელების საერთო კრებებზე.

ნამტვრევი ლითონების შეგროვება

ამიერ-კავკ. რკინის გზაზე ჩატარებული იქნა ნამტვრევ ლითონების შეგროვების და მისი მადან-ლითონტრესტისათვის გადაცემის გამოკვლევა. გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ გზაზე შეუგროვებიათ და გადაუციათ დანიშნულებისამებრ 10.000 ტონა რკინის ნამტვრევი.

საკონტროლო ციფრი შესრულებულია სავსებით.

იმასთანავე გამორკვეულ იქნა ისიც, რომ გზის ყველა აგენტები არ ყოფილან ამ საქმეში ჩაბმულნი თანაბრად. ზოგიერთ უბნებზე თავის დროზე შეუგროვებიათ ლითონი, ზოგიერთები კი გულგრილად მოჰკიდებიან ამ საქმეს.

განუწყვეტელი საწარმოო კვირა

დღევანდლამდე განუწყვეტელ საწარმოო კვირა'ზე გადასულნი არიან: გზის სამმართველოს მთელი აპარატი, საბარგო სადგურები, წევის მე-7 უბანი, სალიანდაგო დარგის მე-3 უბანი, კავშირგაბმულობის დარგის მე-3 უბანი, მოძრაობის დარგის მე-2 განყოფილება და სამასალო საწყობი.

გზის დანარჩენი დაწესებულება-წარმოებები განუწყვეტელ კვირაზე გადავლენ თანდათანობით. საბოლოოდ მთელი ტრანსპორტი განუწყვეტელ კვირაზე გადავა დეკემბრის დამლევისათვის.

ცდები სომხეთის ხაზზე

სომხეთის ხაზზე, სანაინიდან—ლენინაკანამდე ამჟამად სწარმოებს საექსპლოატაციო ცდები. ცდებმა უნდა გამოარკვიოს, თუ რამდენად შესაძლებელია ამ უბანზე 800 ტონის სიმძიმის გატარება.

ცდები სწარმოებს სამი ორთქლმავალით.

ცდები ახლო მომავალში დამთავრდება.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 24 ნოემბერს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

გონებრივ მუშათა სექციიდან: მარიამ პაცკევიჩი, თამარ ნადირაშვილი, ივანე ჰიქინაძე, ლევან კობახიძე, სევერიანე ნუცუბიძე, გიორგი ოქრომჭედლიშვილი, ვარლამ კაციტაძე, არჩილ ჩიტაიშვილი, ილია გუბელაძე, დიმიტრი ჭუმბურიძე, ვალენტინა იორამაშვილი, ნიკოლოზ პამპალოვი, ალექსი ბირზატოვი, სეით გურგენიძე, ოლიმპიადა ქარცივაძე, ლიუდმილა პისემსკაია, თინა აბულაძე-მიქაბერიძისა.

რკინისგზელთა სექციიდან: ა. მალაკელიძე, ი. ბაიდაშვილი, ფ. პეტიუკოვიჩი, ე. კაჭარავა, ტ. დევდარიანი, ტ. ქურციკიძე.

შავ მუშათა სექციიდან: მ. შახიანცი, გ. კეკენოიანი, ნ. რუდნიკოვი, ა. ლომინაძე, ა. სოსანაშვილი, ი. ბადროვი, ნ. ივასეკოვი, ს. აზაევი.

კვალიფიციურ მუშათა სექციიდან: ს. ავეტისოვი, ა. აგაჯანოვი, ა. პაპიკოთანცი, ლიუბა ჩხეიძე, ნ. სულაძე, ფ. ელენტი, გ. კალანტაროვა, ს. ერგოიანი, დ. ბაგრატიონი, ან. მარჟანიძე, ე. მამუკაშვილი.

ჩვენი ფოსტა

ბათომი. ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას. მიღებულია ენერგიული ზომები თქვენ მიერ აღნიშნული ნაკლის გამოსასწორებლად.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის აგიტ-პროპ. განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს 24 ნოემბრიდან პირველ დეკემბრამდე (დღის 12 საათიდან 2 საათამდე) გამოცხადდენ ამხ. ხომერიკთან ან და დაურეკონ ტელეფონით № 14—39.

ოვანეზ არაქელიანი, სიმონ აფანასევი, ვასად ბაირამოვი, გიორგი ბახტაძე, ვალერიან ბერიშვილი, ბენიაშვილი, ვაგნერი, ალექსანდრე გიორგობიანი, ვლადიმერ გოგიბერიძე, ნიკოლოზ გომართელი, ვარგინაკ გრიგორიანი, შავარშ გეორქიანი, მიხეილ გოჩილაშვილი, ივანე დათუაშვილი, იაკობ დონინი, მარტიროს ჯებეიანი, ლიუდვიკ ქარასინსკი, ალექსანდრე კოროშელიძე, ივანე ყორაშვილი, იასონ კოპალეიშვილი, ალი მირზა ნარიმანოვი, მაცაკ პაპახჩიანი, სერგო ბოზოვი, ალექსანდრე პაპიტაშვილი, ანტონ ასათიანი, ანდრია ბუაჩიძე, ჯამინ ვეზიროვი, გაბრიელ ყუბანეიშვილი, გრიგოლ მიმინოშვილი, ევგრაფი მაღლაშვილი, ვასილ მესხი, ნიკოლოზ მეოშვილი, ვლადიმერ მამალაძე, სევერიანე მახულია. მიქიჩ აკოფოვი, ზაქრო გოზალოვი, იან კონჩაკი, შალვა ორჯონიკიძე, სოლომონ აოშიძე, სერგო აკოფოვი, ალაპკერ აშასოვი, ხუსეინ ალახვერდოვი, ალანია, მუსა ახმედოვი, იუსუფ ბაგიროვი, ალექსანდრე ბინოვიჩი, ბელენკი, პავლე ბლიზნევი, ალექსანდრე ბოროდაევი, პეტრე ბოგდანოვი, გიორგი ვარდანიანი, ვაშაკიძე, იბრაგიმ კელხანოვი, ნიკოლოზ გოცირიძე, სერგო გრობოვსკი, ნიკოლოზ გუტერი, იზრაილ გელფენბეინი, გიორგი გოგოლაშვილი, მიხეილ გოგოლაშვილი, სერგო დანელიანი, ვლადიმერ დარჩიაშვილი, კონსტანტინე დევაძე, დავით ჯაყელი, ივანე ჯობაშვილი, ნიკოლოზ ცოლიძე, თადეოს ეგანოვი, ოქროპირ ეზნიაშვილი, ზეინალ-ზადე, ალექსანდრე იმედაძე, ალექსანდრე იკონნიკოვი, ვასილ კოსტორნოვი, დავით კომახიძე, ვასილ კოჩინევი, ფილიმონ ლაბაძე, იაკობ ლებედი, ალექსანდრე ლეონტიევი, ივანე ლომთათიძე, გიორგი მამასახლისოვი, ალექსი მარტიროსოვი, პეტრე მარძიანი, ანდრო მაყაევი, მოსე მაკაგონი, სიმონ მამალაძე, გიორგი მარქაროვი, სიმონ მექვაბიშვილი, დავით მესხი, რუბენ მირზოიანი, იოსებ მოსესოვი, ექვთიმე მარჯანეიშვილი, სამსონ ოჩიგავა, ლუკა ორაგველიძე, ნიკოლოზ ორჯონიკიძე, დომენტი ობოლაძე, არტემ პეტროსიანი, ალექსანდრე ფურცელაძე, სარქის პოლოსიანი, ბოლესლავ პოზნანი, ვლადიმერ პლიაცკინი, არისტაკეს პეტროსიანი, მიხეილ როყუა, ვარლამ რუხაძე, ლევონ სარქისიანი, იპოლიტე სარია, მიხეილ სერგეევი, მიხეილ სეიდოვი, მეჯიდ სეიდოვი, ევგენი სირაძე, ნესტორ სიხარულიძე, პეტრე სუხორუკოვი, ივანე სტურუა, ალექსანდრე სიხარულიძე, გრიგოლ სარქისიანი, გიორგი საათაშვილი, ალექსანდრე სიტკოვსკი, ანტონ ტოროშელიძე, ლეონ ტყაბლაძე, ტიგრან ტერ-ოგანოვი, მირიან უნგიაძე, ვასილ ფრანგულაშვილი, პეტრე თედოროვი, კირილე ზოშტარია, გეორგი ხალათიანი, ალექსანდრე ცხვარაძე, იორდანე ცხოიძე, გიორგი წითლიძე, მიხეილ წერეთელი, ერასტი ცეცხლაძე, ვასილ ჰანტურია, დავით ჰუნია, ლუკა შენგელია, ნიკიფორე შავლაშვილი, იოსებ ელისაბედაშვილი, შალიკო იაკობიძე, კონსტანტინე ანდრიაძე, შავარშ არაბაჯიანი, მიხეილ აღამალოვი, ჯანგირ ალაპკერბეგოვი, ივანე ბერძენიშვილი, გრიგოლ ბუზნიკაშვილი, ანდრო ბოგდანოვი, ალექსანდრე ბზეკალავა, ნეოფიტე ბარამიძე, გიორგი ვალტერი, ვარლამ გაბუნია, გიორგი გობიტაშვილი, გაიკ გრიგორიანი, შალვა გაბრიჩიძე, ვლადიმერ ჯაიანი, სპირიდონ ჯანაშია, ანტონ ჯაფარიძე, პლატონ ჯაჯანიძე, კონსტანტინე დემეტრაძე, მიხეილ დანელია, პოლიკარპე დოლიძე, მიხეილ ენუქიძე, ისმაილ იოვიძე, ვალერიან კვირიკაძე, ნიკოლოზ კალანდაძე, დავით კობახიძე, აკაკი ქავთარაძე, ალექსანდრე კობალაძე, შამი-ალი კუზიახმედოვი, პლატონ კორძახია, მიხეილ კოლოსოვი, ალექსანდრე ქურიძე, გრიგოლ კრეიტონი, ალექსი ლომაძე, სიმონ ლობჟანიძე, მაქს ლიბერი, გაიკ პიჩიკიანი, ზაქრო ფალავანდიშვილი, გრიგოლ პაოკაძე, გრიგოლ ფოფხაძე, ალექსანდრე სალარიძე, მამედ სადიხოვი, კოტიკ საკოვი, გიორგი სულუხია, ექვთიმე სართანია, ამლიკ თუმანიანი, გიორგი თათულოვი, ლეონ ხოჯაბიროვი, სამსონ ხუნდაძე, გიორგი ხაჭაპურიძე, ხომასურიძე, პავლე ჩახნაშვილი, აბას-ალი შირვან-ზადე, ბიქტორ შუბლაძე.

სახ. უნივ. ა.ლ.კ.კ. ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ ხვალ 25 ნოემბერს, დღის 12 საათზე მოწვეულია თბილისის სახ. უნივერსიტეტის ა.ლ.კ.კ. ბიურო-კოლექტივის სხდომა.

სახ. უნივ. ა.ლ.კ.კ. ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს აგრონომიული ფაკულტეტის ა.ლ.კ.კ. № 6 უჯრედისა წევრ-კანდიდატებს, ხვალ, 25 ნოემბერს დილის 1-ლ საათზე გამოცხადდენ ა.ლ.კ.კ. ბიურო-კოლექტივში.

სახუნტის პარტ. ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ ორშაბათს, 25 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე შესდგება გამწმენდ კომისიის უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც გამოცხადებული იქნება ჩატარებულ პარტწმენდის შედეგები.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება იწვევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს 24 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე ამხ. როსტიაშვილთან (ოთახი № 67).

ანტონ პავლეს ძე მიცკევიჩ (თბ. ალმასკომის უჯრედი), ალექსი დიმიტრის ძე ზახაროვს (ამიერ-კავკ. სახ.-სამ. კავშირის უჯრედი), შალვა პლატონის ძე მურავიოვი (№ 39 უჯრედი, ქალაქის რაიონი), იოსებ ანდროს ძე მამადაშვილი (№ 78 უჯრედი, ქალაქის რაიონი), ივანე სპირიდონის ძე მარდალეიშვილი (საგზაო კომის. რწმ. სამმართ. უჯრედი), ნიკ. იოსების ძე კომაროვი (საგზაო კომ. რწმ. სამმართველოს უჯრედი), ლეონ ოჰანესის ძე კოგჯოიანი (საგზაო კომ. რწმ. სამ. უჯრედი), გიორგი ალექსანდრეს ძე მიქელაძე (№ 92 უჯრედი, ქალაქის რაიონი), ბიქტორ შლაიძე (დეპო), ვასილ ფომენკო (დეპო), ნიკოლოზ სინჯიკაშვილი (დეპო), ნიკოლოზ მინაშვილი (დეპო), ტიგრან ერმიშიანცი (დეპო), დავით დავიდოვი (დეპო), სოლომონ დოლიძე (დეპო), ნიკოლოზ სერგეევი (დეპო), პავლე სევასტიანი (დეპო), ნიკოლოზ გრატიაშვილი (დეპო), გრიგოლ ჩაპაშვილი (დეპო), ვლადიმერ ვაშკილევიჩი (საამშენებლო-ტეხნიკური კანტორა), სერგო სიმონოვი („რუტმეტალტრესტი“), კარაპეტ მერაბიშვილი, გიორგი მანკაცოვი, პეტრე თოფურიძე, ეპიფანე გოგოლაძე (ფინსახკომი), ივანე გორდეზიანი, მიწსახკომი), კონსტანტინე გოგოლაძე (მიწსახკომი), სტანისლავ ვოშჩინსკი (მიწსახკომი), ზაქრო პაატაშვილი (მიწსახკომი), ნიკიფორე ხაჭაპურიძე (მიწსახკომი), ვლადიმერ ლეჟავა (მიწსახკომი), ივანე ერისთავი (მიწსახკომი).

ორშაბათს, 25 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, პარტმუშაობის ცენტრალურ კაბინეტში (ანტირელიგიური სექცია), შესდგება უღმერთოთა აქტივისათვის ჯგუფ. კონსულტაცია შემდეგ თემაზე: 1) განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლა და ანტირელიგიური მუშაობა, 2) შობის საწინააღმდეგო კამპანიის მომზადება.

კვირას, 24 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, შესდგება საქართველოს კ.პ. (ბ) თბ. საოლქო კომიტეტის პარტმუშაკების ცენტრალურ კაბინეტის ბიბლიოთეკის მკითხველთა კონფერენცია. კონფერენციაზე მოწვეულია ბიბლიოთეკის ყველა მკითხველები.

დღეს დილის 11 საათზე, ც.კ.-ის აგიტპროპ-ბეჭდვითი განყოფილებაში შესდგება **საქარხნო-საფაბრიკო ბეჭდვითი სიტყვისა და მუშგლეხკორთა შორის მუშაობის გამომკვლევი კომისიის სხდომა,** რომელსაც დაუგვიანებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ქაოოსანიძე („კომუნისტი“), ძაბულაშვილი („ახ. სოფელი“), ჰელიძე („მუშა“), დევაძე („ახ. კომუნისტი“), გალკინი („რაბ. პრავ.“), ჩხეიძე (მთავ. სახელოსნო), დოლიძე (დეპო) და ჰანტურიშვილი („წით. არმიელი“).

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას საღრიცხვო სექტორი სთხოვს ამხ. ვასილ ცინცაძეს, პალადი დარახველიძეს, ანასტასია პოპოვს, იოსებ გაგლოევს, ივანე პრეობრაჟენსკის, სოლომონ ესაკიას და ერმალოზ გორდელაძეს—შეიარონ ცეკაში ამხ. ჩარკვიანთან (ოთახი № 22).

საქართველოს ა.ლ.კ.კ. თბილისის საოლქო კომიტეტი იუწყება, რომ კვირას, 24 ნოემბერს, საღამოს სრულ 6 საათზე დანიშნულია მიმღები კომისიის სხდომა, რომელზედაც აუცილებლათ უნდა დაესწრონ ა.ლ.კ.კ. თბილისის საოლქო კომიტეტის მიმღებ კომისიის ყველა წევრები და ის ამხანაგები, რომელთა ანკეტებიც წარმოდგენილია დასამტკიცებლად.

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგია მწუხარებით იუწყება, რომ 21 ნოემბერს ქ. ბათომში გარდაიცვალა მისი რწმუნებული აჭარისტანში

ამხ. გრიგოლ ნიკოლოზის-ძე ბრელიძე

4403 2—2

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის თანამშრომლები გულწრფელ მწუხარებას გამოსთქვამენ საყვარელი ამხანაგის, დაუღალავი მუშაკის—საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის აჭარისტანში

გრიგორ (გრიშა) ნიკოლოზის-ძე ბრელიძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. ქ. ბათომში ა. წ. ნოემბრის 21-ს. 4427

მარიამ გიორგის ასული ეჯიბია შვილით ირაკლით აუწყებს ამხანაგებს, ნაცნობებს და ნათესავებს, რომ ტრაგიკულად დაღუპულ საყვარელი ქმრისა და მამისა

თეოფანე ეჯიბიას

ხსოვნის აღსანიშნავად სამოქალაქო პანაშვიდი შესდგება ორშაბათს, 25 ნოემბერს საღამოს 4 ნახ. საათზე ხუდადოვის ტყეში.

უახლოესი ამხანაგები შილა ჩიხლაძე რომან კუპრავა, დათიკო ხარაბაძე, ივანე მავგულიძე, ალექსანდრე ფურცელაძე, ირაკლი შოთაძე, ალექსი ყამარაული, პროკოფი ბერძენიშვილი, ოფელია ქავთარაძე, კოლია უჩამეიშვილი, ალფეზ ხელიძე, სერგო მანუკოვი, იაკობ ვარლამოვი, სერგო გრიგორიევი და ჭაბუკიანი აუწყებენ ამხანაგებს, რომ 25 ნოემბერს, 4 ნახ. ს. ძმათა სასაფლაოზე ყ. ხუდადოვის ტყეში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ტრაგიკულად დაღუპულ ძველი ბოლშევიკის და მტკიცე რევოლიუციონერის

ამხ. თეოფილე ბესარიონის-ძე ეჯიბიას

ხსოვნის აღსანიშნავად. 4419

ღრმად დამწუხრებული შვილები: დავითი, კოტე, ვალოდია და ოლია, რძლები თეკლე, ცუცა და ლიდა, სიძე ალექსანდრე ბალავაძე და შვილიშვილები პავლუშა, ეთერი, ლეონტი, სილვა, შოთა, ჟენია და თამარა, მწუხარებით იუწყებიან

ეკატერინე ლაზარეს ასული ვაშაკიძის

უეცრად გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 26 ნოემბერს, დღის 3 საათზე სოფელ დიდ-ჯიხაიში (ქუთაისის ოლქი). (ე)

დედა პელაგია, ძმა დავით მამინაიშვილები აუწყებენ საზოგადოებას, რომ დღეს 1 ნახ. საათზე, ვერის ძველ სასაფლაოზე გადახდილ იქნება [illegible] პანაშვიდი

პაკი მამინაიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად. 4415

დამწუხრებული დედა ჟენია, მამა ფილიკა ფეოფილაქტოსები, დიდედა ნატალია, ბიძები: ვანო და ნიკა, რძალი ქეთო ანანიაშვილები იუწყებიან, რომ დაუვიწყარ

პატარა დოდოშკას

ხსოვნის აღსანიშნავად 26 ნოემბერს, 4 ნახ. საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე, დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი. 4316

მწუხარებაში მყოფი შვილები: თამარი, ვენერა და კოკი, სიძეები: ვახტანგი შირიაშვილი და გლები ზანისი იუწყებიან, რომ დაუვიწყარი დედის

მარიამი მიხეილის ასული წულაიას

ხსოვნის აღსანიშნავად, დღეს, 1-ლ საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი. 4418

დამწუხრებული შვილები: ლიზა და ოსიკო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი მამა

გიორგი ნიკოლოზის-ძე კვეზერელი-კოპაძე

გამოსვენება დღეს, 1 საათზე ბინიდან კახეთის ქ., № 22. 4410

დამწუხრებული თომა და ზაქარია მოსულიშვილები ცოლშვილით, ელენა თულაშვილისა და ანეტა თარხნიშვილისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი სიძე

გიორგი ნიკოლოზის-ძე კვეზერელი-კოპაძე

გამოსვენება საკუთარ ბინიდან. დაკრძალვა დღეს, 4 საათზე. 4411

დამწუხრებული მშობლები ნინა და ვლადიმერ, დები ვარია, თამარი და ცუცა, ძმები შურა და ირაკლი ცქიტიშვილები, სიძეები: ლევან ნათაძე და პავლე მენაბდე აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ტრაგიკულად დაღუპულ მე-10 ჯგ. მე-3 საცდელ საჩვენებელ სკოლის მოწაფის ძვირფასი

მიშიკო ცქიტიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულია პანაშვიდი კვირას 24 ნოემბერს, 12 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. (დ)

გულმოკლული დედა თამარი, სიძე პავლე, დისშვილები თენგიზ და ირაკლი მენაბდეები აუწყებენ საზოგადოებას, რომ მე-10 ჯგუფის მე-3 საცდელ საჩვენებელ სკოლის მოწაფის, ძვირფასი

მიშიკო (კაკუ) ცქიტიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად კვირას, 24 ნოემბერს 12 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი. (დ)

ღრმად დამწუხრებული მშობლები: მარო და გიორგი თუხარლები, ბებიები ევა და ოლღა, პაპა იაკობ მამულაშვილი, დეიდები: ნინო სოფიო, ელენე, ქეთევან ქმრებით და შვილებით, ბიძები ლევან ოჯახობით და ვანო იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

პატარა ჯიმიკო თუხარელი

გამოსვენება 1-ლ ქალ. საავადმყოფოდან 12 საათზე. დაკრძალვა დღეს, ვერის ახალ სასაფლაოზე. 4428

ღრმად დამწუხრებული დედა ეკატერინე დარისპანის ასული ამირეჯიბი-ყიფიანისა, და ვერა ყიფიანი, მეუღლე სერგო ლამბაშიძე შვილებით: ელიკო და გოგი, სიძე დავით ყიფიანი, შვილიშვილი გიზო და ანეტა ყიფიანისა იუწყებიან

ოლა რომანის ასულ ლამბაშიძის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა დღეს, კვირას, 12 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან. (გრიბ. ქუჩა, 28). 4398 2—2

ნიკოლოზ და ქრისტინა შატბერაშვილები შვილებით, ლიდა, პეტრე, ზინა, კოლია, ვახტანგ და სიძე ვახტანგ თხინვალელი იუწყებიან მათთვის ძვირფასი

ოლა რომანის ასულ ლამბაშიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, 12 საათზე, კუკიის სასაფლაოზე, გამოსვენება ბინიდან გრიბოედოვის № 28. 4416

თამარა ტრიფონის ასული ლამბაშიძე ქმრით კოლია ჯულელით და შვილი მზიათი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ძვირფასი ბიცოლას

ოლა რომანის ასულის ლამბაშიძის

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას 24 ნოემბერს, კუკიის სასაფლაოზე. (დ)

კირილე ბეჟანის-ძე ხარაძე ცოლშვილით, შვილიშვილებით და სიძით ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს ტკბილი მეგობრის, საყვარელი

ოლა რომანის ასულის ლამბაშიძის

უდროოდ გარდაცვალებას. (დ)

კირილე ლამბაშიძე მეუღლით ოლღა, შვილებით: კოლა, სარა, ქეთო, ირაკლი; სიძეები: გია ხუციშვილი და გოგი თურმანიძე დასტირიან პირველის ძვირფას რძალს და დანარჩენის ძვირფას ბიცოლას

ოლა ყიფიანი-ლამბაშიძის

უდროოდ დაკარგვას. დასაფლავება დღეს, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება დღის 12 საათზე ბინიდან გრიბოედოვის ქ. 28. (დ)

მეუღლე არონი; შვილები: ვალერიან, ნადია და მიშა; და რისიმე მეუღლე ონისიმეთი და უახლოესი მეგობრები სოსო და ნინა მასხულიები უსაზღვრო მწუხარებით იუწყებიან საყვარელ ადამიანის

ქსენია დონდოლაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, 3 საათზე.

ბიძები მელიტონ, ოქროპირ, სოლომონ და იოსებ ღლონტები თავიანთ ცოლშვილით; სიდედრი ფეოდოსია დონდოლაძისა, სიძე იაგორ მასხულია მეუღლე ვასასით, ბიძა ხარიტონი და დეიდა სონიჩკა მგელაძეები, დეიდა ელისაბედ ქინქლაძე შვილებით: დანიელ, ნოე და ისიდორეთი, მაძიდაშვილები: ვარლამი, ოლია და ანეტა ბოლქვაძეები მწუხარებით იუწყებიან მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

ქსენია ღლონტი-დონდოლაძის

გარდაცვალებას. ნ. 3407

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი
1929—30 წ. სეზონი

კვირა, 24 ნოემბ., მე-10 აბონ. 2 წარმ. ნ. ქ. პეჩკოვსკის მონაწ. **ევგენი ონეგინი**
ორშაბათი, 25 ნოემბ. მე-9 აბონემ. მე-3 წარმოდგენა უკანასკნელად ნ. ქ. პეჩკოვსკის მონაწ. **ვერტერი**
სამშაბათი, 26 ნოემბერი, 1-ლი აბონემ. მე-3 წარმ. **გედების ტბა**

ყველა საბონემენტო წარმოდგენაზე ბილეთების ნაწილი დატოვებულია ხელზე გასაყიდათ. გამოსყიდული ტალონებით ბილეთები გაიცემა რიგს გარეშე დღის 2 საათამდე. აბონემენტების მე 5 მორიგი შეტანი მიიღება ყოველდღე სალარო № 3-ში 10-დან 2 საათამდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე.

მე-9 და 11 მუშ. აბონემენტების მიღების უკანასკნელ ვადად გამოცხადებულია 25 ნოემბერი, რის შემდეგაც გამოუსყიდავი აბონემენტები გაიყიდება ხელზე.

ნ. 3404

რუსთაველის თეატრი
სეზონი 1929-1930 წ.
ნ. 3402

კვირას, 24 ნოემბერს,
კავშირებისათვის
პ. იალცევი **ღვარძლი**
დრ. 4 მოქ. თარგ. ს. შანშიაშვილის.
დადგმა—ალ. ახმეტელის და ქ. პატარიძის
მხატვარი—ნ. პელიონკინი
მუს. ნაწ. გამგე—გრ. კილაძე
დასაწყისი სრულ 8 საათზე

თეატრის დირექტორი, სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი — ალ. ახმეტელი.

დარჩენილი ბილეთები კავშირის წევრთათვის 40 პროც. დაკლებით, სტუდენტებისათვის – 50 კაპ.

აპოლო	ნანუკ	25 ნოემბრიდან ეჭვიანობა
სოლეი	პოეტი	25 ნოემბრიდან მოსამართლე რეიტანესკუ
მინიონი	სიცოცხლის ფასად	25 ნოემბრიდან გრძელდება იმავე სურათის ჩვენება
პალასი	მოსამართლე რეიტანესკუ	25 ნოემბრიდან იმპერიის ნამსხვრევი
არფასტო	მთის ბალადა	25 ნოემბრიდან გრძელდება იმავე სურათის ჩვენება
დარბაზი	ბეგიას შვილიშვილი	25 ნოემბრიდან პატი ზღვაში

0 - 23

თბილისის ცირკი
სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატთან არსებული სრ. საქ. ინვალიდთა დამხმარე კომიტეტ. ტელეფონი 8—04.

დღეს, კვირას, 24 ნოემბერს
გრანდიოზული წარმოდგენა
განსაკუთრებული წარმატების გამო გრძელდება
ა. ხეიფეცის გასტროლები უკანასკნელი დღეები
ფენომენალური მეხსიერება. ცოცხალი საანგარიშო მანქანა.
გარდა ამისა, პროგრამაშია ცირკის საუკეთესო ჟანრის 12 ნომერი
დასაწყისი სრულ 8 საათზე. დაწვრილებით აფიშებში.
კვირას, 24 ნოემბერს, დღის 2 საათზე, წარმოდგენა დღისით მთელი გუნდისა და ა. ხეიფეცის მონაწილეობით.
ნ. 3387 3—3 დირექცია.

ორშაბათიდან, 25 ნოემბრიდან
კინო-სოლეიში
პრემიერა
მოსამართლე რეიტანესკუ
ზოია ვალევსკაიას მონაწილეობით

კინო-აპოლოში
ლია დე-პუტი და ვერნერ კრაუსი
უცხოეთის ახალ სურათში
ეჭვიანობა

მალე: „კაენი და არტემი“
ნ. 3405

კინო-პალასი ორშაბათიდან 25 ნოემბრიდან
მონოპოლიურად
საბჭოთა კინემატოგრაფიის შედევრი
იმპერიის ნამსხვრევი
რეჟისორი—ფრიდრიხ ერმლერი
მთავარ როლებში: ლ. სემიონოვა, ფ. ნიკიტინი, ი. გუდკინი, ვ. სოლოვცევი
პრესის შეფასება:
„იმპერიის ნამსხვრევი“ ერთ-ერთ პირველად ილს დაიჭერს საბჭოთა კინემატოგრაფიის ისტორიაში“.
„იმპერიის ნამსხვრევი“ ახალი გამარჯვებაა საბჭოთა კინოს ტეხნიკისა და შინაარსის სფეროში“.
ნ. 3405

სულ მოკლე ხანში ვასწორებ
ხელს წერაში
რუსულ და ქართულ ენებზე პროფ. კოსოდოს მეთოდით
ტურგენევის ქუჩა № 4 (მე-9 კომისარიატი) კბილის ექიმის ფონ-ბრუნერის ბინა, შესავალი ეზოდან.

ძაღლი
დაიკარგა ძუ-ძაღლი, სეტერის ჯიშის, მუქი წაბლის ფერის, კუდის ქვეშ—ქერა, 4 წლის. მნახველს სთხოვენ მოიყვანოს მე-9 უბანი, ზურაბოვის (ყ. [illegible]) № 29, ვ. [illegible]ძესთან. ძაღლის მომყვანი მიიღებს გასამრჯელოს. 4413

გადავცვლი ოთახს
1, 2 და 3 რაიონში
იკითხეთ დილის 9—11 სათ. და საღამოს 4—5 საათამდე კამოს ქუჩა № 55, ბინა 18, მეორე სართული. 4394

მათემატიკის მასწავლებელი
ივ. მაჩაიძე
ამზადებს გერმანულში, რუსულსა და მათემატიკაში
(არითმეტ., ალგებ., გეომეტ., ტრიგონ., სიძუფ. ძომშ. უმაღლ. სასწავ მე-9 და მე-10 ჯგუფ. შესასვლელად და ყველა სკოლებში 7-წლედის ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ. (ინდუსტ. ქიმ. და ფარმაც.), ვასწორებ სუსტსა და ჩამორჩენილ მოწაფეებს. შესავალი პლეხანოვის პრ. № 25 და ჩეონიშევის ქუჩის კუთხიდან № 5.
9—12 საათ. 4—6 საათ.
8—7 4213

გაზ. „კომუნისტი“-ს გამომცემლობა
ამით აცხადებს ქუთაისის ოლქის ხელისმომწერთა საყურადღებოთ, რომ ა-წ. 20 ნოემბრიდან
ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას გადაეცა მონოპოლიური უფლება
გაზ. „კომუნისტი“-ს გავრცელებაზე აღნიშნულ ოლქში, გარდა ჭიათურის, ზესტაფონის და სამტრედიის რაიონებისა.
გაზეთ „კომუნისტ“-ზე ხელისმოწერა მიიღება ქალ. ქუთაისში გაზეთ „კომუნისტი“-ს კანტორის განყოფილების შენობაში (როზა ლიუქსემბურგის ქ № 64) და ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებში და წერილების დამტარებლებთან.
„კომუნისტი“-ს გამომცემლობა და ფოსტა-ტელეგრ. საგაზეთო ბიურო.
0—1

შეცდომის გასწორება

„კომუნისტის“ 267 №-ში სასტუმრო „პალასში“ სასადილოს გახსნის შესახებ მოთავსებულ განცხადებაში ბოლოს ხელისმოწერა შეცდომით არის „სახკვების კავშირის გამგეობა“. უნდა იყოს „სახკვება“-ს გამგეობა.

დაიბეჭდა და გამოვიდა
„პროლეტარული მწერლობა“
№ 10—11 (ოქტომბერი—ნოემბერი)
შინაარსი: ე. პოლუმორდვინოვი—ჭიათურა. ი. ბეხერი ოცდაოთხი. კ. ლორთქიფანიძე - ახალი გლეხები. ბ. ბუაჩიძე – ავადმყოფური მოვლენები პროლეტარულ ლიტერატურაში. ა. სულავა სადაა მწერლობაში ახალი ადამიანი? შ. რადიანი – „მეოცნე ეს დღიური“ (ალ. აბაშელის პოეზია). კლასიკოსების პრობლემა – პასუხი ანკეტაზე: ს. შანშიაშვილის, ლ. ქიაჩელის, გრ. რობაქიძის, ვ. ლუარსამიძის, ტ. ტაბიძის, ს. ჩიქოვანის, ე. პოლუმორდვინოვის, ი. გრიშაშვილის, დ. შენგელაიას, ა. ჭუმბაძის, ა. სულავას, ლ. ასათიანის. გ ვანაძე – ლიტერატურული სომხეთი. ფრ. ნაროუშ ილი – მასიურ მუშაობის გაჯანსაღებ სათვ. ს. ბიბლიოგრაფია. უ.

საქართველოს ფინსახკომის აპარატის წმენდის ხელისშემწყობი კომისია
იუწყება, რომ ა. წ. 25 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე მუშათა ახალ კლუბში—კომინტერნის (ყოფ. სასახლის) ქუჩა № 5
დაიწყება საქ. ფინსახკომის თანამშრომელთა წმენდა
ყველა მუშამ და მოსამსახურემ, ვისაც კი აქვს რამე განცხადება ფინსახკომის თანამშრომლებზე, მათ ალეგ ი უნდა გამოგზავნოს საქართველოს ფინსახკომის კომისიის სახელზე.
საფინანსო-სამრეწველო სექც. წევრთა დასწრება სავალდებულოა.
ნ. 3403 წმენდის ხელისშემწყობი კომისია.

ა.-კავკასიის რკინის გზათა გამგეობა
5 და 6 დეკემბერს, ნიშნავს
საჯარო ვაჭრობას
ხაზზე 30 საცხოვრებელი სახლის აგებაზე
პირობების გაგება შეიძლება ამ.-კავკასიის რკინის გზის სალიანდაგო განყოფილებაში.
ნ. 3406 გამგეობა.

ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები
(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად.
- პურის წიგნაკი ალი ჰაიდარ დურსუნის-ძე ქიქინაძეს სახელზე.
- მუშკოოპის წიგნაკი № 341 ვასილ ნიკოლოზის-ძე ჩაჩაშვილის სახ.
- მეტრიკული ამონაწერი ვლადიმერ ვასილის ძე კობერიძეს სახელზე.
- მეტრიკული ამონაწერი № 2353 შალვა კიკნაძეს სახელზე.
- სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლების მოწმობა ვანო ნიკოლოზის-ძე ნოზაძეს სახელზე.
- პარტბილეთი № 0647888 სპირიდონ ნიკოლოზის-ძე შერაზადიშვილის სახელზე.
- კავშირის წიგნაკი № 5445 გრიგოლ ილიას-ძე ქადაგიძეს სახელზე.
- მუშკოოპის წიგნაკი № 2619 კომ. ის სახელზე.
- კავშირის წიგნაკი № 37627 იოსები გიორგის-ძე ჯარიაშვილის სახ.
- სამხედრო წიგნაკი № 203 და კავშირის წიგნაკი № 6062 ნიკოლოზ [illegible]ქაშვილის სახელზე.
- სამხედრო წიგნაკი (რეგისტრაციის) № 185 პლატონ ივანეს-ძე სო[illegible] სახელზე.
- კავშირის წიგნაკი № 152923 შალვა მახარაძეს სახელზე.
- პურის წიგნაკი № 10309 კატუშა და თამარი კანდელაკების სახ.

ტირაჟი—45.100
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904